

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი  
ეროვნული კომისია (სემეკ)

დამტკიცებულია სემეკის  
2004 წლის 4 მარტის  
№ 5/1 გადაწყვეტილებით

წლიური ანგარიში

2003 წელი

თბილისი  
მარტი, 2004 წელი

## შინაარსი

ბპ.

შესავალი	
1 საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია: სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და დაფინანსება	4
1.1 სტრუქტურა და კრედიტებით უზრუნველყოფა	
ა) კომისიის წევრები	
ბ) კომისიის აპარატი	
გ) მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დმცველის სამსახური	
1.2 მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, ფინანსური უზრუნველყოფა და კონტროლი	
2. სამართლებრივი და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა	
2.1. სამართლებრივი საქმიანობა	
2.2. მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა	
3. ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირება	
ა) საქართველოს ელექტროენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება	23
ბ) ლიცენზირება	28
გ) ლიცენზიის პირობების და წესების შესრულების შემოწმება	32
დ) სხვა ფუნქციების განხორციელება	35
4. ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის საქმიანობის ზედამხედველობა	

5. ბუნებრივი გაზის სექტორის რეგულირება
  - 5.1 საქართველოს გაზომარაგების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება
    - ა) ლიცენზირება
    - ბ) პრივატიზაციის პროცესი
    - გ) სხვა საქმიანობა
  - 5.2. „მმართველო კომპანიის“ მიერ სს „თბილგაზში“ ჩატარებული მუშაობის შესახებ 2003 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში
  - 5.3. 2003 წლის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები
6. ტარიფების დადგენა და რეგულირება
  - 6.1 ელექტროენერგია
  - 6.2 ბუნებრივი გაზი
  - 6.3 ტარიფების დადგენისათვის საჭირო ინფორმაციის სრულყოფა
7. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა
  - 7.1 2003 წლის 1 ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობა
  - 7.2 2003 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შესრულებული სამუშაო
8. საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა
  - 8.1 საზოგადოებასთან ურთიერთობა
  - 8.2 საერთაშორისო ურთიერთობები
9. სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია
10. დანართები

## შესავალი

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია სემეკის 2003 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები.

2003 წელს ელექტროენერგეტიკულ სექტორში გაიცა 11 ლიცენზია, აქედან წარმოების – 6, განაწილების – 2, იმპორტის – 3, ექსპორტის – 1. ბუნებრივი გაზის სექტორში გაიცა მიწოდების - 1, განაწილების – 11 ლიცენზია და მოდიფიკაცია გაუკეთდა 11 ლიცენზიას. ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში არც ერთი ობიექტის პრივატიზაცია არ განხორციელებულა.

2003 წელს სემეკის საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი იყო ელექტროენერგეტიკის სექტორში აღრიცხვის სისტემებში დარღვევების გამოვლენა და ელექტროენერჯის დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. 2002 წელს სემეკის გადაწყვეტილებით სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოხედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტთან ერთად შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომლებმაც 2002-2003 წლებში შეამოწმეს სხვადასხვა ლიცენზიატის და მსხვილი სამრეწველო მომხმარებლის აღრიცხვის კვანძები. გამოვლინდა ამ პერიოდში თითქმის 415 მილიონი კვტსთ აღურიცხავი

ელექტროენერგია, რომლის მთავარი მიზენი, ხშირ შემთხვევაში, აღრიცხვის კვანძების მოუწესრიგებლობა ან მაჩვენებლების გაყალბება და სხვა უკანონო საქმიანობა იყო, რის გამოც შემოწმების მასალები 2003 წლის აგვისტოში, შემდგომი რეაგირებისათვის, გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას. შემოწმების შედეგად დარღვევები გამოვლინდა საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის ერთ-ერთ ობიექტზე მიწოდებული ელექტროენერგიის აღრიცხვაში. სემეკის უშუალო ჩარევით თავიდან იქნა აცილებული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში 46 მილიონი კვტსთ ელექტროენერგიის უკანონოდ ჩამოწერის ფაქტი. აღნიშნული შემოწმების მასალები ასევე გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას. ყველა მათგანზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა სწორედ მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის აღრიცხვის მოწესრიგებაა და ამ მიმართულებით სემეკის საქმიანობა კვლავაც გაგრძელდება.

სპეციალური გამოკვლევები და შემოწმებები ჩატარდა ე.წ. „მცირე ლიცენზიატების“ საქმიანობასთან დაკავშირებით ელექტროენერგეტიკულ სექტორში. შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ბევრი მათგანი არღვევს ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის პირობებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის საქმიანობას. საკითხის შესწავლა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე სემეკი და ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის სპეციალისტების მონაწილეობით შემოწმდა ყველა „მცირე ლიცენზიატი“. შედეგები მოსმენილ იქნა სემეკის საჯარო სხდომაზე. ზოგიერთ მათგანს ჩამოერთვა ლიცენზია, ზოგიერთს დროებით შეუჩერდა, უმეტესობას მიეცა გაფრთხილება. ამის შემდეგ, 2003 წლის მეორე ნახევარში, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის წარმომადგენლების მონაწილეობით გაანალიზდა წინა შემოწმების შედეგები და გადამოწმდა ადგილებზე. შესრულებული სამუშაო და მოპოვებული ფაქტობრივი მასალები მიუთითებენ იმაზე, რომ „მცირე კომპანიების“ მუშაობა, ერთი მხრივ, არაეფექტურია, ხშირია ლიცენზიის პირობების დარღვევები, ხელს უშლიან გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის საქმიანობას, ვერ თავსდებიან სახელმწიფოს ერთიან ენერგეტიკულ პოლიტიკაში და, ამდენად, საჭიროა მათი მინიმალურ რაოდენობამდე დაყვანა. ამ პოზიციას იზიარებენ დონორი ორგანიზაციებიც. ამასთან, „მცირე ლიცენზიატებისათვის“ ლიცენზიების ჩამორთმევა ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ შეილახოს მეწარმის კანონიერი ინტერესები. ამ მიმართულებით სემეკს და გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები.

2003 წელს ხორციელდებოდა სატარიფო სისტემის შემდგომი მოწესრიგება, ეკონომიკური ანალიზისა და ფინანსური მონიტორინგის სრულყოფის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების დამუშავება. ამ მიზნით სემეკის გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური უწყებათაშორისი კომისია, რომელშიც პრაქტიკულად ყველა დაინტერესებული და შესაბამისი კომპეტენციის უწყება და ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას. მოწვეული იყვნენ აგრეთვე ადგილობრივი და

უცხოელი ექსპერტები, მათ შორის სემეკის თხოვნით, USAID-ის დაფინანსებით მუშაობაში მონაწილეობას იღებდა PA consulting-ის ექსპერტი ელიოტ ტანოსი.

ტარიფების დადგენის ახალი სრულყოფილი მეთოდოლოგია მზად არის და მისი განხილვა და დამტკიცება დაგეგმილია 2004 წლის მე-2 კვარტალში.

ლიცენზიატების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზისა და ფინანსური მონიტორინგის მიზნით, სემეკისა და PA consulting-ის მიერ შემუშავდა ფინანსური ანგარიშგების ახალი ფორმები, რომელიც ეყრდნობა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სისტემას. იგი კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის ენერგოკომპანიების საქმიანობას და ხელს შეუწყობს ობიექტური სატარიფო პოლიტიკის გატარებას.

2003 წელს ელექტროენერგეტიკულ სექტორში მოქმედი საბითუმო და საცალო ტარიფები 2-ჯერ შეიცვალა, ორივე შემთხვევაში იგი დაკავშირებული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მოთხოვნების შესრულებასთან.

ბუნებრივი გაზის სექტორთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით კვლავ იზრდება მომხმარებელთა რაოდენობა.

თბილგაზის ბაზაზე შეიქმნა ამხანაგობა „ახალი მენჯემენტი“, რომლის ძირითადი საქმიანობა მიმართულია გაზის მეურნეობის რეაბილიტაციასა და ბუნებრივი გაზის მოხმარების საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაზრდაზე.

ასევე განხორციელდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ცვლილებები „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში 2003 წლის 22 ივლისს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, სემეკთან, მისი აპარატისაგან დამოუკიდებლად, შეიქმნა ელექტროენერჯისა და გაზის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2003 წლის ოქტომბრიდან და, იმედია, იგი წარმატებით გაართმევს თავს ისეთ ურთულეს სფეროს, როგორცაა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა უფლების დაცვა. ამასთან დაკავშირებით, სემეკის სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი გადაკეთდა ინფორმაციული უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტად. გარდამავალ პერიოდში მან კვლავაც დიდი სამუშაო გასწია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში, გადაიჭრა მომხმარებელსა და ლიცენზიატებს შორის წარმოშობილი მრავალი სადავო საკითხი. რეგულარულად ტარდება მომხმარებლებსა და ლიცენზიატებს შორის შეხვედრები. მოქმედებს სატელეფონო „ცხელი ხაზი“, საინფორმაციო საშუალებებით შუქდება სემეკის საქმიანობა. ფუნქციონირებს სემეკის ვებგვერდი ([WWW.gnerc.org](http://WWW.gnerc.org))

2003 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები დეტალურად განხილულია წინამდებარე ანგარიშში.

**საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია:  
სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და დაფინანსება**

## 1.1 სტრუქტურა და კადრებით უზრუნველყოფა

### ა) კომისიის წევრები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისია შედგება სამი წევრისაგან. 1997 წლის 8 აგვისტოდან 2003 წლის 8 აგვისტომდე კომისიის თავმჯდომარე იყო ელიზბარ ერისთავი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის № 351 განკარგულებით ამ თანამდებობაზე დაინიშნა 6 წლის ვადით. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 12 აგვისტოს № 389 ბრძანებულებით კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა დავით მირცხულავა, კომისიის წევრები არიან დემურ ჩომახიძე და პაატა ცინცაძე, რომლებიც თანამდებობებზე დაინიშნენ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 7 აგვისტოს №960 განკარგულებით. კომისიის თავმჯდომარის დავით მირცხულავას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით, 2003 წლის 19 დეკემბრიდან სემეკის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს სემეკის წევრი დემურ ჩომახიძე.

### ბ) კომისიის აპარატი

2003 წლის 21 აგვისტომდე აპარატს ხელმძღვანელობდა აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, რომელიც ამ თანამდებობაზე შეცვალა ნოდარ ჩიხლაძემ. იგი სპეციალობით ინჟინერ-თბოენერგეტიკოსია.

2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომისიის აპარატი შედგება 92 მუშაკისაგან. სემეკის დებულების შესაბამისად, კომისიის აპარატის შემადგენლობაშია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ა. 6 დეპარტამენტი (ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, ეკონომიკური ანალიზისა და ფასწარმოქმნის, იურიდიული, მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის);
- ბ. სერტიფიკაციის ცენტრალური ორგანო;
- გ. თავმჯდომარის აპარატი;
- დ. 2 განყოფილება (საერთო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო);
- ე. ბუღალტერია;
- ვ. მომსახურე პერსონალი.

აპარატი, ძირითადად, დაკომპლექტებულია ინჟინერ-ენერგეტიკოსებით, გაზის მეურნეობის სპეციალისტებით, ეკონომისტებითა და იურისტებით. აპარატის 72 სპეციალისტიდან ენერგეტიკოსი და გაზის მეურნეობის სპეციალისტია 23, ანუ სპეციალისტთა საერთო რაოდენობის 31.3%, ეკონომისტი —16 ანუ საერთო რაოდენობის 22.2% და იურისტი - 9 ანუ 12.5%. გარდა ამისა, აპარატში არიან საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სხვადასხვა სპეციალობის 24 მუშაკი (33.3%).

აპარატის მუშაკების მიღება წარმოებს საკონტრაქტო სისტემით.

2002 წელს სემეკის აპარატი დაკომპლექტებული იყო 51 სპეციალისტით, 2003 წელს საშტატო განრიგით მათი რაოდენობა გაიზარდა 21 ერთეულით.

### სემეკის სტრუქტურა:

№	დეპარტამენტი	ხელმძღვანელის სახელი, გვარი
1	ადმინისტრაციული დირექტორი	ნოდარ ჩიხლაძე
2.	იურიდიული დეპარტამენტი - 9 საშტატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი სამმართველოს უფროსი - 2 საშტატო ერთეული მთავარი იურისტი - 3 საშტატო ერთეული უფროსი იურისტი - 2 საშტატო ერთეული საქმისმწარმოებელი - 1 საშტატო ერთეული	თამაზ ინაშვილი
3.	ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტი -- 13.5 საშტატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი სამმართველოს უფროსი - 2 საშტატო ერთეული სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული მთავარი სპეციალისტი - 6 საშტატო ერთეული წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული კონსულტანტი - 0.5 საშტატო ერთეული ოპერატორი - 1 საშტატო ერთეული	ლალი გოგიშვილი
4.	გონომიკური დეპარტამენტი - 14 საშტატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი სამმართველოს უფროსი - 2 საშტატო ერთეული მთავარი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული ფინანსური ექსპერტი - 1 საშტატო ერთეული წამყვანი სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული სტაჟიორი - 1 საშტატო ერთეული	ივერი შალამბერიძე
5.	ბუნებრივი გაზის დეპარტამენტი - 6 საშტატო ერთ. დეპარტამენტის დირექტორი სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული მთავარი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული მთავარი ექსპერტი - 1 საშტატო ერთეული წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული	დიმიტრი ნამგალაძე



6.	მთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის ეპარტამენტი - 8 საშტატო ერთეული. დეპარტამენტის დირექტორი მთავარი სპეციალისტი – 5 საშტატო ერთეული წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული სტაჟიორი - 1 საშტატო ერთეული	ალექსანდრე ხეთაგური
7	საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი - 7 საშტატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი მასმედიის სამსახურის მდივანი – 1 საშტატო ერთეული საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის მდივანი - 2 საშტატო ერთეული წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული	ნინო ასათიანი
8.	საერთო განყოფილება - 5 საშტატო ერთეული განყოფილების გამგე საქმისმწარმოებელი, არქივისთვის პასუხისმგებელი პირი – 1 საშტატო ერთეული საქმისმწარმოებელი - 2 საშტატო ერთეული კურიერი - 1 საშტატო ერთეული	მზია სუქნიძე
9.	ბულალტერია - 2 საშტატო ერთეული მთავარი ბულალტერი ბულალტერი – 1 საშტატო ერთეული	მარიამ სომხიშვილი
10.	აპარატის სხვა მუშაკები -- 6 საშტატო ერთეული	
11.	სამეურნეო განყოფილება– - 18 საშტატო ერთეული განყოფილების უფროსი	კონსტანტინე ბოკუჩავა

**გ) მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური**

„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში 2003 წლის 22 ივლისს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, 2003 წლის ოქტომბერში სემეკთან, მისი აპარატისაგან დამოუკიდებლად, შეიქმნა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური. სამსახური შედგება საზოგადოებრივი დამცველისა და სამი თანაშემწის საშტატო ერთეულისაგან. საკონკურსო გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი დამცველის ხელფასი განისაზღვრა

სემეკის თავმჯდომარის ხელფასის 60%-ით, ხოლო თანამშემწეების ხელფასი - საზოგადოებრივი დამცველის ხელფასის 50%-ის ოდენობით.

„ადამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საზოგადოებრივი დამცველის უფლება-მოვალეობებია:

- ა. დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები;
- ბ. შეაფასოს მომხმარებლებზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა შედეგები;
- გ. მომხმარებელთა სახელით გამოვიდეს მხარედ მარეგულირებელ ორგანოში;
- დ. გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციასა თუ მასალას, რაც კანონით ნებადართულია მარეგულირებელი კომისიისათვის გასაცნობად;
- ე. წარმოადგინოს ინდივიდუალური მომხმარებელი მომსახურე კომპანიასთან დავაში;
- ვ. მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ინტერესებზე.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახური წარმოადგენს რეგულირების შემადგენელ საქმიანობას და მისი დაფინანსება ხდება შესაბამის მარეგულირებელ ორგანოში გადახდილი რეგულირების საფასურიდან და აისახება მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში. აღნიშნული სამსახური მოქმედებს 2003 წლის 1 ოქტომბრიდან. სამსახურის უფროსია დავით ებრაღიძე, შტატშია აგრეთვე სამი თანამშემწე, სულ 4 სამშატო ერთეული.

## 1.2. მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, ფინანსური უზრუნველყოფა და კონტროლი

2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სემეკის ფართობი შეადგენს 1440,7 მ<sup>2</sup>, ოფისი კეთილმოწყობილია. საანგარიშო წელს შეძენილ იქნა 24 200 ლარის ღირებულების აღჭურვილობა (კარადები, მაგიდები, სკამები და ა.შ.). გარდა ამისა, 2003 წელს შეძენილ იქნა 38 100 ლარის ღირებულების კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა.

სემეკის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროა რეგულირების საფასური. ამ გზით საანგარიშო წელს სულ შემოსულია 1.605.916 ლარი, საიდანაც ბიუჯეტში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში გადარიცხულია 542.225 ლარი. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მივლინებების დასაფინანსებლად მიღებულია 16 857 ლარი.

2003 წელს ქ. თბილისის პროკურატურის დავალებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ჯგუფის თანამშრომლების მიერ ჩატარდა

სემეკის 1998-2002 წლების საქმიანობის შემოწმება. შემოწმების შედეგად დარღვევები არ გამოვლენილა.

## 2. სამართლებრივი და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა

### 2.1. სამართლებრივი საქმიანობა

იურიდიული დეპარტამენტის უმთავრეს ფუნქციას, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სემეკისა და მისი აპარატის სამართლებრივად გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით 2003 წელს იურიდიული დეპარტამენტის მონაწილეობით მომზადდა 29 დადგენილება და 129 გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ 2003 წელი სემეკის არსებობის ისტორიის მანძილზე აღინიშნა სასამართლო პროცესების სარეკორდო მაჩვენებლით. კერძოდ, 2003 წელს სემეკი მოპასუხედ ან მესამე პირად ჩართული იქნა 31 სასამართლო პროცესში და აღნიშნულ საკითხებზე გაიმართა 100-ზე მეტი სასამართლო სხდომა. ცხადია, სასამართლო კონტროლი ზოგადად, წარმოადგენს, რეგულატორის ინსტიტუტის, მათ

შორის, სემეკის კონტროლის საყოველთაოდ მიღებულ და აპრობირებულ საშუალებას. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, საკმაოდ ხშირად არასპეციალისტებისა და მასის განსჯა-განხილვის საგანი ხდება რთული ეკონომიკური, სოციალური, ენერგეტიკული და სამართლებრივი საკითხები, მაშინაც კი, როდესაც ასეთი სპეციფიკური საკითხები განიხილება კომპეტენტური სასამართლო ორგანოების მიერ, ნათელი ხდება, რომ ამგვარი რთული სოციალური ეკონომიკური საკითხები სასამართლოს მეშვეობით ვერ გადაწყდება.

ამგვარი დასკვნის უტყუარობაში ნათლად დაგვარწმუნა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სემეკის მიერ რეალურ ეკონომიკურ გათვლებზე დამყარებულმა ელექტროენერგეტიკის სამომხმარებლო ტარიფის გაუქმებამ. როგორც ცნობილია, შემდგომში ელექტროენერგეტიკის სამომხმარებლო ტარიფის ზრდის ეკონომიკური კანონზომიერების აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა იმავე ტარიფის აღდგენა, ვინაიდან სოციალური საკითხების სასამართლოს მეშვეობით გადაწყვეტის მცდელობამ სასურველი ეფექტი ვერ მოგვცა.

აღნიშნულის გარდა, ხშირად რეგულირების პროცესში წამოიჭრება ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხები, რომელთა თაობაზე აუცილებელია კონსულტაციების გამართვა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან ამგვარი კონსულტაციების იგნორირებამ შესაძლებელია ზიანი მოუტანოს როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ისე ნებისმიერ მომხმარებელს.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს ერთი და იმავე საკითხის თაობაზე სემეკისა და ფასების სახელმწიფო ინსპექციის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება. როგორც ცნობილია, ფასების სახელმწიფო ინსპექციის ფუნქციას წარმოადგენს მეწარმის მიერ რეგულირებადი ფასის, მათ შორის სემეკის მიერ დადგენილი ფასის გამოყენებისა და დაცვის კონტროლი. აღნიშნული ფუნქციის შესრულების პროცესში, ფასების სახელმწიფო ინსპექციის მიერ შემოწმდა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში დასაქმებული უამრავი წამყვანი საწარმო. მათ, სემეკის პოზიციის ყოველგვარი გარკვევის გარეშე და, ხშირ შემთხვევაში, პოზიციის სრული იგნორირებით, დაეკისრათ უზარმაზარი საჯარიმო სანქციები. უმთავრესი ისაა, რომ ამგვარი საჯარიმო სანქციების არც გადახდის წყარო არსებობს და გადახდის შემთხვევაშიც კი დაზარალებულია ქვეყნის ეკონომიკა და მომხმარებლები. სამწუხაროდ, ასეთია, რეალობა და ამის გამო სემეკი იძულებული გახდა 2003 წელს სახელმწიფო ორგანოსთან – ფასების სახელმწიფო ინსპექციასთან – ურთიერთობა სასამართლოს მეშვეობით გაერკვია.

როგორც აღინიშნა, იურიდიული დეპარტამენტის მიერ, 2003 წელს მნიშვნელოვანი სამუშაო იქნა გაწეული სემეკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის შექმნის თვალსაზრისით. ობიექტურობის დაცვის მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი ბაზის შექმნა განსაკუთრებით აქტუალური და რთულია რეგულირებად სფეროში, სადაც ხდება არათანასწორ მდგომარეობაში მყოფი მონოპოლისტი მეწარმისა და არჩევანის არმქონე მომხმარებელთა ინტერესების ურთიერთდამთხვევა- დაბალანსება.

ამასთან, სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობამ, 2003 წელს დღის წესრიგში დააყენა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამატებების

მიღების აუცილებლობა. იურიდიული დეპარტამენტის მიერ, ამ თვალსაზრისით, მომზადდა კანონპროექტი. აღნიშნული კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს რეგულირების ინსტიტუტის ეფექტურობის ამაღლებას.

## 2.2. მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა

სემეკის აპარატში ასეთი სამსახური შეიქმნა 2002 წლის ბოლოს. მისი ფუნქციებია: საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის საქმიანობის მონიტორინგი და შესაბამისი დასკვნების მომზადება;

- ა) ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში მოქმედი ლიცენზიატების მიერ სემეკში წარმოდგენილი საინვესტიციო პროგრამების განხილვა;
- ბ) ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში ლიცენზიების გაცემის, მოდიფიცირების, შეჩერებისა და გაუქმების წესების, აგრეთვე ექსპორტ-იმპორტის კვოტებისა და სხვა სახის მეთოდოლოგიური საკითხების შემუშავება;
- გ) ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში მიმდინარე რეფორმების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- დ) აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, სემეკის კომპეტენციის ფარგლებში, ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში, ინვესტორებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტების განხილვაში მონაწილეობა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება;
- ე) ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტის მიერ პირდაპირი ხელშეკრულებებით გასაყიდი ელექტროენერჯის კვოტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- ვ) ეკონომიკური ანალიზისა და ფასწარმოქმნის დეპარტამენტის მიერ ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავებაში, ანალიზისა და სრულყოფაში მონაწილეობის მიღება;
- ზ) სემეკის ინფორმაციული ბაზის შექმნა და მისი მუდმივი განახლება. სემეკის აპარატის შიდა კომპიუტერული ქსელის გამართული მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა, აგრეთვე სემეკის მუშაობისათვის საჭირო

სამართლებრივი აქტებისა და სხვადასხვა სახის ინფორმაციის შიდა კომპიუტერულ ქსელში განთავსება;

თ) სემეკის ელექტრონული ვებგვერდის შექმნა, დამუშავება და მისი მუდმივი განახლება. სემეკის დადგენილებების, გადაწყვეტილებების, შესაბამისი საოქმო ჩანაწერების, წლიური ანგარიშების, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორების სხვადასხვა სახის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და სემეკში არსებული სხვა სახის საჯარო ინფორმაციის, სემეკის ელექტრონულ ვებგვერდზე განთავსება;

საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტთან ერთად, საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიურ კომისიებთან, ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალურ ასოციაციასთან ( ლლ ) და აშშ-ის კომუნალური რეგულირების კომისიების ნაციონალურ ასოციაციასთან ( ლ ჩ ) სემეკის კავშირის უზრუნველყოფა. ენერგეტიკის სექტორის რეგულირების საკითხებზე არსებულ სიახლეებთან და დარგში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

2003 წელს მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უშუალოდ მოამზადა და უზრუნველყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სემეკის შემდეგი დადგენილებების რეგისტრაცია:

1. „სემეკის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების პროფესიული და ეთიკური ქცევის წესების“ დამტკიცების შესახებ (2003 წლის 8 აპრილის №2 დადგენილება);

2. „პირდაპირი ხელშეკრულების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ (2003 წლის 2 მაისის №6 დადგენილება). იგი სიახლეს წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატებისა და პირდაპირი მომხმარებლებისათვის, ვინაიდან პირდაპირი ხელშეკრულებების არსებობის ისტორიაში პირველად მოხდა ამ საკითხების რეგლამენტირება. ამ წესების შემოღების უპირველეს მიზანს წარმოადგენდა პირდაპირი ხელშეკრულებების რეგულირების სფეროში სემეკისა და სესბის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა და დაკონკრეტება. წესებში განსაზღვრულია, თუ რა პირობებია საჭირო, რათა, ნებადართულ იქნეს პირდაპირი ხელშეკრულების დადება და მისი გაფორმების ვადების გარკვეულ კანონზომიერებაში მოქცევა;

3. „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ (2003 წლის 20 მაისის №7 დადგენილება). მასში ახლებურად არის განსაზღვრული კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები;

4. „ელექტრობაზრის წევრთა საწევრო შენატანების განსაზღვრისა და გადახდის წესის დებულების დამტკიცების შესახებ” (2003 წლის 19 ივნისის №9 დადგენილება). მისი მიღების აუცილებლობა გამოიწვია 2001 წელს საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარში მართვის უფლებით ესპანური კონსორციუმის სპონსორული ინვესტირების ჩონსულტორია-ის შემოსვლამ. როგორც ცნობილია, ელექტრობაზრისა და კონსორციუმს შორის დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია მმართველის მიერ გაწეული საქმიანობის ანაზღაურების ვალდებულება. აღნიშნული ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ელექტრობაზრის ბიუჯეტის ხარჯზე, რომლის შევსების წყაროს წარმოადგენს ელექტრობაზრის წევრების მიერ გადახდილი საწევრო შენატანები;

5. „საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ” (2003 წლის 7 აგვისტოს №12 დადგენილება);

6. „საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ” (2003 წლის 24 სექტემბრის №18 დადგენილება).

ამ დადგენილების მიღება განაპირობა საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის სტრუქტურულმა ცვლილებებმა. კერძოდ, შეიქმნა სამი ახალი სტრუქტურული ერთეული, ხოლო ორ არსებულს შეეცვალა სახელი. ამასთან, სემეკის წინა დებულებებისაგან განსხვავებით, აღნიშნული დებულების სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მასში განსაზღვრულია სტრუქტურული ქვედანაყოფები და მათი ფუნქციები. გარკვეული ცვლილებებია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებშიც, რაც გამოიხატება მათ შორის ზოგიერთი ფუნქციის გადანაწილებაში;

7. „პირდაპირი ხელშეკრულების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ” სემეკის 2003 წლის 2 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (2003 წლის 13 ოქტომბრის №20 დადგენილება).

აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანა განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ლიცენზიატები და პირდაპირი მომხმარებლები მოუმზადებლნი შეხვდნენ კანონმდებლობის ამ ნოვაციას და დადგენილ ვადებში ვერ მოხერხდა მათ მიერ ხელშეკრულების წარმოდგენა. დადგენილებაში ცვლილებების შეტანა უზრუნველყოფს ამ ვადების გადაწევას, რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული ხელშეკრულებების დადება.

დადგენილებაში შესული ცვლილებები გულისხმობს, რომ „პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადახდა უნდა განხორციელდეს სესბის წევრებს შორის გაფორმებული საკონტოკორენტო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად”;

8. „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (2003 წლის 27 ნოემბრის №23 დადგენილება).

„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით შემოღებულ იქნა საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტი.

ამ საკანონმდებლო ნოვაციამდე, საზოგადოებრივი დამცველის დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებდა სემეკში არსებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი. აღნიშნული ცვლილებებით შესაძლებელი გახდა მარეგულირებელ ორგანოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სპეციალური ერთეულის (სამსახურის) შექმნა. შესაბამისად, ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტი;

9. „სემეკის 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (2003 წლის 27 ნოემბრის №24 დადგენილება).

აღნიშნული დადგენილების მიღება განაპირობა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძველების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნამ, რის საფუძველზეც დამტკიცდა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სალიცენზიო მოწმობის ფორმა;

10. „სემეკის 2001 წლის 10 სექტემბრის №11 დადგენილებასა და “საბაზრო წესებში” ცვლილებების შეტანის შესახებ” (2003 წლის 4 დეკემბრის №25 დადგენილება).

ამ დადგენილების საფუძველზე იცვლება ელექტროენერგეტიკულ სექტორში არსებული ანგარიშსწორების წესი ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის დროს. არსებული რედაქციით ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის დროს ანგარიშსწორება ხორციელდება სატრანსფერტო ანგარიშის მეშვეობით, რომლის მართვასაც ახორციელებს საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი. ცვლილების შედეგად არსებითად იცვლება აღნიშნული ანგარიშის სამართლებრივი ბუნება და იგი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, ჩამოყალიბდება კონტოკორენტის – სპეციალური ანგარიშის სახით. ცვლილების შემუშავების მიზანს წარმოადგენდა ანგარიშსწორების უფრო გამჭვირვალე და ეფექტური სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფდა ელექტრობაზრის საქმიანობის ყველა უმთავრესი პრინციპის – სამართლიანობის, ბაზრის წევრთა თანასწორუფლებიანობის, გამჭვირვალეობის, დამოუკიდებლობისა და დროული ანგარიშსწორების მაქსიმალურ დაცვას.

სპეციალური ანგარიში – კონტოკორენტი საანგარიშო წელს შეიმუშავა ელექტრობაზარმა და დამტკიცდა ელექტრობაზრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით;



11. „პირდაპირი ხელშეკრულების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ” სემეკის 2003 წლის 2 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (2003 წლის 18 დეკემბრის №28 დადგენილება).

ამ დადგენილებაში ცვლილების განხორციელება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ აღნიშნული დადგენილების პირველი რედაქციით, პირდაპირი ხელშეკრულებით ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის დროს, ანგარიშსწორება ხორციელდებოდა სატრანსფერტო ანგარიშის მეშვეობით, რომლის გახსნასა და მართვას ახორციელებდა საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი. ამასთან, არსებული პერიოდის განმავლობაში, სესხის მიერ ვერ მოხერხდა ელექტრობაზრის სატრანსფერტო ანგარიშის სპეციალური ქვეანგარიშის საკითხის მოწესრიგებაც.

აღნიშნულ დადგენილებაში, სემეკის 2003 წლის 13 ოქტომბრის №20 დადგენილებით განხორციელებულმა ცვლილებამ, არსებითად შეცვალა ანგარიშის სამართლებრივი ბუნება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 23-ე თავის საფუძველზე დაადგინა საკონტოკორენტო ხელშეკრულების დადებისა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სპეციალური ანგარიშის გახსნის ვალდებულება.

საკონტოკორენტო ხელშეკრულების შემოღების ერთ-ერთი მიზანი ის იყო, რომ ანგარიშის გახსნასა და მართვას განახორციელებდა არა მარტო საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი, არამედ პირდაპირი ხელშეკრულების მონაწილე მხარეებიც.

გამომდინარე იქიდან, რომ საკონტოკორენტო ხელშეკრულება წარმოადგენს სიახლეს არა მარტო ელექტროენერჯეტიკის სფეროს ლიცენზიატებისათვის, არამედ საქართველოს საბანკო სისტემისთვისაც. დადგენილ ვადაში (2003 წლის 1 დეკემბერი) ვერ მოხერხდა საკონტოკორენტო ხელშეკრულების გაფორმება და შესაბამისი ანგარიშის გახსნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭირო გახდა შესაბამისი ცვლილების შეტანა სემეკის 2003 წლის 2 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებულ „პირდაპირი ხელშეკრულების რეგულირების წესში”, რაც ვადის გადაწევას გულისხმობს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტმა მოამზადა 22 გადაწყვეტილება (იხ. დანართი 1).

### 3. ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირება

#### ა) ელექტროენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება

საანგარიშო 2003 წელს საქართველოს ენერგოსისტემის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 7 115,8 მლნ კვტსთ ელექტროენერგია, რაც 1,6 %-ით ნაკლებია წინა 2002 წელთან შედარებით. მათ შორის: ჰიდროელექტროსადგურებში გამოიმუშავებული ელექტროენერგია შემცირებულია 2,9%-ით და შეადგინა 6 525,8 მლნ კვტსთ. თბოელექტროსადგურების გამოიმუშავება გაიზარდა 14,9%-ით და შეადგინა 590,0 მლნ კვტსთ. ჰესების გამოიმუშავების შემცირება, ძირითადად,

განპირობებულია ატმოსფერული ნალექების სიმცირით, ხოლო თესვის გამომუშავების ზრდა სს „ეი-ი-ეს მტკვარის“ მე-9 ენერგობლოკის შედარებით სტაბილური მუშაობით. 2002 წელს აპრილის თვეში რუსეთის ენერგოსისტემიდან საქართველოს ენერგოსისტემაში გადმოდინებული ელექტროენერჯის დაბრუნების მიზნით, რუსეთში განხორციელდა ელექტროენერჯის ექსპორტი, 231,6 მლნ კვტსთ, რაც 5,2%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. ელექტროენერჯის იმპორტი კი გაზარდა 18.7%-ით. იმპორტი განხორციელდა როგორც რუსეთის, ასევე სომხეთის ენერგოსისტემებიდან, შესაბამისად 621,5 მლნ კვტსთ და 212,6 მლნ კვტსთ.

2004 წლის 1 იანვრისათვის მარეგულირებელი ჰესების წყალსაცავებში დაგეგმილი იყო 471,3 მლნ კვტსთ ელექტროენერჯის ეკვივალენტური წყლის მარაგის დაგროვება. ფაქტობრივად, ამ პერიოდისათვის იყო 199,2 მლნ კვტსთ-ის ეკვივალენტური წყალი ანუ გეგმის 42,2%.

ენერგოსისტემის ელექტროსადგურების ტექნიკური მდგომარეობა, ზოგადად, შეიძლება შეფასდეს შემდეგი მონაცემებით: 4564,284 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრიდან საანგარიშო წლის ბოლოსათვის ქონებული ჯამური სიმძლავრე შეადგენდა 2050,200 მგვტ-ს, ხოლო მუშა სიმძლავრე – 1421 მგვტ-ს. აქედან, ჰიდროელექტროსადგურების ჯამური 2733,226 მგვტ დადგმული სიმძლავრიდან ქონებულია 1415,200 მგვტ, ხოლო მუშა – 1221,200 მგვტ. მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ელექტროენერჯის წარმოების ობიექტების ტექნიკური მდგომარეობა საგანგაშოა, რაც აღრმავებს ელექტროენერჯის დეფიციტს, ზრდის ტარიფებს, ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანებს და უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკასა და ფინანსებზე.

ენერგოსისტემაში ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სტრუქტურაში მნიშვნელოვანია ენგურჰესის წილი. მისმა გამომუშავებამ შეადგინა 3 მილიარდამდე კვტსთ; სადგურის 5 აგრეგატიდან (დადგმული სიმძლავრე 1300 მგვტ) მუშა მდგომარეობაშია მხოლოდ სამი 750 მგვტ მუშა სიმძლავრით. გაძარცვულია 260 მგვტ სიმძლავრის №3 ჰიდროაგრეგატი. ენგურის კასკადის ოთხი ვარდნილი ჰესიდან ექსპლუატაციაშია მხოლოდ I, რომლის 200 მგვტ დადგმული სიმძლავრიდან მუშა სიმძლავრე შეადგენს მხოლოდ 110 მგვტ-ს. დანარჩენი სამი, ვარდნილჰესი – II, III, IV, მთლიანად დატბორილი და გაჩერებულია. სპეციალისტების შეფასებით, აღნიშნული სადგურები გაჩერების პერიოდში გამოიმუშავებდნენ 4 მილიარდ კვტსთ-ზე მეტ იაფ ელექტროენერჯას. წლების განმავლობაში დიდი ოდენობით წყალი იღვრება ენგურჰესის კაშხალიდან, საკეტი ფარის ჩავარდნის გამო. ფარის ამოღებას და დამონტაჟებას სჭირდება უმნიშვნელო თანხები, რომლის მიღება პრობლემად არ უნდა ქცეულიყო. ენგურის კასკადის ჰიდროელექტროსადგურების სრული რეაბილიტაცია სექტორს საშუალებას მისცემდა წელიწადში ეწარმოებინა 5 მილიარდ კვტსთ-ზე მეტი იაფი ელექტროენერჯია, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა ელექტროენერჯის დეფიციტს, შესაბამისად ელექტროენერჯის იმპორტს და ვალუტის გაღინებას საქართველოდან; გაზრდიდა შემოსავლებს ქვეყნის ბიუჯეტში და დარგის ფუნქციონირების ეფექტურობას; აგრეთვე შემცირდებოდა სიმძლავრის დეფიციტი, რაც გაზრდიდა სისტემის ფუნქციონირების საიმედოობას, შეამცირებდა ავარიებს და გააღვილებდა

სისტემის რეჟიმულ მართვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი რიგის გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს მთლიანად ენგურის კასკადის ჰესების რეაბილიტაციისათვის შიდა და გარე ინვესტიციების მოზიდვის დაჩქარება და სარემონტო სამუშაოების დროულად დაწყება.

ჰიდროელექტროსადგურებიდან შედარებით უკეთეს ტექნიკურ მდგომარეობაშია ხრამჰესი – I. მისი დადგმული 113,450 მგვტ–დან ქონებული სიმძლავრე შეადგენს 110 მგვტ–ს. ამჟამად სარემონტოდ გაჩერებულია ხრამჰესი – II. დაწყებულია სადგურის რეაბილიტაცია იაპონური კრედიტით, მოწყობილობა–დანადგარები შეტანილია მთლიანად, მაგრამ სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოები არ მიმდინარეობს, ბანკთან არსებული ფინანსური პრობლემების გამო. კრედიტით შეძენილი მოწყობილობები მოთავსებულია სადგურის ტერიტორიაზე და ზიანდება, სექტორს აკლდება დიდი რაოდენობით იაფი ელექტროენერგია (იღვრება წყალი).

მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ვარციხე ჰესების კასკადის ოთხი სადგური 184 მგვტ სიმძლავრით, რომელთა ჯამური საპროექტო საშუალო წლიური გამომუშავება 1,0 მილიარდი კვტსთ-ია. 2003 წ. ბოლოსათვის კასკადის ჰესების ჯამური ხელთარსებული სიმძლავრე შეადგენს 70 მგვტს. ელექტროსადგურების (I, II, III, IV) ტექნიკური მდგომარეობა ისეთია, რომ ტექნიკური ნორმების მიხედვით მათი ექსპლუატაცია დაუშვებელია; მოსაწესრიგებელია კასკადის ჰიდროტექნიკური ნაგებობები, რომელთა გაუმართაობის გამო წყალდიდობის დროს საფრთხე ექმნება მიმდებარე სოფლების მოსახლეობას. 1998 წელს გერმანიის (KFW) ბანკის მიერ გამოყოფილი იყო კრედიტი (63მლნ გერმანული მარკა), რომელიც ითვალისწინებდა რეაბილიტაციის პერიოდში და შემდგომ უცხოური მენეჯმენტის განხორციელებას. ბერძნულმა კომპანია „ტერნამ“, რომელმაც გაიმარჯვა საერთაშორისო ტენდერში, არ შეასრულა გერმანიის (KFW) ბანკის მოთხოვნები, რის გამოც ბანკმა კრედიტი გადაანაწილა ენერგეტიკის სექტორში, მათ შორის ვარციხე ჰესისათვის. რეაბილიტაციის ძირითადი საკონტროლო მაჩვენებელი უნდა იყოს ელექტროენერგიის საპროექტო გამომუშავების მიღწევა (1 მლრდ კვტსთ).

ასევე არადაამაკმაყოფილებელია გუმათიჰესებისა და ლაჯანურჰესის აგრეგატებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მდგომარეობა. აუცილებელია პირველი რიგის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-ტექნოლოგიური სქემის დამუშავება და აუცილებელი დაფინანსებით უზრუნველყოფა. ანალოგიური პრობლემებია ენერგოსისტემის თითქმის ყველა დანარჩენ ჰესში.

ელექტროსადგურების დაფინანსებაში არსებული მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, საანგარიშო წელს ჩატარდა გარკვეული სარემონტო სამუშაოები.

2004წლის 1 იანვრის მდგომარეობით სარემონტოდ გაჩერებული იყო 19 აგრეგატი, საერთო დადგმული სიმძლავრით 911,2 მგვტ, მათ შორის: გეგმური რემონტისათვის 10, საერთო დადგმული სიმძლავრით 544,7 მგვტ, არაგეგმური (ავარიული) რემონტისათვის – 9, საერთო დადგმული სიმძლავრით 366,5 მგვტ.

2003 წელს ძირითად დანადგარებზე 170-ჯერ ჩატარდა სხვადასხვა სახის რემონტი, მათ შორის:

ა) გეგმური:

- კაპიტალური - 1,
  - ავარიულ-აღდგენითი - 1,
  - მიმდინარე - 8.
- ბ) არაგეგმური - 160, მათ შორის.
- კაპიტალური - 1,
  - საშუალო - 1,
  - მიმდინარე - 8,
  - ავარიული - 150, მათ შორის (ენგურჰესის №1 ჰ/აგრეგატზე -14, №2 ჰ/აგრეგატზე - 10, №4 ჰ/აგრეგატზე - 10, გუმათჰესის №1 ჰ/აგრეგატზე - 13).

ჰიდროელექტროსადგურებში, დაუფინანსებლობის გამო, რემონტების ჩატარებლობის მიზეზით, ძალიან დაბალია დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი, რის გამოც წყალდიდობის დროს იღვრება დიდი ოდენობით წყალი და იკარგება იაფი ელექტროენერგია. იზრდება ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად პრივატიზებულია 20 ჰესი, საერთო დადგმული სიმძლავრით 105,747 მგვტ, რომელთა ჯამური ქონებული სიმძლავრე, საანგარიშო წლის ბოლოსათვის, შეადგენდა 37,702 მგვტ-ს. ფაქტობრივად გამოყენებულია დადგმული სიმძლავრის დაახლოებით მესამედი.

პრივატიზებულ ჰესებში პრაქტიკულად არ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები (არ ხორციელდება აუცილებელი ინვესტირება). მათგან გამონაკლისია სიონჰესი და ძევრულაჰესის პრივატიზებული აგრეგატი (შპს „მუნღეიკ ჯორჯია“). ჭიანურდება ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო რაც შეეხება 25 წლით მართვის უფლებით AES-ზე გადაცემულ ხრამჰეს-I-ს და ხრამჰეს-II-ს, მათგან პირველზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და ფუნქციონირებს სრული დატვირთვით: როგორც ზემოთ აღინიშნა, ხრამჰეს-II-ში შეტანილია ძირითადი მოწყობილობები, მაგრამ რეკონსტრუქციის დაწყება დაუშვებლად ჭიანურდება. უნდა აღინიშნოს, რომ არ შესრულდა მართვის კონტრაქტით გათვალისწინებული ინვენსტიციების გეგმა, რის გამოც დღის წესრიგში უნდა დადგეს მართვის კონტრაქტის გაუქმების მიზანშეწონილობის საკითხი.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის მდგრადი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია ოპტიმალური სიმძლავრის ბაზისური თბოელექტროსადგურების არსებობა და მათი პირველადი ენერგორესურსებით სტაბილური, შეუფერხებელი უზრუნველყოფა. ბაზისური სადგურებიდან (თბილსრესი, „ეი-ი-ეს მტკვარი) 2003 წლის ბოლოსათვის მუშაობდა „ეი-ი-ეს მტკვარის“ მე-9 ბლოკი, რომლის 300 მგვტ დადგმული სიმძლავრიდან ქონებული სიმძლავრე შეადგენდა 270 მგვტ-ს, ხოლო მუშა სიმძლავრე -200 მგვტ-ს; გარკვეულ პერიოდებში მუშაობდა ეკონომიკურზე ნაკლები სიმძლავრით. რაც შეეხება მე-10 ენერგობლოკს, რომელიც საქაბე აგრეგატის აფეთქების გამო მწყობრიდან არის გამოსული, მისი აღდგენის დაწყების საკითხი ბოლომდე არ არის გარკვეული. ბოლომდე არ არის დადგენილი აფეთქებაზე პასუხისმგებელი მხარე. დავა მიმდინარეობს ბლოკის მფლობელსა და ფირმა „სიმენსს“ შორის). ასევე გაურკვეველია მე-11 თბოენერგობლოკის შემდგომი პერსპექტივა.

გაჩერებულია თბილისის თბოელექტროცენტრალი, გადასაწყვეტია შემდგომი ფუნქციონირების პერსპექტივა. მისი ამოქმედებით მოიხსნება არა მარტო ელექტროენერჯის, არამედ გათბობისა და ცხელი წყლის პრობლემა ქალაქის ცენტრალურ უბნებში.

ენერგოსისტემის რეჟიმული მართვადობის, ელექტროენერჯის დანაკარგების შემცირებისა და საიმედოობის გაზრდის თვალსაზრისით, გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული დასავლეთ საქართველოში ბაზისური თბოელექტროსადგურის (ქვანახშირზე ან ბუნებრივ გაზზე მომუშავე) აშენების საკითხის ფორსირებული შესწავლა.

სერიოზული პრობლემებია ენერგოსისტემაში სიხშირისა და ძაბვების რეგულირების ტექნიკური საშუალებების მუშაობაში. არც ერთ ჰიდროელექტროსადგურში არ მუშაობს აგრეგატების ბრუნვის (სიხშირის) ავტომატური რეგულატორები; გაძნელებულია სიხშირის რეგულირება და სასისტემო ავარიების განვითარებაზე ზემოქმედება, ოპერატიული და სარეზერვო სიმძლავრეების უქონლობის გამო.

ენერგოსისტემის ძირითადი ელექტრული ქსელის 35-110-220-330-500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების 90%-ზე მეტი ორი ლიცენზიატის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და შპს „საქრუსენერგოს“ მართვაშია. შესაბამისად, აღნიშნული ლიცენზიატების ელექტრული ქსელების ტექნიკური მდგომარეობა, მართვის საშუალებების გამართულობა, ძირითადად, განსაზღვრავს ენერგოსისტემის მაღალი ძაბვის ქსელის ტექნიკურ მდგომარეობას და საიმედოობის დონეს.

ენერგოსისტემის მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელი (35–110–220 კვ ელექტროგადამცემი ხაზები და 35–110–220–500 კვ ქვესადგურები) და მთლიანად ენერგოსისტემის მართვის საშუალებების ძირითადი ნაწილი შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მართვაშია, რომელიც შეიქმნა 2002 წელს სს „ელექტროგადამცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად და 5 წლით მართვაში გადაეცა ირლანდიურ კომპანიას (ისბი), რომელმაც მენეჯმენტ კონტრაქტის განხორციელება დაიწყო 2003 წლის 3 მარტს.

სს „საქრუსენერგოს“ დაქვემდებარებაშია 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზები, „ქართლი-I“, „ქართლი-II“, „იმერეთი“, „მუნრანი“, 330 კვ „გარდაბანი“ და 220 კვ „აჭარა“.

ელექტროგადამცემის ობიექტების ძირითადი მოწყობილობებისა და დისპეტჩერული მართვის საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი და მოძველებულია და საჭიროა მათი რეკონსტრუქცია-განახლება. უკანასკნელ წლებში ინვესტიციების ხარჯზე შესრულდა გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელმაც არსებითი გავლენა ვერ მოახდინა ენერგოსისტემის საიმედოობის ამაღლებაზე.

ელექტროგადამცემი ქსელის ტექნიკური ექსპლუატაციის დონე და ენერგოსისტემის დისპეტჩერული მართვის ავტომატიზაციის მოწყობილობების საიმედოობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს საჭირო მაჩვენებლებს. პრობლემის ნაწილობრივი შემსუბუქების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სარემონტო და

აღდგენითი სამუშაოების ოპტიმალური დაგეგმვა და შესრულება, მაგრამ გადაცემასა და დისპეტჩინგზე გაწეული მომსახურების ქრონიკული გადაუხდელობა შეუძლებელს ხდის დაგეგმილი სამუშაოების დროულად და სრული მოცულობით შესრულებას. შეუსრულებელი ნაწილი გადადის მომდევნო წლის გეგმებში და საერთოდ განუხორციელებელი რჩება. მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს გეგმით გაუთვალისწინებელი (ავარიების შემდგომი) აუცილებელი სამუშაოების შეუსრულებლობა; იზრდება ექსპლუატაციისა და საიმედოობის დონის შემდგომი შემცირების რისკი.

ენერგოსისტემის ექსპლუატაციისა და საიმედოობის დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს ელექტროგანადგარებისა და მოწყობილობების დაჩქარებული ცვეთა, რომელიც გამოწვეულია შეზღუდვებისა და სიხშირის არასტაბილურობის გამო, დაუშვებლად ხშირი ჩართვა-გამორთვებით. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ 35-110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების გარკვეული ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ გაძარცვულია და მათ აღდგენას ესაჭიროება სერიოზული სახსრები და დრო.

ელექტროსისტემის მდგრადი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რელეური დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ძირითადი 220-500 კვ ძაბვის ქსელის რელეური დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობების უმეტესობა ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია. 220 კვ ძაბვის ელექტრო გადამცემ ხაზებზე მოქმედებიდან მასობრივად გამოყვანილია ძირითადი სწრაფმოქმედი დიფერენციალურ-ფაზური დაცვები; მოქმედებაშია მხოლოდ სარეზერვო დაცვები. ანალოგიურ მდგომარეობაშია 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზების რელეური დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობები.

ელექტროსისტემაში არ მოქმედებს ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის არც ერთი არხი და მოწყობილობა, ავტომატური განმეორებითი ჩართვის მოწყობილობები.

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს რელეური დაცვისა და ავარიების საწინააღმდეგო ავტომატიკის საშუალებათა ეტაპობრივი რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია, პირველ რიგში 500 კვ ძაბვის სატრანზიტო ქსელის აღჭურვა რელეური დაცვისა და ავტომატიკის თანამედროვე მიკროპროცესორული ციფრული აპარატურით. ასევე, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ელექტროსადგურებში ამჟამად მწყობრიდან გამოსული სიხშირის პირველადი რეგულატორების აღდგენა და სიხშირის მეორადი რეგულირების თანამედროვე სისტემების დამონტაჟება და ამუშავება.

2004–2005წ.წ. დაგეგმილია 500 კვ მაგისტრალური ქსელის აღჭურვა თანამედროვე ციფრული რელეური დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობებით. ამ მიზნით გერმანიის (KfW) ბანკის მიერ გამოყოფილია კრედიტი 12,3 მილიონი ევროს ოდენობით, რომელიც ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნული მოწყობილობების დამონტაჟებას 500 კვ დ. ზესტაფონის, ქსნისა და გარდაბნის ქვესადგურებში, აგრეთვე 500 კვ დ. ზესტაფონის ქვესადგურის ნაწილობრივ რეაბილიტაციას. საერთაშორისო ტენდერის მეშვეობით შერჩეულია საკონსულტაციო ფირმა "FICHTNER", რომელიც ამზადებს გენერალური შემსრულებლის სატენდერო დოკუმენტაციას.

საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის მხარდაჭერის მიზნით, საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ გამოყოფილია კრედიტი 27,4 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. კრედიტი ითვალისწინებს აღრიცხვის კვანძების და ტელეკომუნიკაციის საშუალებების რეაბილიტაციას, SCADA-ს სისტემის დანერგვას.

საქართველოს ელექტროსისტემის ექსპლუატაციისა და საიმედოობის დონის ამაღლების გადაუდებელი სამუშაოების შესასრულებლად, აუცილებელია სოლიდური ინვესტიციები. დამატებითი დაფინანსების გათვალისწინება აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის. ელექტროსისტემის ფილიალები მინიმალურადაც არ არის უზრუნველყოფილი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით და ექსპლუატაციისა და რენოვაციის ინსტრუქციებით; ხარისხობრივად ახალ დონეზე ასაყვანი პერსონალის მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები.

## ბ) ლიცენზირება

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „1“ პუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ლიცენზიები გასცეს ელექტროენერჯის წარმოებაზე, გადაცემაზე, დისპეტჩერიზაციაზე, განაწილებაზე, იმპორტსა და ექსპორტზე, კომისიის მიერ დამტკიცებული წესების, პროცედურებისა და ნორმატიული აქტების თანახმად, გააკონტროლოს თითოეული ლიცენზიატის მიერ ლიცენზიის პირობების დაცვა.

კომისია ლიცენზიას გასცემს მხოლოდ იმ ინდივიდუალურ მეწარმეზე ან იურიდიულ პირზე, რომელსაც აქვს ელექტროენერჯეტიკის სექტორში საქმიანობის კომპეტენცია და აკმაყოფილებს „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით და ლიცენზირების წესებით გათვალისწინებულ პირობებს.

ლიცენზიაში აღნიშნულია სალიცენზიო განაცხადში მითითებული მომსახურების სახე, მომსახურების საშუალებების ადგილმდებარეობა და ტერიტორია, რომელზეც გავრცელდება ლიცენზიის მოქმედება, ლიცენზიის მოქმედების ვადა, ლიცენზიის მოდიფიცირების, შეჩერებისა და გაუქმების პირობები.

სემეკის მიერ 2003 წელს ელექტროენერჯეტიკულ სექტორში გაიცა 11 ლიცენზია; აქედან წარმოების 6, განაწილების 2, იმპორტის 3 და ექსპორტის 1 (იხ. დანართი).

წარმოების ლიცენზია გაიცა შპს „მცირე ენერჯოკომპანიაზე“ (მარტყოფიჭესი, ალაზანჭესი, კაბალჭესი-90), შპს „აბჭესი-ელექტროზე“, შპს „რიცეულაჭესზე“, შპს „აწჭესზე“, სს „თბილსრესზე“ და შპს „ანგლო-მესხეთზე“.

შპს „ბიმოს“, შპს „ალაზანჭესისა“ და შპს „მარტყოფიჭესის“ გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა ერთი იურიდიული პირი - შპს „მცირე ენერჯოკომპანია“,



რომელმაც სემეკში შემოიტანა განაცხადი ელექტროენერჯის განაწილებისა და წარმოების ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ.

სემეკის 2003 წლის 28 თებერვლის №6 გადაწყვეტილებით გაუქმდა: შპს „ბიმოზე“ გაცემული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №006, სერია 14; შპს „ალაზანჰესზე“ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №051, სერია 11; შპს „მარტყოფიჰესზე“ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №005, სერია 11 და შპს „მცირე ენერჯოკომპანიაზე“ გაიცა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №051, სერია 14 და ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია (მარტყოფიჰესი, ალაზანჰესი, კაბალჰესი) №053, სერია 11.

სემეკის 2000 წლის 17 მარტის №14 გადაწყვეტილებით სს „სინათლეზე“ გაცემული იყო ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №008, სერია 14. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 აპრილის დადგენილებით სს „სინათლის“ საფირმო სახელწოდება შეიცვალა სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციად“. ამის გამო, სემეკის 2003 წლის 23 მაისის №25/2 გადაწყვეტილებით, მოდიფიცირებულ იქნა სს „სინათლეზე“ გაცემული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №008, სერია 14 და გაიცა სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციაზე“ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №052, სერია 14.

2003 წლის 31 ივლისს შპს „აჟჰესმა“ სემეკში შემოიტანა განაცხადი ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის მისაღებად. სემეკის 2003 წლის 8 აგვისტოს №34/3 გადაწყვეტილებით, შპს „აჟჰესსზე“ გაიცა ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №056, სერია 11 - 2005 წლის 8 აგვისტომდე.

სემეკის 2001 წლის 26 იანვრის №1 გადაწყვეტილებით, შპს „აბჰესი-ელექტროზე“ გაცემული იყო ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №035, სერია 11, რომლის მოქმედების ვადა დამთავრდა 2003 წლის 26 იანვარს. შპს „აბჰესი-ელექტრომ“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის მისაღებად შესაბამისი დოკუმენტაციით სემეკში შემოიტანა ახალი განაცხადი, სემეკის 2003 წლის 28 თებერვლის №5 გადაწყვეტილებით, შპს „აბჰესი-ელექტროზე“ გაიცა ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №054, სერია 11, 2012 წლის 1 აპრილამდე.

კომისიამ განიხილა შპს „რიცეულაჰესის“ განაცხადი ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის მისაღებად. სემეკის 2003 წლის 8 აგვისტოს №34/2 გადაწყვეტილებით, შპს „რიცეულაჰესზე“ გაიცა ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №055, სერია 11 - 2005 წლის 8 აგვისტომდე.

სემეკის 2000 წლის 28 ივნისის №38 გადაწყვეტილებით, შპს „ანგლო ჯორჯიან პეტროლიუმზე“, როგორც კახარეთჰესის მფლობელზე, გაიცა წარმოების ლიცენზია, №018, სერია 11. ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2000 წლის 28 ივნისიდან 2015 წლის 28 ივნისამდე.

შპს „ანგლო ჯორჯიან პეტროლიუმმა“ 2003 წ. 28 ნოემბრის №08 წერილით მოითხოვა მასზე გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის (№018, სერია 11) გაუქმება, ვინაიდან იგი წყვეტდა ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობას. სემეკის 2003 წლის №48/2 გადაწყვეტილებით გაუქმდა შპს „ანგლო ჯორჯიან პეტროლიუმზე“ გაცემული წარმოების ლიცენზია №018, სერია 11.

შპს „ანგლო მესხეთის“, როგორც კახარეთჰესის ახალი მფლობელის, მიერ სემეკში შემოტანილ იქნა განაცხადი ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის მისაღებად. სემეკის 2003 წლის 24 დეკემბრის №48/3 გადაწყვეტილებით შპს „ანგლო მესხეთზე“ გაიცა ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №058, სერია 11, 2015 წლის 1 ივლისამდე.

სს „თბილსრესზე“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია გაცემული იყო სემეკის 2001 წლის 26 დეკემბრის №126 გადაწყვეტილებით, რომლის მოქმედების ვადა ამოიწურა 2003 წლის 1 მაისს. სემეკის 2003 წლის 3 დეკემბრის №46/1 გადაწყვეტილებით, სს „თბილსრესზე“ გაიცა ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №057, სერია 11, 2008 წლის 1 ივლისამდე.

სემეკის მიერ 2003 წლის 21 აპრილიდან 25 აპრილამდე მოხდა სს „ეი-ი-ეს ხრამჰესი-2“-ში 2002 წელს გამოვლენილ დარღვევათა აღკვეთის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესრულების შემოწმება. შემოწმებით დადგინდა, რომ სს „ეი-ი-ეს ხრამჰესი-2“-ის ფუნქციონირება დაუშვებელია, ვინაიდან არ გატარებულა დასახული ღონისძიებები, სადგურის ტექნიკური მდგომარეობა გაუარესდა და ვერ აკმაყოფილებს ტექნიკური ექსპლუატაციის მოთხოვნებს. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს სს „ეი-ი-ეს ხრამჰესი-2“-ის 2003 წლის 3 ივნისის წერილი, რომლითაც მოითხოვა სს „ეი-ი-ეს ხრამჰესი-2“-ის წარმოების ლიცენზიის მოქმედების დროებით შეჩერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე და 33-ე მუხლების შესაბამისად და სემეკის 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილების საფუძველზე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სს „ეი-ი-ეს ხრამჰესი-2“-ის ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის შეჩერების შესახებ 2004 წლის 6 მაისამდე.

სემეკის 2002 წლის 6 სექტემბრის №73 გადაწყვეტილების საფუძველზე შემოწმდა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატ შპს „სალომეზე“ გაცემული ლიცენზიის პირობების შესრულება. შემოწმების შედეგების საფუძველზე, სემეკის 2003 წლის 28 თებერვლის №9 გადაწყვეტილებით, 2003 წლის 1 აპრილიდან გაუქმდა შპს „სალომეზე“ გაცემული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №010, სერია 14.

სემეკის 2002 წლის 6 სექტემბრის №73 გადაწყვეტილების საფუძველზე შემოწმდა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატ შპს „ენერჯია-98“-ზე გაცემული ლიცენზიის პირობების შესრულება. შემოწმების შედეგების საფუძველზე, სემეკის 2003 წლის 28 თებერვლის №8 გადაწყვეტილებით, 2003 წლის 1 აპრილიდან გაუქმდა შპს „ენერჯია-98“-ზე გაცემული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №038, სერია 14.

სემეკის 2002 წლის 6 სექტემბრის №73 გადაწყვეტილების საფუძველზე შემოწმდა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატ შპს „ავტომატიკა-2“-ზე გაცემული ლიცენზიის პირობების შესრულება. შემოწმების შედეგების საფუძველზე, სემეკის 2003 წლის 21 მარტის №11 გადაწყვეტილებით, 2003 წლის 1 მაისიდან გაუქმდა შპს „ავტომატიკა-2“-ზე გაცემული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №011, სერია 14.

სემეკის 2002 წლის 6 სექტემბრის №73 გადაწყვეტილების საფუძველზე, შემოწმდა ქ. ქუთაისში არსებული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის მფლობელი ენერგოკომპანია შპს „ენერგეტიკა XXI საუკუნე“. შემოწმების შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები. შემოწმების დროისათვის არსებული ტექნიკური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელი იყო და არ შეესაბამებოდა ელექტროდანიადგარების უსაფრთხოების ტექნიკის, ტექნიკური ექსპლუატაციისა და ელექტროენერჯის მოხმარების მოქმედ წესებს.

შემოწმების მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობის გამო, სემეკის 2003 წლის 20 ივნისის №28/3 გადაწყვეტილებით, შპს „ენერგეტიკა XXI საუკუნე“ შეუჩერდა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის მოქმედება, 2003 წლის 20 ივნისიდან 2003 წლის 1 აგვისტომდე.

შპს „ენერგეტიკა XXI საუკუნის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე, 2003 წლის 28-31 ივლისს გადამოწმდა პირველი შემოწმების აქტი-მიწერილობით დაფიქსირებული დარღვევების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესრულება. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ენერგეტიკა XXI საუკუნე“ სრულყოფილად შეასრულა აქტი-მიწერილობით გათვალისწინებული ყველა პუნქტი. შპს „ენერგეტიკა XXI საუკუნის“ ბალანსზე რიცხული 0,4-6 კვ გამანაწილებელი ქსელი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი მოქმედ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციის მოთხოვნებთან. გადამოწმების აქტის გათვალისწინებით, შპს „ენერგეტიკა XXI საუკუნე“ აღუდგა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია 2003 წლის 1 აგვისტოდან.

სემეკის 2002 წლის 6 სექტემბრის №73 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2003 წლის ივნისის თვეში, შემოწმდა ქ. ქუთაისში არსებული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის მფლობელი ენერგოკომპანია სს „ელექტრომექანიკოსი“. შემოწმების შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები, კერძოდ 0,4-6 კვ ქსელის ტექნიკური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელი იყო და არ შეესაბამებოდა ელექტროდანიადგარების უსაფრთხოების ტექნიკის, ტექნიკური ექსპლუატაციისა და ელექტროენერჯის მოხმარების მოქმედი წესების მოთხოვნებს. შემოწმების მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობის გამო, სემეკის 2003 წლის 20 ივნისის №28/4 გადაწყვეტილებით სს „ელექტრომექანიკოსი“ შეუჩერდა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის მოქმედება 2003 წლის 20 ივნისიდან 2003 წლის 1 აგვისტომდე. სს „ელექტრომექანიკოსი“ მიეცა მითითება, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, სრულ წესრიგში მოეყვანა კუთვნილი და იჯარით აღებული 0,4-6 კვ ძაბვის ქსელი, რის შესახებაც უნდა ეცნობებინა სემეკისათვის.

სს „ელექტრომექანიკოსის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე, გადამოწმდა პირველი შემოწმების აქტი-მიწერილობით დაფიქსირებული დარღვევების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესრულება. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სს „ელექტრომექანიკოსმა“ სრულყოფილად შეასრულა აქტი-მიწერილობით გათვალისწინებული ყველა პუნქტი. გადამოწმების აქტის გათვალისწინებით, სს „ელექტრომექანიკოსი“ სემეკის 2003 წლის 1 აგვისტოს №33/2 გადაწყვეტილებით, 2003 წლის 1 აგვისტოდან აღუდგა განაწილების ლიცენზია.

2003 წლის აპრილის თვეში საქართველოში ელექტროენერჯის მწვავე დეფიციტის გამო, აუცილებელი გახდა ელექტროენერჯის იმპორტის დამატებით განხორციელება. აღნიშნულის გამო, სს „საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიამ“ თხოვნით მიმართა სს „არმენენერჯოს“ 110კვ ევხ „ნინოწმინდა-აშოცკით“ ელექტროენერჯის შემოტანის შესახებ 2003 წლის 22 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების 2003 წლის 1 მაისამდე გაგრძელების თაობაზე. შესაბამისად, სს „საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიამ“ სემეკში შემოიტანა განაცხადი, მასზე გაცემული ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა 2003 წლის 1 აპრილამდე. სემეკის 2003 წლის 4 აპრილის №17 გადაწყვეტილებით მოდიფიცირებულ იქნა სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიაზე“ გაცემული ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზია №019, სერია 15, 2003 წლის 1 მაისამდე.

სემეკში შემოვიდა სს „თელასის“ განაცხადი, ელექტროენერჯის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიების მოდიფიცირების მოთხოვნით, 35კვ ელექტროგადამცემი ხაზების - „ლილო I,2“, „სამგორი 1“, „სამგორი 2“, „სამგორი 3“, „ორხევი 1“, „ორხევი 1ა“, „საბურთალო 1,3“, „საბურთალო 2“, „ორბეთი 1“ და „ორბეთი 2“-ის, გადაცემის ლიცენზიის დანართიდან ამოღებისა და მათი გამანაწილებელი ქსელისათვის გადაცემის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სემეკის 2003 წლის 17 დეკემბრის №47/2 გადაწყვეტილებით, მოდიფიცირებულ იქნა სს „თელასზე“ გაცემული ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზია №2/01.

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2003 წლის 21 მაისის №01/02-290 წერილით, ელექტროენერჯის ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზიების მიღების შესახებ სემეკის 2003 წლის 21 მაისის №23/7 გადაწყვეტილებით, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ გაიცა ელექტროენერჯის ექსპორტის ლიცენზია №004, სერია 16, 2003 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე და ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზია №020, სერია 15, 2003 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე.

2003 წლის 23 სექტემბერს სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ მიერ სემეკში წარმოდგენილ იქნა განაცხადი სომხეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის მიღების შესახებ, „აშოცკი-ნინოწმინდის“ 110კვ ელექტროგადამცემი ხაზით. სემეკის 2003 წლის 24 სექტემბრის №38/2 გადაწყვეტილებით, სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯო-კომპანიაზე“ გაიცა ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზია №021, სერია 15, 2003 წლის 6 ოქტომბრიდან 2004 წლის 1 მაისამდე.

ქ. თბილისის ელექტრომომარაგებაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად და მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობის გაზრდის მიზნით, სს „ეი-ი-ეს თელასის“ 2003 წლის 30 აგვისტოს №1-04/130, 30 სექტემბრის №1-04/430 და 13 ოქტომბრის №1-04/156 მომართვების საფუძველზე, სემეკის 2003 წლის 15 ოქტომბრის №40/1 გადაწყვეტილებით, რუსეთისა და სომხეთის ენერჯოსისტემებიდან ელექტროენერჯის იმპორტის

განსახორციელებლად, სს „ეი-ი-ეს თელასზე“ გაიცა ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზია №022, სერია 15, 2003 წლის 15 ოქტომბრიდან 2004 წლის 1 სექტემბრამდე.

სემეკის 2003 წლის 26 დეკემბრის №49/1 გადაწყვეტილებით, მოდიფიცირებულ იქნა სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაზე“ გაცემული ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზია №021, სერია 15, რაც კომპანიას უფლებას აძლევს ამ განსახორციელოს ელექტროენერჯის იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან. ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2004 წლის 1 მაისამდე.

### გ) ლიცენზიის პირობებისა და წესების შესრულების შემოწმება

სემეკის 2002 წლის №51, №73 და №80 გადაწყვეტილებებით, გაგრძელდა ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის, განაწილების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების დაცვის შემოწმება და ჩატარდა ამ შემოწმების შედეგების განხილვა სემეკის სხდომებზე. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში, სემეკის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უშუალო მონაწილეობა მიიღეს აღრიცხვის კვანძების ტესტირებაში სესბთან და საქართველოს სათბობ-ენერჯეტიკის სამინისტროს ენერგოხელამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტებთან ერთად. შემოწმდა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კუთვნილი, დაახლოებით 300 ქვესადგური და საანგარიშსწორებო ელექტროენერჯის მრიცხველი. ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლინდა 415 მლნ კვტსთ-ზე მეტი ელექტროენერჯის ზენორმატიული დანაკარგი. შემოწმების მასალები, სემეკის 21.04.03წ. №20/1 გადაწყვეტილების თანახმად, გადაგზავნილ იქნა გენერალურ პროკურატურაში და ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

2003 წლის აგვისტოს თვეში, საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტმა სემეკს მომართა თხოვნით, გარკვეულიყო მისი ურთიერთობა საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან, ვინაიდან არსებობდა ეჭვი იმის შესახებ, რომ მათ ობიექტს, გარდაბნის რაიონში, არასწორად ეწერებოდა ელექტროენერჯია. სემეკმა ეს საკითხი სხდომებზე ორჯერ განიხილა. საკითხის შესასწავლად შექმნილი წარმომადგენლობითი კომისიის დასკვნის თანახმად, ქვესადგურ „მთავარი არხის“ 10კვ №34 უჯრედში განთავსებულ აღრიცხვის კვანძში, დაუდგენელი პირების მიერ, შეცვლილი იყო დენის ტრანსფორმატორები, რის გამოც ობიექტს ეწერებოდა გაორმაგებული რაოდენობის ელექტროენერჯია. სემეკის 16.01.04. №2/01-3/8-58 წერილით დასკვნა და სხვა დოკუმენტაცია გადაგზავნა გენერალურ პროკურატურას, ხოლო საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, დაზვერვის სტრატეგიულ ობიექტს აღუდგა ელექტროენერჯის მიწოდება და მოხდა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დასახლების განმხოლოება.

2003 წლის 2 ოქტომბერს სემეკში შემოვიდა სს „ფეროს“ 29.09.03წ. №4/22-552 წერილი, რომლის თანახმად, სესბის და შპს „საქართველოს

სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სპეციალისტების მიერ, 2003 წლის 30 ივლისს, 500 კვ ქვესადგურ დ. ზესტაფონში 110კვ ელექტროგადამცემ ხაზზე- „ფერო-2“, მოიხსნა ელექტროენერჯის მრიცხველი №021023. საქსტანდარტის დასკვნის თანახმად, მრიცხველი აჩქარებული იყო 34,2%-ით და სს „ფერო“ ითხოვდა ჩამოეწერათ მისთვის 2002 წლის 31 ივლისიდან 2003 წლის 31 ივლისამდე თითქოსდა ზედმეტად დარიცხული 46550445 კვტსთ ელექტროენერჯია.

2003 წლის 15 ოქტომბერს სემეკის სხდომაზე სს „ფეროს“ წერილის, სემეკის მიერ მოძიებული მასალებისა და მხარეთა პოზიციების მოსმენის საფუძველზე, საკითხის შესასწავლად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, შეიქმნა კომისია. სესბის მოთხოვნა იყო, კომისიას შეესწავლა საკითხი და სათანადო დასკვნის საფუძველზე მზად იყო, მასალები გადაეგზავნა პროკურატურაში. კომისიამ საფუძვლიანად შეისწავლა საკითხი და მოამზადა სათანადო დასკვნა, რომლის თანახმად, არ არსებობს საფუძველი, რომ სს „ფეროს“ ჩამოეწეროს 46550445კვტსთ ელექტროენერჯია, თანაც გამოვლინდა სერიოზული დარღვევები სესბის და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სპეციალისტების მხრიდან.

აღნიშნული დასკვნა შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სესბს, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, საქსტანდარტს და სს „ფეროს“ შემდგომი რეაგირებისათვის, 2003 წლის 26 ნოემბერს. ა და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მხრიდან არ იყო სათანადო რეაგირება, სემეკმა კომისიის მასალები გადაუგზავნა გენერალურ პროკურატურას.

სემეკის 2002 წლის №73 გადაწყვეტილებით შექმნილი მუშა ჯგუფის მიერ გაგრძელდა ელექტროენერჯის მცირე ლიცენზიატების შემოწმება და შედეგების განხილვა მოხდა სემეკის სხდომებზე (28.02.03წ. ოქმი №7, 14.03.03წ. ოქმი №8, 28.03.03წ. ოქმი №11, 04.04.03წ. ოქმი №12, 14.04.03წ. ოქმი №13). საოქმო გადაწყვეტილებით ყველა ლიცენზიატს, რომელსაც შემოტანილი ჰქონდა განაცხადი ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ, აეკრძალა არეალის გაფართოება და გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას დაევალა წარმოედგინა არგუმენტი-რებული დასკვნა მცირე ლიცენზიატებთან შემდგომი თანამშრომლობის შესახებ. ამასთანავე, საკითხის განხილვა უნდა გაგრძელებულიყო შემაჯამებელ სხდომაზე.

ვინაიდან გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მიერ წარმოდგენილი არ იყო სათანადო დასკვნები თითოეულ ლიცენზიატზე, სემეკის თავმჯდომარის 2003 წლის 3 ნოემბრის №9 ბრძანებით შეიქმნა წარმომადგენლობითი კომისია (სემეკი, სესბი, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო), ელექტროენერჯის განაწილების მცირე ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების დაცვის შემოწმებისა და საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მოქმედების არეალის (საზღვრების) დაზუსტების მიზნით. 30 მცირე ლიცენზიატიდან შემოწმდა შპს „გ.თ.გ.“, ინდ. მეწარმე გივი აბალაკი „ფერმერი“, შპს „პატარა კახი“, შპს „სეტი“, შპს „ვიჩნაში“, შპს „მცირე ენერგოკომპანია“, შპს „ელექტროცენტრი“, შპს „სინათლე“, შპს „ფერი“, შპს „ენერგეტიკა XXI“, შპს „ირაკლი 2000“, შპს „აექსი“, შპს „ფორმა ენერჯია“, შპს „მეოხი“, შპს „რობა“, შპს „რუსთავმშენი“, სს „რუსთავის მეტალურგიული

კომბინატი” და შპს „საქართველოს რკინიგზა”. შემოწმების შედეგად გამოვლენილია ლიცენზიის პირობების დარღვევები მცირე ლიცენზიატები, რომლებიც თვითნებურად აფართოებენ თავიანთი მოქმედების არეალს და უკანონოდ, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, იერთებენ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის არა მარტო მომხმარებლებს, არამედ ქონებას, უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას.

მცირე ლიცენზიატთა უმრავლესობას არ გააჩნია მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები და სქემები; დამტკიცებული არა აქვთ იმ ინსტრუქციებისა და ელექტრული სქემების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია მათი წარმატებული საქმიანობისათვის (გ. აბალაკის ინდ. საწ. „ფერმერი“; სს „გორგოტა“; შპს „შუმი“; შპს „ავტომატიკა“; შპს „ფერი“; შპს „ენერგია“; შპს „ირაკლი-2000“; შპს „აექსი“; შპს „ენერგოცენტრი“; შპს „გამა“; შპს „სინათლე“; შპს „მეოხი“); არ გააჩნიათ საქართველოს ენერგეტიკაში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტები (ინდ. საწარმო „ფერმერი“; შპს „შუმი“; შპს „ავტომატიკა“; შპს „ფერი“; შპს „ენერგია“; შპს „ნაკადული“; შპს „ირაკლი-2000“; შპს „აექსი“; შპს „ენერგოცენტრი“; შპს „გამა“; შპს „სინათლე“; შპს „მეოხი“). არ გააჩნიათ ეგ ხაზებისა და სქემების ტექნიკური მომსახურების წლიური გეგმა-გრაფიკები და, შესაბამისად, მათი შესრულების შესახებ ინფორმაცია არ აისახება დოკუმენტალურად (შპს „შუმი“; შპს „ავტომატიკა“; შპს „ფერი“; შპს „ენერგია“; შპს „ირაკლი-2000“; შპს „აექსი“; შპს „ენერგოცენტრი“; შპს „გამა“; შპს „სინათლე“; შპს „მეოხი“); არ იწარმოება ეგ ხაზებისა და მოწყობილობა-დანადგარების უწყესრიგობებისა და დეფექტების აღრიცხვის ჟურნალები (შპს „შუმი“; შპს „ავტომატიკა“; შპს „ფერი“; შპს „ენერგია“; შპს „ირაკლი-2000“; შპს „აექსი“; შპს „ენერგოცენტრი“; შპს „გამა“; შპს „სინათლე“; შპს „მეოხი“); არ არსებობს დისპეტჩერული მართვისათვის სავალდებულო ოპერატიული დოკუმენტაცია, გარდა ოპერატიული ჟურნალისა (შპს „შუმი“; შპს „ენერგია“; შპს „ირაკლი-2000“; შპს „აექსი“; შპს „გამა“; შპს „მეოხი“); ორგანიზებული არ არის ოპერატიულ-გამსვლელი ბრიგადების ფუნქციონირება. მომხდარი ავარიული სიტუაციების აღმოფხვრა ხდება ელექტრომონტიორების მიერ მიღებული შეტყობინებების საფუძველზე (ინდ. საწარმო „ფერმერი“; შპს „შუმი“; შპს „ავტომატიკა“; შპს „ენერგია“; შპს „აექსი“; შპს „გამა“; შპს „მეოხი“); თითქმის არც ერთ ენერგოკომპანიაში სრული მოცულობით არ სრულდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის „პერსონალთან მუშაობის მეთოდური მითითებების“ მოთხოვნა, პერსონალთან ინსტრუქტაჟების (პირველადი, განმეორებითი, დაუგეგმავი, მიმდინარე) ჩატარება. არც ერთ ენერგოკომპანიაში არ მომხდარა და არც იგეგმება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები.

მცირე ლიცენზიატების საქმიანობის ფინანსური ანალიზი ეჭვს იწვევს მათი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის შესახებ.

2003 წელს სემეკის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტისა და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სპეციალისტების მიერ ერთობლივად შემოწმდა განაწილების ლიცენზიატის, შპს „საქართველოს სახელმწიფო რკინიგზის“

საქმიანობა. გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები. მზადდება სათანადო აქტი-  
მიწერილობა და 2004 წლის მარტის თვეში განხილული იქნება სემეკის სხდომაზე.

#### დ) სხვა ფუნქციათა განხორციელება

2003 წელს სემეკში განხილულ იქნა 80-მდე სადავო საკითხი მომხმარებელსა და ენერგეტიკის ლიცენზიატებს, ან თვით ლიცენზიატებს შორის. ასეთ სადავო საკითხებთან დაკავშირებით, სემეკში იმართებოდა შეხვედრები მხარეებს შორის, საჭიროების შემთხვევაში საკითხი იხილებოდა სემეკის ღია სხდომებზე და მზადდებოდა სათანადო გადაწყვეტილებები. ასეთი სახის გადაწყვეტილებებით დარეგულირდა ურთიერთობები სს „ეი-ი-ეს თელასსა“ და თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ კოლეჯს შორის, სს „ეი-ი-ეს თელასსა“ და სს „საქსაშენმეცნიერებას“ შორის. სამუშაო შეხვედრებით და წერილობით დარეგულირდა ურთიერთობები სს „ეი-ი-ეს თელასსა“ და საქსაშენენერგოკონსტრუქციას, შპს „ენერგოცენტრსა“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“, სს „გამასა“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“, შპს „მცირე ენერგოკომპანიას“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“, შპს „საქართველოს რკინიგზას“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალსა და შპს „საქართველოს რკინიგზას“, შპს „რიონჰესსა“ და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „ეი-ი-ეს თელასსა“ და სს „თბილისის ქალაქის ფაბრიკას“, სს „აზოტსა“ და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ შორის და სხვ.

2003 წელს სემეკის ელექტროენერგეტიკულ დეპარტამენტში შემოვიდა ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ლიცენზიატების, აგრეთვე ელექტროენერჯის მომხმარებლების 2601 წერილობითი კორესპონდენცია და განაცხადი.

შემოსული დოკუმენტები, ძირითადად, ეხებოდა ლიცენზირების, ლიცენზიატთა ურთიერთობებს მომხმარებლებთან და სხვა ლიცენზიატებთან, ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის მოწესრიგების, მომსახურების საფასურის დადგენის, საწარმოო პერსონალის მიერ ლიცენზიის წესებისა და პირობების დარღვევის საკითხებს.



#### 4. ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის საქმიანობის ზედამხედველობა

როგორც ცნობილია, “ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიქმნა კერძო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა ელექტროენერჯეტიკის სექტორის ლიცენზიატა და პირდაპირ მომხმარებელთა ანუ ბაზრის წევრთა კავშირი (ასოციაცია). აღნიშნული ორგანიზაციის მიზანია ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობების მართვა და ელექტროენერჯეტიკის სექტორში კონკურენციის ეტაპობრივი განვითარება.

საქართველოს ელექტროენერჯეტიკულ სისტემაში ფინანსური სტაბილიზაციის დამყარებისა და სესბის მენეჯმენტის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, 2001 წლის 9 აგვისტოს გაფორმდა მართვის ხელშეკრულება კონსულტანტის მომსახურების შესახებ საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარსა და “ბერდოლა ინვესტირინგ ჯორჯია“-ს შორის. შესაბამისად, 2002 წლის თებერვლიდან, აღნიშნულ ორგანიზაციაში ხუთწლიანი მართვის უფლებით შევიდა ესპანური კონსორციუმი “ბერდოლა ინვესტირინგ ჯორჯია”, რომელმაც, სხვა ვალდებულებებთან ერთად, ივალდებულა ელექტროენერჯეტიკულ სექტორში თანამედროვე სტანდარტების საფინანსო და საანგარიშსწორებო სისტემის დანერგვა, ფინანსური დისციპლინის გამკაცრება, ფინანსური ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდა და მათი სამართლიანი გადანაწილება.

სემეკის მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი 2003 წლის საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა სესბის საქმიანობის მონიტორინგს და მათ მიერ წამოდგენილ ანგარიშებზე გასცემდა თავის დასკვნებს. დღემდე, აღნიშნული მონიტორინგი სრულდებოდა კონკრეტული საქმიდან გამომდინარე და არა ზოგადად. გასულ წელს სემეკმა ელექტრობაზრისგან მოითხოვა ყველა იმ სამართლებრივი აქტის შესრულების მდგომარეობა, რომელიც სემეკის მიერ სესბთან დაკავშირებით იქნა მიღებული. სესბისგან ინფორმაცია არ შემოსულა, რაც შეუძლებელს ხდის ამ კუთხით ელექტრობაზრის საქმიანობის ობიექტურ შეფასებას.

სესბმა სემეკში წარმოადგინა 2003-04 წლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია განსახორციელებელი სამუშაოების პრიორიტეტები. ერთ-ერთი პრიორიტეტი, სესბის მუშაობის ხარისხის ამაღლებისა და მართვის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, იყო სრულყოფილი ორგანიზაციული სტრუქტურის შემოღება. ის, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა სესბში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის დანერგვას, სწორი საკადრო პოლიტიკის წარმართვას, ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესებას, სესბის მუშაობის ტრანსფარენტულობას და სხვ.

ამჟამად, სესბში 63 საშტატო ერთეულია,

მათ შორის:

- ოპერაციათა დეპარტამენტი - 34 ერთეული
- ფინანსური და ადმინისტრაციული დეპარტამენტი - 9 ერთეული
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი - 18 ერთეული
- სესბის სამდივნო - 2 ერთეული

სესბის ხარჯები მთლიანი ხარჯების 5,7%-ს შეადგენდა. წინა წელთან შედარებით აღნიშნული ხარჯები შემცირდა 14%-ით.

სესბმა გასულ წელს შეიძინა გარკვეული აქტივები, რომლითაც უზრუნველყო სესბის თანამშრომელთა ნაწილის გადმოყვანა ძირითად ოფისში. შესაბამისად, დამატებითმა ხარჯებმა შეადგინა მთლიანი ხარჯის - 5,56%.

ყველაზე დიდი ხარჯი, რომელიც ჩაიღო ბიუჯეტში, იყო მართვის კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ხარჯი (2529,621 ლარი). მან ჯამში შეადგინა მთელი ხარჯების 63,26%.

მთლიანად საბიუჯეტო ხარჯმა შეადგინა 3998,699 ათასი ლარი, რომლის გავლენამ საბითუმო ტარიფზე შეადგინა 0,0405 თ/კვტსთ. საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დადებითად შეაფასა სესბის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ტრანსფარენტულობა და 2003 წლის 4 აპრილს №16 გადაწყვეტილებით დაამტკიცა იგი.

ძირითადი პრობლემა, რომელიც დღეს სესბის წინაშე დგას, არის რეალიზებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებელი. საბითუმო ბაზრიდან ელექტროენერჯის შესყიდვების მაჩვენებლების განხილვისას ჩანს, რომ შესყიდული ელექტროენერჯის ძირითადი ნაწილი მოდის გამანაწილებელ კომპანიებზე დაახლოებით 78%, რომლის 90%-ის მიწოდება ხორციელდება სამი მიმართულებით - სს "თელასი", სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია" და აფხაზეთი.

პირდაპირი მომხმარებლები შეისყიდვიან ელექტროენერჯის საერთო შესყიდვების 22%-ს და მისი ძირითადი ნაწილი 85% განაწილდება ექვს მსხვილ პირდაპირ მომხმარებელზე. ესენია: სს "აზოტი", შპს "საქართველოს რკინიგზა", სს "ფერო", სს "მადნეული", სს "რუსთავცემენტი" და სს "თბილწყალკანალი". აქედან გამომდინარე, მთელი ენერჯოსექტორის ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებულია სამი გამანაწილებელი და ექვსი პირდაპირი მომხმარებლის გადახდისუნარიანობასა და ნებაზე.

2003 წელს ამოღების მაჩვენებელმა ელექტროენერჯეტიკულ სექტორში მოქმედ ლიცენზიატებსა და პირდაპირ მომხმარებლებზე შეადგინა დარიცხული თანხის 60,7%, მათ შორის ნაღდი ფულის ამოღებამ შეადგინა 36,4%, რაც აღებულ ვალდებულებებზე გაცილებით ნაკლებია (სესბმა აიღო 2003 წელს ნაღდი ფულის ამოღების მაჩვენებლის 55%-მდე გაზრდის ვალდებულება), თუმცა ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე გაიზარდა

გამანაწილებელი კომპანიებიდან მთლიანი თანხის ამოღების მაჩვენებელი და შეადგინა 52,8%, მათ შორის ნაღდი ფულის ამოღება - 22,9%.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა გამანაწილებელმა კომპანიამ და პირდაპირმა მომხმარებელმა უზრუნველყო წინა წლის გარკვეული ფინანსური დავალიანებების შემცირება, სწორედ ამით არის გამოწვეული მაღალი გადახდის პროცენტული მაჩვენებლების წარმოდგენა (მაგ: სს"თელასი", სს"ფერო", სს" თბილწყალკანალი")

შესაბამისად:

გადახდა	მთლიანი გადახდა	ფულით გადახდა
%	%	
• სს"თელასი"	360	40
• სს"სგს ენერჯოკომპანია"	5,9	3,6
• აფხაზეთი	51,9	51,9

პირდაპირი მომხმარებლებიდან მთლიანი ამოღების მაჩვენებელმა შეადგინა დარიცხულის 89,4%, მათ შორის ნაღდი ფულის ამოღებამ - 85,3%.

შესაბამისად:

გადახდა	მთლიანი გადახდა	ფულით გადახდა
%	%	
• სს "აზოტი"	46,4	38,1
• შპს "საქართველოს რკინიგზა"	76,2	76,2
• სს "ფერო"	122	114
• სს "მადნეული"	99,3	99,3
• სს "რუსთავცემენტი"	89,4	89,4
• სს "თბილწყალკანალი"	256,4	125,2

წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნაღდი ფულის ამოღება, რაც იმის შედეგია, რომ სესბმა შემოიტანა ელექტროენერჯის ვაჭრობის პროცესში სრული გამჭვირვალების პრინციპი. კერძოდ, გააუქმა ელექტროენერჯის შესყიდვის ბარტერული და ჩათვლითი მექანიზმები, დარეგულირდა ურთიერთობები საგადასახადო დეპარტამენტთან (გაცილებით შემცირდა სესბის ანგარიშის

დაყადალების რაოდენობა), შეწყვიტა ელექტროენერჯის გაყიდვის ან/და იმპორტის კონტრაქტებში მონაწილეობა, რომლითაც თავიდან აიცილა ისეთი მოვალეობანი, რომელთა შესრულების საშუალებაც მომავალში სესბს არ გააჩნდა, შეიმუშავა საკონტოკორენტო ანგარიში, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი ამოღებული თანხიდან გენერაციისა და მომსახურე ორგანიზაციებისათვის კუთვნილი წილის გადაცემას შედეგად გაიზარდა მათთვის თანხის გადახდის მაჩვენებლები, რომელმაც მთლიანი თანხის 37% შეადგინა, მათ შორის ნაღდი ფულის გადახდამ 32%. შედარებისათვის 2002 წელს ეს მაჩვენებელი იყო 6,8%. შესაბამისად, გენერაციისა და მომსახურე ორგანიზაციებისათვის ამ მაჩვენებელმა შეადგინა:

	2002წელი	2003წელი
	ნაღდი ფულის გადახდა	ნაღდი ფულის გადახდა
	%	%
• ენგურჰესი	5,7	23
• ლაჯანურჰესი	32	51
• რიონჰესი	17,1	22
• ვარციხეჰესი	9,7	17
• ვარდნილჰესების კასკადი	7,6	27
• სს "სსე"	5,6	16
• სს "საქრუსენერგო"	10,9	27

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით მიღწეულია გარკვეული წარმატება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, საერთო სურათი ელექტროენერჯეტიკაში მაინც საკმაოდ მძიმე რჩება. განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა ელექტროენერჯეტიკული სექტორის გამრიცხველიანების თვალსაზრისით. გამანაწილებელი სექტორის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გაუმრიცხველიანებელია (თუ არ ჩავთვლით აჭარას და თბილისს), რაც გახლავთ ტოტალური არგადახდების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ამის ნათელი მაგალითია სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია", რომელიც შეისყიდის ელექტროენერჯეტიკულ სექტორში განაწილებული ელექტროენერჯის 24%-ს, ხოლო თანხის ამოღების მაჩვენებელი შეადგენს მასზე დარიცხული თანხის 5,9%-ს, ხოლო ნაღდი ფულის ამოღების მაჩვენებელი - 3,6%-ს. აღნიშნულ ენერჯოკომპანიაში 2002 წლის მაისში მართვის უფლებით შევიდა ამერიკული საკონსულტაციო კომპანია PA-consulting. მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, ჯერ კიდევ ვერ დამყარდა სრული ფინანსური და ტექნიკური წესრიგი ამ ენერჯოკომპანიაში.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აფხაზეთთან მიმართებაში. აფხაზეთის საკითხი პოლიტიკური საკითხია და იგი სცილდება პროფესიული საქმიანობის ჩარჩოებს. სესბმა ამ მიმართულებით მიმდინარე საანგარიშო წელს ნაყოფიერად იმუშავა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, კერძოდ ფინანსთა სამინისტროსთან და ამის შედეგად შესაძლებელი გახდა აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დაფინანსება საქართველოს ბიუჯეტიდან, რომელმაც შეადგინა დარიცხული თანხის 51,9%.

2003 წლის საანგარიშო პერიოდში სემეკის მიერ რეგულარულად ხორციელდებოდა სესბის საქმიანობის მონიტორინგი ენერგოსისტემის ელექტროქსელებში ელექტროენერჯის აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით. სესბისა და სხვა უფლებამოსილი უწყებების მიერ განხორციელდა შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” კუთვნილი ქვესადგურებისა და ელექტროენერჯის მრიცხველების შემოწმება. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სავალალო მდგომარეობაშია ქვესადგურებში ელექტროენერჯის მიღებისა და გაცემის აღრიცხვის კვანძები, რაც მრიცხველების ჩვენებების გაყალბების საშუალებას იძლევა. სესბის მიერ სემეკში წარმოდგენილმა ინფორმაციამ, მათ მიერ გამოვლენილი ელექტროენერჯის დანაკარგების შესახებ, შემაშფოთებელი სურათი წარმოაჩინა. სემეკის მიერ სესბისათვის ელექტროენერჯის აღრიცხვისა და მრიცხველების ინსპექტირების ექსკლუზიური უფლების მინიჭების მიუხედავად, დაფიქსირდა სხვა არაუფლებამოსილი პირების მიერ აღრიცხვიანობის კვანძების თვითნებური შემოწმებისა და მრიცხველების ინსპექტირების ფაქტები. ასევე, სესბის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, მაღალი ძაბვის ელექტროქსელში ელექტროენერჯის დანაკარგებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ნორმატიულ დანაკარგებს.

2002 წლიდან საქართველოს ენერგოსისტემაში ელექტროენერჯის დანაკარგები დაახლოებით 15,8%-ს შეადგენდა, ნაცვლად 9,96% ნორმატიულია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ამ კუთხით შეიქმნა გასული წლის სექტემბერში, როცა ამ მაჩვენებელმა მიაღწია 19,3%-ს. ეს მეტად საგანგაშო სიგნალი იყო დარგის მესვეურთათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სემეკში გაიმართა საგანგებო სხდომა, სადაც სემეკის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ამ რაოდენობის ელექტროენერჯის დანაკარგების არსებობა გარკვეული კორუფციული გარიგებების შედეგია. წარმოდგენილი მასალები გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში, ხოლო სესბს და შესაბამის სტრუქტურებს სემეკის გადაწყვეტილებით დაევაალათ სექტორში უმკაცრესი წესრიგის დამყარება და მასზე კონტროლის განხორციელება.

ასევე აუცილებელია ისეთი მკაცრი ღონისძიებების გატარება, როგორცაა ურჩი გადამხდელისათვის ელექტროენერჯის გათიშვა. თანხის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ელექტროენერჯია ხშირად მიეწოდება ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც ან ძალიან ცუდად იხდიან ან საერთოდ არ იხდიან ელექტროენერჯის საფასურს. ამისათვის სესბში შემუშავდა ელენერჯის გათიშვების პროგრამა, რომელიც სესბს ავალდებულებდა სს ”საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან” მჭიდრო კოორდინაციით უზრუნველყო აღნიშნული პროგრამის განხორციელება. გარკვეულწილად, ეს დიდ სირთულეებთან

იყო დაკავშირებული, რადგან ხშირად არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღება იყო საჭირო.

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის შემთხვევაში ძალიან რთულდებოდა ამ პროგრამის განხორციელება, რადგან საქართველოს უდიდესი ნაწილის გამორთვა, ხშირად სოციალურ დაძაბულობას იწვევდა და პოლიტიკური კამათის საკითხი ხდებოდა. სესბის მიერ გათიშვები თავდაპირველად ხორციელდებოდა დაბალი ძაბვის მხრიდან, რაც ნაკლებეფექტური აღმოჩნდა და მან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა გათიშვები მაღალი ძაბვის მხრიდან, რომლის შედეგადაც გამანაწილებელი კომპანიები და პირდაპირი მომხმარებლები სასწრაფოდ იწყებდნენ თანხების გადახდას. გათიშვების პროგრამის განხორციელება იყო და არის ერთ-ერთი ეფექტური ბერკეტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ურჩი გადამხდელებისაგან თანხების ამოღება.

მეტად მნიშვნელოვანი იყო პირდაპირი ხელშეკრულებების რეგულირების წესის შემუშავება, რომელიც არეგულირებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ურთიერთობებს ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი ხელშეკრულებითი ურთიერთობები უზრუნველყოფს თანხების დროულ და სრულ ამოღებას, ეს წესი, გარკვეულწილად, დროებით ხასიათს ატარებს, რადგან სესბის სრულფასოვანი ამოქმედება დღის წესრიგიდან მოხსნის ასეთი ურთიერთობების საჭიროებას.

სესბის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა ამოღებული თანხების დროული და სამართლიანი განაწილება. მიმდინარე საანგარიშო წელს პირველად გახდა შესაძლებელი სესბის მწირი ფინანსური შემოსავლების შედარებით სამართლიანი განაწილების მოდელის შემუშავება. პირდაპირი ხელშეკრულების წესში ცვლილებების შეტანის შედეგად შემუშავდა საკონტოკორენტო ხელშეკრულების ფორმები, რომელიც ახალი სპეციალური ანგარიშის გახსნას გულისხმობს. აღნიშნული ხელშეკრულება უზრუნველყოფს იმ მანკიერი გამოცდილების მოშლას, რომელიც გამანაწილებელ კომპანიებს საშუალებას აძლევდა საბითუმო ბაზართან ურთიერთობაში ემოქმედათ “ნარჩენი თანხის” პრინციპით და რომელიც კორუფციული გარიგებების საფუძველი ხდებოდა.

სესბმა საანგარიშო პერიოდში დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ მან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სესბის მენეჯმენტის ეფექტურობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ის ჯერ კიდევ შორს არის იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომელიც მან მართვის კონტრაქტის შესაბამისად აიღო.

## 5. ბუნებრივი გაზის სექტორის რეგულირება

## 5.1. საქართველოს გაზომარაგების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს მონაცემების მიხედვით, საქართველოში გაზის სამრეწველო მოპოვება წარმოებს მხოლოდ ნინოწმინდის გაზნავთობის საბადოს ე.წ. “გაზის ქუდიდან”. 2003 წლისათვის გაზის მოპოვებისა და მარაგის ოდენობა მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

საბადოთა დასახელება	პროდუქტიული ჰორიზონტის ასაკი	მოპოვება 2003 წელს (მლნ მ <sup>3</sup> )	გაზის მარაგი (მლნ მ <sup>3</sup> )	მარაგის კატეგორია
ნინოწმინდა	შუა ეოცენი	17,8	681	მოპოვება მიმდინარეობს C <sub>2</sub> კატ. მარაგიდან
სამგორი	ზედა ეოცენი	-	968	C <sub>1</sub> კატ
რუსთავი	შუა ეოცენი	-	1545	C <sub>1</sub> კატ.

2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების საერთო სიგრძე, გასულ წლებთან შედარებით, არ შეცვლილა და იგი შეადგენს 1940 კმ. აღნიშნული გაზსადენებით ხორციელდება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს მომხმარებლებისათვის და ტრანზიტი სომხეთში. გაზსადენების წლიური საპროექტო წარმადობაა 20 მილიარდი კუბური მეტრი.

2003 წლისათვის გაზის მოწოდებამ სულ შეადგინა 2209 მლნ მ<sup>3</sup>, მათ შორის: ტრანზიტით სომხეთს მიეწოდა 1200 მლნ მ<sup>3</sup>, საქართველოს – 1009 მლნ მ<sup>3</sup>. აქედან, მსხვილ მომხმარებლებს მიეწოდა: “ეი-ი-ეს მტკვარს” – 176 მლნ მ<sup>3</sup>; თბილსრესს – 7 მლნ მ<sup>3</sup>; სს “აზოტს” – 185 მლნ მ<sup>3</sup>; სს “თბილგაზს”-289,7 მლნმ<sup>3</sup> (დანართი №5).

საქართველოს გაზსადენების ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

№	დასახელება	დიამეტრი მმ	სიგრძე კმ	აშენების წლები
1.	ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასია	1200	135	1988-1994
2.	ყაზახ-საგურამო	1000	112	1980
3.	ყარადაღ-თბილისი	800-700-500	110	1959-1968
4.	ვლადიკავკაზ-თბილისი	700	266	1963-1966
5.	საგურამო-ქუთაისი	700-500	370	1967-1975
6.	ქუთაისი-სოხუმი	700-500	338	1986-1989
7.	რუსთავი-თელავი-ჟინვალი	500-300-200	370	1969-1975
8.	წითელი ხიდი-წალკა-ალასტანი	500-300	180	1978-1990
9.	გომი-ხაშური-ბაკურიანი	500-300	59	1972-1989
	სულ:		1940	

აქედან, დღეისათვის სხვადასხვა მიზეზის გამო, არ მუშაობს შემდეგი გაზსადენების შემდეგი უბნები:

- |   |            |           |
|---|------------|-----------|
| 1. ზუგდიდი-სოხუმი                               | დ = 530 მმ | 110,0 კმ. |
| განშტოებები:                                    |            |           |
| გალი  | დ = 325 მმ | 3,4 კმ.   |
| ოჩამჩირე  | დ = 530 მმ | 1,5 კმ.   |
| სოხუმი  | დ = 530 მმ | 0,5 კმ.   |
| 2. რუსთავი-კაჭრეთი                              | დ = 30 მმ  | 55,0 კმ   |
|   | დ = 25 მმ  | 30,0 კმ.  |
| 3. დმანისი – ალასტანი                           | დ = 25 მმ  | 92,0 კმ.  |
| 4. ქობულეთის განშტოება                          | დ = 530 მმ | 67,3 კმ.  |
| 5. ფოთის განშტოება                              | დ = 530 მმ | 7,0 კმ.   |
|   | დ = 219 მმ | 13,3 კმ   |
|   | დ = 159 მმ | 21,5 კმ   |
| 6. ცხინვალი - ჯავა                              | დ = 325 მმ | 21,3 კმ   |
| 7. ვლადიკავკაზ – თბილისის გამორთული მონაკვეთები | დ = 720 მმ | 4,6 კმ    |
|   | დ = 530 მმ | 22,0 კმ   |
| 8. ყარადაღ-თბილისის გამორთული მონაკვეთები       | დ = 530 მმ | 26,1 კმ   |
|   | სულ        | 475,8 კმ. |

აქედან გამომდინარე, დღეისათვის ექსპლუატაციაშია ჩართული 1464,2 კმ მაგისტრალური გაზსადენი.



გაზსადენები გაყვანილია რთულ რელიეფურ და კლიმატურ პირობებში და 2400 მ სიმაღლეზე კვეთს კავკასიონის მთავარ ქედს. გაზსადენების უმაღლეს და უმდაბლეს წერტილებს შორის დონეთა სხვაობა აღწევს 2000 მ-ს. სულ გაზსადენი კვეთს 600 მ-ზე მეტ ბუნებრივ და ხელოვნურ ზღუდეს. 9 კმ სიგრძის გაზსადენი გაყვანილია სპეციალურად აგებულ 14 გვირაბში. 1100 კმ-ზე მეტი სიგრძის გაზსადენი აშენებულია 1959-1975 წლებში. გაზსადენების ხანდაზმულობა, რთული რელიეფური და კლიმატური პირობები განსაზღვრავს განსაკუთრებულ მოთხოვნებს მათი ექსპლუატაციის მიმართ.

1991-1994 წლებში, ქვეყანაში არასტაბილურობის პერიოდში, მწყობრიდან გამოვიდა ელექტროქიმიური დაცვის სისტემა, დატაცებულ იქნა კათოდური სადგურები და ელექტროდრენაჟული დანადგარები, მათი მკვებავი საკაბელო და საჰაერო ელექტროხაზები. დარჩენილი მცირე ნაწილი კი არასტაბილური ელექტრომომარაგების გამო არ ფუნქციონირებს.

პრაქტიკულად, უკანასკნელი 8-10 წლის განმავლობაში, მაგისტრალური გაზსადენები აღმოჩნდა ელექტროქიმიური დაცვის გარეშე. შედეგად, თუ გავითვალისწინებთ გაზსადენების უდიდესი ნაწილის განლაგებას კოროზიულად მაღალი აგრესიულობის გრუნტებში, დაიწყო კოროზიული პროცესების ინტენსიური განვითარება, რამაც გამოიწვია გაზსადენების დაზიანებები.

გაზსადენების მნიშვნელოვანი ნაწილი, გამოყენებული ჩამკეტი და მარეგულირებელი არმატურა (ონკანები, ურდულები, რეგულატორები, სარქველები), თავისი ტექნიკური ძღვომარეობით არ შეესაბამება უსაფრთხოებისა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების მოთხოვნებს. არასაკმარისად არის აღჭურვილი საექსპლუატაციო სამსახურები სამშენებლო მექანიზმებით, სპეცტრანსპორტით, მასალებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით და სხვ.

გაზის გაჟონვების ლიკვიდაციისა და მოსალოდნელი ავარიების თავიდან აცილების მიზნით, კაპიტალური რემონტის ხარჯების უკმარისობის პირობებში, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის სახაზო საექსპლუატაციო ფილიალების მიერ მიმდინარე წელს შესრულდა გარკვეული სამუშაოები.

#### **საგურამოს ფილიალი**

#### **უშუალოდ მაგისტრალურ გაზსადენებზე**

**ყაზახი-საგურამოს მაგისტრალურ გაზსადენზე** საკერებლის დადულების გზით ლიკვიდირებულ იქნა 14 კოროზიული ხვრელი.

**ყარადაღ-თბილისის მაგისტრალურ გაზსადენზე – 13.**

აღნიშნული გაზსადენი მთელ სიგრძეზე შემოწმდა ჰერმეტიულობაზე.

**ვლადიკავკაზ-თბილისის მაგისტრალურ გაზსადენზე** ლიკვიდირებულია 9 გაჟონვა. ჩაჭრილი და დახშულია სფერული დამხშობის საშუალებით დ 700 მმ მილზე მომხმარებლის მიერ უკანონოდ მიერთებული დ50 მმ და დ100 მმ მილები.

**წითელი ხიდი-წალკა-ახალქალაქის გაზსადენზე** ლიკვიდირებულია 3 კოროზიული ხვრელი.

გაზსადენი მთელი მოქმედების სიგრძეზე შემოწმდა ჰერმეტიულობაზე.

**საგურამო-ქუთაისის მაგისტრალური გაზსადენის** 35.6, 47.2, 50, 52 კმ-ებზე, გორის განშტოების მე-2 კმ-ზე, მდინარე ლიახვის გადასასვლელზე ლიკვიდირებულ

იქნა გაზის გაჟონვები. მდინარე ლიახვის საჰაერო გადასასვლელზე აღდგენილ იქნა მოძრავი საყრდენები.

გაზსადენი შემოწმდა ჰერმეტიულობაზე 0-დან 88.6 კმ-ის ჩათვლით.

ყაზახ-საგურამოს, ყარადაღ-თბილისის, ვლადიკავკაზ-თბილისის, დმანისი-წალკა-ბურნაშეთის მაგისტრალურ გაზსადენებზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები.

საგურამოს გამზომ კვანძზე შემოწმდა დ 300 მმ ურდულები; გამზომი კვანძის ონკანებზე დამონტაჟდა ჰიდროტუმბოები.

იგოეთი-გორის მონაკვეთზე მდინარე ლიახვის მარცხენა ნაპირის საჰაერო გადასასვლელზე დამონტაჟდა ბურჯი; ლიახვის მარცხენა გადასასვლელზე გაზსადენის ზონა გაიწმინდა აღმოცენებული ხეებისა და ბუჩქებისაგან.

ყაზახი-საგურამოსა და ყარადაღ-თბილისის მაგისტრალურ გაზსადენებზე დამონტაჟდა რკინა-ბეტონის 210 ცალი ამოსაცნობი ფირნიში.

დამონტაჟდა საზომ-საკონტროლო პუნქტები ყაზახი - საგურამოს გაზსადენზე.

გარდაბნის რაიონის სოფ. ქესალოს განშტოება შეჭრილ იქნა ყაზახი-საგურამოს მაგისტრალურ გაზსადენში.

### **გაზგამანაწილებელ სადგურებზე**

**აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით:** დამონტაჟდა “გამა-I“-ის, „გამა-2“ ტიპის ტურბომრიცხველები, გლდანის (დიღმის აგეს-ის ხაზზე), ნორიოს აგეს-ში, გლდანის აგეს-ის გეს-ში, ნატახტარის აგეს-ში, ნაჭარმაგევისა და რუსთავის გაზგამანაწილებელ სადგურებში. გლდანის აგეს-ში დამონტაჟდა დიფანომეტრები (დიდი დიღმის აგეს-ის ხაზზე) და მარნეულის გაზგამანაწილებელი სადგურის აგეს-ის ხაზებზე. რუსთავის გეს-ში აგეს-ის ხაზზე დაზიანებული ტურბომრიცხველის ნაცვლად, დამონტაჟდა აღრიცხვის კვანძი. რევიზია ჩაუტარდა რუსთავის გეს-ის „აზოტის“, „ცემენტისა“ N და „ბიტმაკის“ ხაზების, საგურამოს, გარდაბნის (სრესი-150) გეს-ების აღრიცხვის ხელსაწყოებს.

შემოწმების მიზნით გაიხსნა ღიაფრაგმები რუსთავის მეტალურგიის (400 მმ) ხაზზე, გარდაბნის „ეი-ი-ეს მტკვარის“ ხაზზე, წითელი ხიდის გამზომი კვანძის I, II და III ხაზებზე, „თბილსრესის“ ხაზზე, გარდაბნის გეს-ში.

თამარისის აგეს-ში დამონტაჟდა ოდორიზაციის სისტემა; მოწესრიგდა ოდორიზაციის სისტემები ფერმის, ცხინვალის, გარდაბნის, ბოლნისის გეს-ებში.

საქსტანდარტის წარმომადგენლების მიერ ჩატარდა სახელმწიფო შემოწმება რუსთავის (ბიტმაკის ხაზი) და ფერმა (ევროცემენტის ხაზი) გეს-ებში, გარდაბნის გეს-ის „ეი-ი-ეს მტკვარის“ აღრიცხვის კვანძში.

რუსთავის გეს-ში დამონტაჟდა „ებასის“ ხაზი, აღრიცხვის კვანძი, წნევის რეგულატორები რდ-40. შეიცვალა შემავიწროებელი მოწყობილობა „ბიტმაკის“ მეტალურგია-100 ხაზისათვის. მეტალურგიის ხაზი (დ 100 მმ) ჩაერთო მრიცხველ „სუპერფლოზე“. აღრიცხვის კვანძს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია.

გაჩიანის, გლდანის, ნავთლულის, რუსთავისა და გარდაბნის გეს-ებში მეტროლოგიის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად შემოწმდა აღრიცხვის ხელსაწყოები.

### **ყაზბევის ფილიალი**

მაგისტრალურ გაზსადენებზე: ჩრდილო კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალურ გაზსადენზე 2003 წლის 14 იანვარს მომხდარი ავარიის შედეგად საქართველოში შეიცვალა გაზმომარაგების სქემა. კერძოდ, გაზის მოწოდება მიმდინარეობდა დ 700 მმ მილსადენით. სამუშაოები ჩატარდა დროებითი სქემით გაზის მისაწოდებლად და ავარიის ლიკვიდაციის შემდეგ კვლავ ჩვეულებრივ რეჟიმით გაზმომარაგების აღსადგენად.

მდინარე ყუროს გადასასვლელზე წყალდიდობების გამო, საშიში მდგომარეობის წარმოქმნასთან დაკავშირებით, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებამდე, გაზსადენის შესაძლო დაზიანებისა და გაზის დიდი რაოდენობით დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ჩაიკეტა ურდულები და ამ მონაკვეთში გაზი მიეწოდება დ 700 მმ მილსადენით.

საექსპლუატაციო წესებისა და ნორმების მოთხოვნების შესაბამისად, გაჟონვების გამოსავლენად, ფეხით შემოვლის გზით, შემოწმდა დ 1200 მმ და დ 700 მმ გაზსადენები.

**უშუალოდ გაზგამანაწილებელ სადგურებზე** ჩატარდა სარემონტო, პროფილაქტიკური და გამზომი ხელსაწყოების დამოწმების სამუშაოები.

**უშუალოდ მაგისტრალურ გაზსადენებზე** ჩატარდა გაზსადენების გეგმური დათვალიერებები და კომპლექსური შემოწმებები გაზის დეტექტორის გამოყენებით.

**გაზგამანაწილებელ სადგურებზე:** თიანეთის, ქვეშეთის, ციხისძირის, ქუბრიანთკარის, ფასანაურის, გულაურის აგვს-ებში ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები.

ქუთაისი-სოხუმის მაგისტრალური გაზსადენის მე-10 კმ-ზე შეკეთდა აფეთქების შედეგად დაზიანებული ადგილი.

ქობულეთის განშტოების 0 კმ-ზე ამოიჭრა გვს-ში შემავალი დ 300 და დ 400 მმ ჩამკეტი ურდულები და გაუკეთდა დ 500 მმ სფერული დამხშობები.

**გაზგამანაწილებელ სადგურებში:**

სამტრედიის გაზგამანაწილებელ სადგურში – შეკეთდა გაზის წნევის რეგულატორები, შემოწმდა ტურბომრიცხველები;

ხაშურის გვს-ში სომხური G-160 მრიცხველის ნაცვლად დამონტაჟდა „შლუმბერჟე - 100“;

ხესტაფონის „ავტოგაზის“ გვს-ში ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. აღმოიფხვრა გაჟონვები; დამონტაჟდა და ჩაირთო ტურბო მრიცხველი;

ქუთაისი-2 გვს-ზე ასფალტის ქარხნისათვის დამონტაჟდა და შეიჭრა ახალი ხაზი დ 200 მმ ურდულით, დამონტაჟდა რედუცირების კვანძი და „არზამასის“ ტიპის მრიცხველი; წყალტუბოს ხაზზე შეკეთდა გაზის წნევის რეგულატორი რდ-80;

ბაკურიანის გვს-ში ტურბო მრიცხველი „შლუმბერჟე-100“ შეიცვალა „შლუმბერჟე-250“-თი;

ქუთაისისა და ხაშურის ავტოგაზგასამართ სადგურებში დამონტაჟდა აღრიცხვის კვანძები.

ქუთაისის გაზგამანაწილებელ სადგურში დამონტაჟდა ახალი რდ-100 რეგულატორი. გგს-ში შემოწმდა GG-1600 ტურბო მრიცხველი;

საჩხერის აგგს-ში დამონტაჟდა ტურბო მრიცხველი GG-650; აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა რედუცირების კვანძს. გგს-ში შემავალი მაღალი წნევის ხაზზე გარემონტდა დ 200 მმ ჩამკეტი ურდული.

ქობულეთის მთავარ გმპ-ში ჩატარდა აღრიცხვის კვანძის დემონტაჟი და დამონტაჟდა ქობულეთის განშტოების 0 კმ-ზე ახალი კვანძი გაზის მრიცხველით CG-16G-1600.

### **გურჯაანის ფილიალი**

მაგისტრალურ გაზსადენზე აღმოჩნდა და შეკეთდა კოროზიული დაზიანებები. კარდანახისა და ჩალაუბნის მონაკვეთებზე გამოიცვალა 6-6 მეტრი სიგრძის მილი.

ჰერმეტილობაზე შემოწმდა მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენი.

კაჭრეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზსადენის 51 კმ-თან აღიკვეთა მილის მოპარვის მცდელობა. ლიკვიდირებულ იქნა დ 20 მმ-იანი ხვრელი.

წინანდლის განშტოებიდან ყვარლის აგგს-მდე შემოწმდა 14 კმ სიგრძის გაზსადენი. რევიზია ჩატარდა 3 სახაზო ურდულს და გამჭრეველ სანთელს.

გაყვანილია 10 კმ სიგრძის სამანქანო გზა მაგისტრალური გაზსადენის გასწვრივ.

### **უშუალოდ გაზგამანაწილებელ სადგურებზე:**

ველისციხის გგს-ს ჩატარდა რევიზია;

ყვარლის გგს-ში ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. შემოწმდა საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების სიზუსტის კლასი;

ფილიალის საშემდულებლო საამქროში დამზადდა 3 კომპლექტი ოდორიზაციის დანადგარი ფილიალის გგს-ებში დასამონტაჟებლად;

წინანდლის აგგს-ში წესრიგში იქნა მოყვანილი გგს-ის ტექნოლოგიური ხაზები (ჩატარდა დ 100 მმ-იანი მილების დემონტაჟი და ახალი მილების მონტაჟი, საჭირო ადგილებში ჩაიდო ბლინდები); დაყენებულ იქნა გაზის მრიცხველი რგ-100;

სიღნაღის გგს-ში დამონტაჟდა გაზის აღრიცხვის კვანძი;

ფილიალის საშემდულებლო საამქროში დამზადდა ოდორიზაციის კვანძი და დამონტაჟდა წნორის გგს-ში;

წნორის აგგს-ში ჩატარდა მოწყობილობების რევიზია-კონტროლი;

დემონტაჟი ჩატარდა დროებით უმოქმედო საგარეჯოს გგს-ს, რომელიც იძარცვებოდა მოსახლეობის მიერ და შენახულ იქნა გურჯაანის ფილიალის საწყობში.

კომპანიის დეფექტოსკოპიის ლაბორატორიის მიერ გაშუქდა პირაპირები და შემოწმდა მილსადენების შეპირაპირების კედლის სისქეები გაზსადენების მაგისტრალურ უბნებზე.

გაშუქდა 500-მდე პირაპირი.

გაზსადენების სარეაბილიტაციო წლიური პროგრამის მიხედვით 2003 წელს კომპანიის საექსპლუატაციო სამსახურებს გაზსადენებსა და გაზგამანაწილებელ სადგურებზე უნდა შეესრულებინათ 2097300 ლარის სამუშაოები. მცირე დაფინანსების გამო, მათგან ამოკრებილ იქნა „პროგრამა მინიმუმის“ სახით ის

ობიექტები, რომელთა სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოები უმოკლეს ვადაშია შესასრულებელი. პროგრამა მინიმუმის თანხობრივმა ღირებულებამ შეადგინა 847800 ლარი.

პროგრამა მინიმუმიდან წარმოვადგენთ იმ ობიექტების ჩამონათვალს, რომლებზედაც ფილიალებმა წარმოადგინეს შესრულება, თან დართული მასალებისა და საწვავ-საცხები საშუალებების ხარჯებითურთ:

#### **ყაზბევის ფილიალი**

საკუთარი ძალებით შესრულდა საშუალო და მცირე მოცულობის კაპიტალური სამუშაოები, საერთო ღირებულებით 5265 ლარი.

1. მდ. უხათის ხეობაში 83-ე კმ-ზე დ 700 მმ გადარეცხილ და გაშიშვლებულ გაზსადენს იზოლაცია გაუკეთდა 23 გრ.მ-ზე და მოეწყო მონოლითური რკინა-ბეტონის დამცავი კედელი. ობიექტის წინასაწარი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 12513 ლარი. ფაქტობრივად, გახარჯულია მხოლოდ 3585 ლარის მასალები და საწვავი.
2. 700 მმ გაზსადენის 85-ე კმ-ზე მდ. ბიდარასთან ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები. გახარჯულია 758 ლარის მასალები.
3. სიონის გამზომ კვანძს გაუკეთდა შემოღობვა. გახარჯულია 904 ლარის მასალები.
4. 1200 მმ გაზსადენის 171-ე კმ-ზე აშენდა მშრალი კედელი 10 გრ.მ-ზე. გახარჯულია 18 ლარი.

#### **ქვეშეთის ფილიალი**

საკუთარი ძალებით შესრულდა საშუალო და მცირე მოცულობის კაპიტალური სამუშაოები საერთო ხარჯით 1947 ლარი.

1. დ 700 მმ გაზსადენის 133-ე კმ-ზე სიპისკარის ხევში ტარდება გადარეცხილი გაზსადენის საიზოლაციო და ნაპირსამაგრი სამუშაოები. წარმოდგენილი მონაცემებით 9 თვეში გახარჯულია 1539 ლარის მასალები და საწვავი.
2. ადმინისტრაციული, სამეურნეო და ქვეშეთის აგეს-ის შენობის სახურავების შეკეთება, აგეს-ში და მის შემოღობვაზე სამღებრო სამუშაოები. გახარჯულია 408 ლარის მასალები.

#### **საგურამოს ფილიალი**

საკუთარი ძალებით შესრულდა საშუალო და მცირე მოცულობის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები საერთო ხარჯით 102833 ლარი.

1. ვლადიკავკაზ-თბილისის დ 700 მმ მაგისტრალური გაზსადენის 192-ე კმ-ზე (ავჭალაში) ჩატარდა საავარიო-აღდგენითი სამუშაოები (დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა) - სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 99098 (მ.შ. გაიხარჯა 59798 ლარის მასალები და საწვავი).
2. ჩრდილო კავკასია-ამიერკავკასიის 1200 მმ გაზსადენის მდ.არაგვის საჰაერო გადასასვლელზე მოპარული საყრდენების აღდგენა - სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 3104 ლარი (მ.შ. გაიხარჯა 2681 ლარის მასალები და საწვავი).
3. საგურამოს გამზომი კვანძის მშენებლობა - სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 27380 ლარი (მ.შ. გაიხარჯა 23970 ლარის მასალები და საწვავი).

4. ყარადაღ-თბილისის მაგისტრალურ გაზსადენზე 502-ე კმ-ზე კოროზირებული დ 700 მმ მილის შეცვლა 70 გრ.მეტრზე - სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 7013 ლარი (მ.შ. გაიხარჯა 6330 ლარის მასალები და საწვავი).
5. მცხეთის გაზგამანაწილებელი სადგურის შემოღობვა - სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1960 ლარი (მ.შ. გაიხარჯა 1816 ლარის მასალები და საწვავი).
6. ყაზახი-საგურამოს გაზსადენზე რკინა-ბეტონის ფირნიშების დამონტაჟება - სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1123 ლარი (მ.შ. გაიხარჯა 264 ლარის მასალები და საწვავი).
7. ფილიალის დაბალი ძაბვის ქვესადგურის შენობის რბილი სახურავის კაპ.შეკეთება – სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 2200 ლარი (მ.შ. მასალები და საწვავი ღირებულებით 1693 ლარი).
8. ბენზინგასამართი პუნქტის შენობის სახურავის კაპიტალური შეკეთება – სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 837 ლარი (მ.შ. მასალები და საწვავი 701 ლარი).
9. ავტოსამრეცხაო ფარდულის გადახურვის კაპიტალური შეკეთება - სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 4918 ლარი (მ.შ. მასალები და საწვავი 4226 ლარის ღირებულების).
10. მატერიალურ ფასეულობათა საწყობის შენობის კაპიტალური შეკეთება – სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1883 ლარი (მ.შ. მასალები და საწვავი 1007 ლარის).
11. მატერიალურ ფასეულობათა საწყობის შენობის კაპიტალური შეკეთება - სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 570 ლარი (მ.შ. მასალები და საწვავი 347 ლარის).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საკუთარი ძალებით შესრულებული კაპიტალური სამუშაოების ხარჯების წილი სარეაბილიტაციო სამუშაოების „პროგრამა მინიმუმიდან“:

№	“პროგრამა-მინიმუმის” ღირებულება ლარი	საკუთარი ძალებით შესრულებული კაპ. სამუშაოების ღირებულება ლარი	საკუთარი ძალებით შესრულებული კაპ. სამუშაოების ხარჯების წილი “პროგრამა მინიმუმიდან”, %
1.	847 800	110 045	12,98

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, საფრანგეთის ფირმა „სოფრეგაზის“ და “ტასისის” დაფინანსებით დანიის ფირმა „რამბოლის“ მიერ 2002-2003 წლებში შესრულდა ორი სარეაბილიტაციო პროექტი:

აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციის ბიზნესგეგმების შედგენას და დოკუმენტაციის მომზადებას საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში წარდგენისათვის, ინვესტიციების მოსაზიდად.

2002 წელს დაიწყო და 2003 წელს დასრულდა სამუშაოები შემდეგი მიმართულებებით: გაზის მოხმარების პერსპექტიული დონეების განსაზღვრა და გაზსადენების ჰიდრავლიკური გაანგარიშება; საჭირო მაქსიმალური წნევების დადგენა რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების შემდეგ, გამომდინარე გაზსადენების ტექნიკური მდგომარეობიდან; გაზსადენების ოპერირების ფილოსოფია (რეკომენდაციები სისტემის მართვის შესახებ).

დანის ფირმამ “რამბოლმა”, კორპორაციისა და კომპანიის სპეციალისტებთან ერთად, განახორციელა ორი სადემონსტრაციო კომპიუტერული პროექტი:

1. **გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა (GIS):** სპეციალური ხელსაწყოებით (GPS), დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე ორიენტირებით, განისაზღვრება გაზსადენებისა და მასზე დამახასიათებელი წერტილების (გაზის გამანაწილებელი სადგურები, აღრიცხვის კვანძები, ჩამკეტი ონკანები, პოტენციალების გამზომი საკონტროლო პუნქტები და სადგურები და ა.შ.) კოორდინატები, რომლებიც სპეციალური პროგრამით შეიტანება კომპიუტერში და დაიტანება კომპიუტერშივე შეტანილ მსხვილმასშტაბიან გეოგრაფიულ რუკაზე. ამის შედეგად, გეოგრაფიულ რუკაზე დატანილი იქნება გაზსადენი და ყველა ნაგებობა. სათანადო პროგრამით შეიტანება აგრეთვე ნაგებობების აქსონომეტრიული ნახაზები. პროგრამა საშუალებას იძლევა თვალსაჩინოდ იქნეს წარმოდგენილი სიტუაცია გაზსადენის ნებისმიერ წერტილში, აგრეთვე შესრულდეს გაზსადენის პროფილი ნებისმიერ მონაკვეთზე და ა.შ.
2. **მენეჯმენტის (მართვის) სისტემა (MMS):** სისტემა მოიცავს გაზსადენებზე სამუშაოების შესრულებას (გეგმური, გადაუდებელი, საავარიო), მასალებითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფას (საწყობი, ხარჯვა, მომწოდებლები, ფასები) და ა.შ.

2003 წლის განმავლობაში საქართველოს გაზის მეურნეობებში ჩატარდა გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

#### **შპს „ბორჯომიგაზი“**

დღეისათვის მომქმედი გაზსადენების საერთო სიგრძეა 124.6 კმ. შპს „ბორჯომიგაზის“ მიერ ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება როგორც ქ. ბორჯომის მომხმარებლებისათვის ასევე დაბა ბაკურიანის მომხმარებლებისათვის.

2003 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 7.5 კმ. გაზსადენზე. მათ შორის დაბა ბაკურიანში 0.46 კმ. ხოლო ქ. ბორჯომში 7.04 კმ. დამონტაჟებულია 230 ერთეული საკონტროლო მრიცხველი, აქედან დაბა ბაკურიანში დამონტაჟებულია 50 ერთეული.

2003 წლის განმავლობაში შ.პ.ს. „ბორჯომიგაზის“ მიერ ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 3 638 200 მ<sup>3</sup>. საშუალოდ წლიურმა ტექნიკურმა დანაკარგმა შეადგინა 28.8 %.

#### **სს „რუსთავიგაზი“**

დღეისათვის მომქმედი გაზსადენების საერთო სიგრძეა 145 კმ. სს „რუსთავიგაზის“ მიერ ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება ქ. რუსთავის მომხმარებლებისათვის.

2003 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 10.7 კმ. გაზსადენზე. დამონტაჟებულია 400 ერთეული საკონტროლო მრიცხველი და 2 ერთეული გაზის მარეგულირებელი კარადა.

2003 წლის განმავლობაში სს "რუსთავიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 10 780 251 მ<sup>3</sup>. საიდანაც საშუალოდ წლიურმა ტექნიკურმა დანაკარგმა შეადგინა 27.6 %.

### **სს "ქუთაისიგაზი"**

დღეისათვის მოქმედი გაზსადენების საერთო სიგრძეა 138 კმ. სს "ქუთაისიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება ქ. ქუთაისის მომხმარებლებისათვის.

2003 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 6.7 კმ გაზსადენზე. დამონტაჟებულია 8 ერთეული გაზის მარეგულირებელი კარადა.

2003 წლის განმავლობაში სს "ქუთაისიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 10 070 251 მ<sup>3</sup>. საშუალოდ წლიურმა ტექნიკურმა დანაკარგმა შეადგინა 33.2 %.

### **სს "კასპიგაზი"**

დღეისათვის მოქმედი გაზსადენების საერთო სიგრძეა 15.3 კმ. სს "კასპიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება ქ. კასპის მომხმარებლებისათვის.

2003 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 0.73 კმ. გაზსადენზე.

2003 წლის განმავლობაში სს "კასპიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 971 300 მ<sup>3</sup>. საიდანაც საშუალოდ წლიურმა ტექნიკურმა დანაკარგმა შეადგინა 8.1 %.

### **სს "თეთრიწყაროგაზი"**

დღეისათვის მოქმედი გაზსადენების საერთო სიგრძეა 63.2 კმ. სს "თეთრიწყაროგაზის" მიერ ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება ქ. თეთრიწყაროს მომხმარებლებისათვის.

2003 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 6 კმ. გაზსადენზე. დამონტაჟებულია 4 ერთეული საკონტროლო მრიცხველი.

2003 წლის განმავლობაში სს "თეთრიწყაროგაზის" მიერ ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 977 390 მ<sup>3</sup>. საიდანაც საშუალოდ წლიურმა ტექნიკურმა დანაკარგმა შეადგინა 7.8 %.

### **სს "ბოლნისიგაზი"**

დღეისათვის მოქმედი გაზსადენების საერთო სიგრძეა 54 კმ. სს "ბოლნისიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება ქალაქ ბოლნისისა და ბოლნისის რაიონის მომხმარებლებისათვის.

2003 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 1.5 კმ. გაზსადენზე. დამონტაჟებულია 4 ერთეული საკონტროლო მრიცხველი.

2003 წლის განმავლობაში სს "ბოლნისიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 1 162 160 მ<sup>3</sup>. საიდანაც საშუალოდ წლიურმა ტექნიკურმა დანაკარგმა შეადგინა 12.4 %.



### სს"გორიგაზი"

დღეისათვის მომქმედი გაზსადენების საერთო სიგრძეა 45 კმ. სს "გორიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება ქ. გორისა და გორის რაიონის მომხმარებლებისათვის.

2003 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 1.5 კმ. გაზსადენზე. დამონტაჟებულია 7 ერთეული საკონტროლო მრიცხველი და 2 ერთეული გაზის მარეგულირებელი კარადა.

2003 წლის განმავლობაში სს "გორიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 1 399 204 მ<sup>3</sup>. საიდანაც საშუალოდ წლიურმა ტექნიკურმა დანაკარგმა შეადგინა 12 %.

### შპს "სამტრედიაგაზი"

დღეისათვის მომქმედი გაზსადენების საერთო სიგრძეა 42 კმ. შ.პ.ს. "სამტრედიაგაზის" მიერ ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება ქ. სამტრედიის მომხმარებლებისათვის.

2003 წლის განმავლობაში დამონტაჟებულია 142 ერთეული საკონტროლო მრიცხველი.

2003 წლის განმავლობაში შ.პ.ს.

"სამტრედიაგაზის" მიერ ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 1 824 600 მ<sup>3</sup>. საიდანაც საშუალოდ წლიურმა ტექნიკურმა დანაკარგმა შეადგინა 25.4 %.

### შპს "ვანიგაზი"

დღეისათვის მომქმედი გაზსადენების საერთო სიგრძეა 30.7 კმ. შ.პ.ს. "ვანიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება ქ. ვანისა და ვანის რაიონის მომხმარებლებისათვის.

2003 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 3 კმ. გაზსადენზე. დამონტაჟებულია 8 ერთეული საკონტროლო მრიცხველი და 2 ერთეული გაზის მარეგულირებელი კარადა.

2003 წლის განმავლობაში შ.პ.ს. "ვანიგაზის" მიერ ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 193 700 მ<sup>3</sup>. საიდანაც საშუალოდ წლიურმა ტექნიკურმა დანაკარგმა შეადგინა 33.7 %.

მიუხედავად ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისა გაზსადენებში დანაკარგის პროცენტი საკმაოდ მაღალია, ვინაიდან გაზსადენების დიდი ნაწილი ამორტიზირებულია, რომლის აღდგენაც დაკავშირებულია დიდ თანხებთან. რის საშუალებაც გაზის მეურნეობებს დღეისათვის არ გააჩნიათ.

საქართველო გაზიფიკაციის დონით ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. B ბუნებრივი გაზით გაზიფიცირებული იყო 48 ქალაქი და 230 სოფელი, 600 ათასი ბინა, 800 საწარმო, 1500 გამთბობი საქვაბე, 2000 კომუნალური ობიექტი. აშენდა 8 ათასი კმ გამანაწილებელი ქსელი. 1989 წელს ბუნებრივი გაზის მოხმარებამ 6 მილიარდ მ<sup>3</sup>-ს მიაღწია, რამაც ქვეყნის სათბობის ბალანსის 60% შეადგინა.

დანართში №6 მოყვანილია საქართველოში გაზის მოხმარების რეალური და საპროგნოზო მაჩვენებლები და ენერჯის წყაროების ფასების შეფარდება ბუნებრივი გაზის ფასთან.

დღეისათვის გაზის მოხმარება მკვეთრად შემცირდა და მხოლოდ 0,86 მილიარდ მ<sup>3</sup>-ს შეადგენს წელიწადში. Ees, ძირითადად, გამოწვეულია მსხვილი საწარმოების უმოქმედობით, გამანაწილებელი ქსელის გაუმართაობით და მოსახლეობის გადახდის უუნარობით.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 48 გაზიფიცირებული ქალაქიდან გაზით სარგებლობს მხოლოდ 29, ხოლო 230 სოფლიდან – რამდენიმე. სულ გაზით სარგებლობენ გაზიფიცირებული ბინების მხოლოდ 35-40%-ში.

ქ. თბილისში 1989 წელს გაზიფიცირებული იყო 293000 ბინა, ბუნებრივი გაზის მოხმარება შეადგენდა 2 მლრდ მ<sup>3</sup>, აქედან 1 მლრდ მ<sup>3</sup>- ცენტრალიზებულ გათბობაზე. დღესდღეობით გაზიფიცირებულია დაახლოებით 320000 ბინა, მათ შორის ექსპლუატაციაშია 195000 ბინა, მოხმარება კი შეადგენს 290 მლნ. მ<sup>3</sup> წელიწადში.

### ა) ლიცენზირება

ლიცენზირების წესებით და პირობებით ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში დადგენილია ის აუცილებელი მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სექტორში დასაქმებული ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. ასევე განსაზღვრულია ლიცენზიის გაცემასთან, მოდიფიცირებასთან, შეჩერებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებულ წესები, პირობები და პროცედურები.

2003 წელს გაიცა ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების 25 ლიცენზია, რომელთა მფლობელი გახდა 14 ლიცენზიატი (დანართი №7).

#### ტრანსპორტირების ლიცენზიები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია იურიდიულ პირს უფლებას აძლევს განახორციელოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება, ტრანსპორტირების სისტემის საშუალებით. სემეკის მიერ 2003 წელს ტრანსპორტირების ლიცენზია არ გაცემულა. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ფლობს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიას, არის შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“.

#### მიწოდების ლიცენზიები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სემეკის მიერ გაცემული ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზია იურიდიულ პირს ან ინდივიდუალურ მეწარმეს უფლებას აძლევს იყიდოს და/ან გაყიდოს ბუნებრივი გაზი სხვა მიწოდების ლიცენზიატზე ან მომხმარებელზე. სემეკის მიერ 2003 წელს გაცემულია მიწოდების 14 ლიცენზია (დანართი 7).

#### განაწილების ლიცენზია

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზია იურიდიულ პირს უფლებას აძლევს ექსპლუატაცია გაუწიოს გამანაწილებელ ქსელს და ბუნებრივი გაზი გაანაწილოს განსაზღვრული ადმინისტრაციული ან გეოგრაფიული ზონის ან

კონკრეტული გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში. სემეკის მიერ 2003 წელს გაცემულია 11 განაწილების ლიცენზია.

მოდელიზაცია ჩაუტარდა 11 ლიცენზიატს (დანართი №8).

## ბ) პრივატიზაციის პროცესი

2003 წლის საანგარიშო პერიოდში ბუნებრივი გაზის სექტორში პრივატიზაცია არ განხორციელებულა.

რაც შეეხება სს „თბილგაზს“, აქ მდგომარეობა ასეთია: როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 30 დეკემბრის №1-3/967 და 1997 წლის 22 იანვრის №1-3/44 ბრძანების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 27.05.97 წლის №07.07.325 დადგენილების საფუძველზე ტრესტი „თბილგაზი“ მუნიციპალურ საკუთრებაში გადავიდა. შემდგომში კი მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „თბილგაზი“.

წლების განმავლობაში სს „თბილგაზში“ არ ჩატარებულა გეგმური აღდგენითი და პროფილაქტიკური სამუშაოები, რის გამოც გაიზარდა ავარიების რაოდენობა და გაზის დანაკარგები. გაზმომარაგების აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობისა და მოხმარებული გაზის საფასურის მეტად დაბალი ამოღების პირობებში ძალზე რთული ხდებოდა მისი დაფინანსების შემდგომი უზრუნველყოფაც.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და ქ.თბილისის მთავრობის მიერ რამდენჯერმე იქნა გამოცხადებული კომერციული კონკურსი სს „თბილგაზის“ პრივატიზების შესახებ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო სს „თბილგაზის“ აქციათა პაკეტი არ იქნა პრივატიზებული.

ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 27 იანვრის №02.01.25 დადგენილებით კონკურსი გამოცხადდა სს „თბილგაზის“ ადგილობრივ საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის 96,05%-ის ათი წლის მართვის უფლების გადაცემის შესახებ, რომელშიც გაიმარჯვა ამხანაგობა „ახალმა მენეჯმენტმა“. ამავე წლის 21 აგვისტოს ხელშეკრულება გაფორმდა ქ. თბილისის მთავრობასა და ამხანაგობა „ახალ მენეჯმენტს“ შორის სს „თბილგაზის“ ქ.თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის 96,05% -ის მართვის უფლების გადაცემის თაობაზე.

აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრულია ამხანაგობა „ახალი მენეჯმენტის“ ვალდებულებები – გაზის დანაკარგების შემცირება, მოსახლეობასთან ხელშეკრულებების გაფორმება, მომხმარებლების ხელახალი გამრიცხველიანობა, გაზსადენების რეაბილიტაცია და ა.შ.

ამხანაგობა „ახალი მენეჯმენტი“ და სს „თბილგაზის“ ახალი ხელმძღვანელობა რეალურ საქმიანობას შეუდგა 2003 წლის 1 ოქტომბრიდან. გავიდა სამი თვე (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი), მაგრამ სს „თბილგაზის“ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები პრაქტიკულად არ გაუმჯობესებულა.

## გ) სხვა საქმიანობა

საანგარიშო წელს ბუნებრივი გაზის დეპარტამენტში შეიქმნა ლიცენზირების სამმართველო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ლიცენზიის პირობებისა და წესების შესრულების კონტროლი.

ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე, დეპარტამენტი ლიცენზიატებისაგან სისტემატურად იღებს ინფორმაციას ჩატარებული საქმიანობის შესახებ (სემეკის წერილები: 12.11.03 წლის №4/04-27/134-1419 გაზგამანაწილებელი კომპანიების მონაცემების - გაზის ხარჯების, დანაკარგების, აბონენტების რაოდენობის, ქსელების სიგრძის შესახებ, 4.12.03 წლის №1/04-27/145-1556 ბუნებრივი გაზის მიღება-განაწილების ბალანსის შესახებ და ა.შ.) ინფორმაციის დამუშავების შემდეგ აკეთებს დასკვნებს, შერჩევით ამოწმებს ობიექტებს და იძლევა რეკომენდაციებს.

საანგარიშო წელს სემეკს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული სხვადასხვა გაზმომმარაგებელ ორგანიზაციასთან.

2003 წლის 14-დან 25 ოქტომბრამდე ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ვ. ციმაკურიძე გამოცდილების გაზიარების მიზნით მივლინებით იმყოფებოდა იტალიის ქალაქებში რიმინში, ბერგამოში, ფერარასა და პორტო-გრუაროში. გაეცნო რობურის გაზგამათბობელი ხელსაწყოების ქარხანას და ქ. ფერარასთან არსებულ გაზის საცავს.

2003 წლის 14-15 ნოემბერს ქ. მოსკოვში, ფოლადისა და შენადნობების ინსტიტუტში გაიმართა კონფერენცია. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა ილია ხეროდინაშვილმა. გარდა ამისა, იგი 22-30 ოქტომბერს მივლინებული იყო ბათუმსა და ქობულეთში ბუნებრივი გაზის გაშვებასთან დაკავშირებით. მისი კონსულტაციითა და უშუალო დახმარებით 29 ოქტომბერს ქალაქ ბათუმში ბუნებრივი გაზი აინთო (აქ იგი პირველად 1956 წლის 5 ნოემბერს შემოვიდა.) ბუნებრივი გაზის აჭარაში შემოყვანის აღდგენის მცდელობა რამდენინათაც იყო, ამ მიზნით ქობულეთში გაზმომარაგების სისტემა გამოსცადეს კიდევ, მაგრამ არასტანდარტულ დონეზე გაყვანილი მილები სტიქიამ მოშალა. ამჟამად სისტემა ტექნიკურად გამართულია და ოსახლეობას გაზი სრულყოფილად მიეწოდება.

## 5.2. “მმართველო კომპანიის” მიერ სს „თბილგაზში” ჩატარებული მუშაობის შესახებ 2003 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში

მმართველმა კომპანიამ სს “თბილგაზში” შემოსვლის დღიდან, კერძოდ 2003 წლის 1 ოქტომბრიდანვე, დაიწყო მთელი რიგი ღონისძიებების გაგარება, რომელთა უმეტესი ნაწილი წარმატებით ხორციელდება.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო სამოგადოების მართვის სტრუქტურის დახვეწა, საკადრო და საშტატო საკითხების მოგვარება და სახელშეკრულებო სისტემაზე გადასვლა.

შემუშავდა ერთიანი საშტატო განრიგი. პროგრამით გათვალისწინებულია 2004 წლის განმავლობაში ჩატარდეს სტრუქტურის, და შესაბამისად, კადრების ოპტიმიზაცია.

გათვალისწინებულია ამ პერიოდში განხორციელდეს სისტემაში მომუშავე თანამშრომლების 300-350 ერთეულით შემცირება.

დამუშავდა თანამდებობრივი ინსტრუქციები, და თითოეული სტრუქტურული დანაყოფისათვის სამსახურობრივი დებულებები. დღეისათვის უკვე შემუშავებულია და დამტკიცებულია 27 სამსახურობრივი დებულება და წესდება. გამოიცა ასზე მეტი ბრძანება და დაისახა ღონისძიებები თბილისის მოსახლეობის გამის მიწოდების ეტაპობრივად გაუმჯობესებისათვის. პირველ ეტაპზე განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილების თვალსაზრისით:

- გამიჯნული იქნა სადისკრიბუციო და საექსპლუატაციო საქმიანობა ქალაქის რაიონების დონეზე. რაიონული ცენტრების ნაცვლად შეიქმნა 13 რაიონული საექსპლუატაციო უბანი;

- გამიჯნული იქნა სამშენებლო-სამონტაჟო და საექსპლუატაციო საქმიანობა და აღდგა გექნიკური სამსახური, როგორც დამოუკიდებელი რგოლი;

2. ექსპლუატაციის გაუმჯობესების ორგანიზაციულ-გექნიკური ღონისძიებების კუთხით:

- შედგენილია გამსაღწევის რეაბილიტაციის ღონისძიებები 2004 წლისათვის;

- მომზადებულია 2003-2004 წლის ზამთრის სეზონისათვის გასაგარებელი ღონისძიებების გეგმა;

- ინვენტარიზაცია ჩაუტარდა მიწისქვეშა გაუქმებულ გამსაღწეებს და მიმდინარეობს აბონენტთა და საცხოვრებელ სექტორში დადგმულ სიმძლავრეთა ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია ათასობით გაუფორმებელი მომხმარებელი, აღნიშნული პროცესი შემდგომშიც გაგრძელდება და ექნება პერმანენტული ხასიათი. გამოვლენილი მომხმარებლები გამრიცხველიანების, სათანადო გექნიკური დოკუმენტაციის შედგენისა და შესაბამისი კალკულაციით დადგენილი თანხის გადახდის შემდეგ ოფიციალურად ფიქსირდებიან აბონენტებად;

- შეიცვალა და გამკაცრდა ახალ საცხოვრებელ სახლებში ჩაგარებული გამიფიცირების სამუშაოების მიღების და ჩაბარების, მოქმედ გამსაღწეებზე ჩართვის სამუშაოების ჩაგარების მოთხოვნები შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებით;

- “თბილმიწისქვეშალითონდაცვის” სამსახურმა დაასრულა ქალაქის მიწისქვეშა გამსაღწევის დაცვის პროექტირება 34-კმ-ზე და მზადდება პროექტი 164 კმ სიგრძის გამსაღწენისათვის;

3. ჩაგარდა შემდეგი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- აღდგა წყნეთში დაზიანებული D – 200 მმ საშუალო წნევის 360 მეგრი სიგრძის სიგრძის გამსაღენი;

- საბურთალოს და ბახგრიონის ქუჩების 500-მდე მოსახლის მომსახურებისათვის შეკეთდა და გამოიცვალა D – 500 მმ საშუალო წნევის 100 მ სიგრძის გამსაღენი;

- ნუცუბიდის პლატოს მე-3 მიკრორაიონში აშენდა 300 გრძ. მეგრი D – 100 მმ საშუალო წნევის ქსელი და დაიდგა წნევის დამაგები რეგულატორი;

- აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა აღმაშენებლის გამზირზე 300 აბონენტისათვის;

- აშენდა წყნეთი-ბაგები-საბურთალოს მაგისტრალურ გამსაღენზე 200 მეგრი D – 300 მმ ახალი ხაზი;

- დამზალდა 4 ახალი გამმარეგულირებელი პუნქტი და დაიდგა თბილისის სხვადასხვა უბნებში (ვაზისუბანი, ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალი, ვარკეთილის დასახლება და მოსკოვის გამზირზე);

- ნაძალადევის და ჩუღურეთის რაიონებში მიმდინარეობს #2 გამმარეგულირებელი სადგურის რემონტი და დაბალი და საშუალო წნევის გამსაღენების გამოცდა.

ჩატარდა სამუშაოები ქალაქის გამგამანაწიებელ ქსელში მოწყობილი გამის მარეგულირებელი პუნქტების მოქმედების არეალის დასადგენად.

გაანგარიშებული იქნა ქალაქის გამომომარაგების ქსელში დასამონტაჟებელი სხვადასხვა სიმძლავრის მრიცხველების რაოდენობა (160 ცალი). მათი დამონტაჟების შემთხვევაში ამჟამად არსებულ 48 მრიცხველთან ერთად შესაძლებელი გახდება გაკონტროლდეს ქალაქში არსებული ბუნებრივი გამის მომხმარებელთა 75%-ის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გამის რაოდენობა ცალკეული უბნების მიხედვით.

მიმდინარეობს სამუშაოები ქალაქის რუკაზე გამსაღენებისა და გამმარეგულირებელი მოწყობილობების დაგებით რეგულირების მოქმედების არეალის განსაზღვრისათვის.

მოხმარებული გამის საფასურის ამოღების საკითხის მოგვარების მიზნით შეიქმნა ახალი სტრუქტურა დისგრიბუცია-მარკეტინგის მიმართულებით, რომლის შემადგენლობაშიც შედიან აბონენტთა და რეალიზებული გამის აღრიცხვისა და მონიტორინგის სამმართველო, მოსახლეობის სექტორში გამის რეალიზაციის კონტროლისა და კოორდინაციის სამსახური, აბონენტთა მომსახურების განყოფილება, მრეწველობაში, წვრილ და მსხვილ კომუნალურ საყოფაცხოვრებო ობიექტებზე მოხმარებული გამის აღმრიცხველთა ჯგუფი.

კომუნალურ სექტორში გამის რეალიზაციის კონტროლისა და კოორდინაციის სამსახურმა მთელი რიგი ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად, შეძლო შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ამოღების მაჩვენებლის გაუმჯობესება.

ასე მაგალითად: 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში 15 დღეში მომწოდებლებიდან მიღებულმა გამის მოცულობამ შეადგინა 70,7393 მლნმ<sup>3</sup>, მომწოდებელთან მთლიანად გადახდილია ოქტომბრის გამის ღირებულება 948,0 ათასი აშშ დოლარი, დაწყებულია ნოემბრის თანხის გასტუმრება, საიდანაც უკვე გადახდილია 100,0 ათასი აშშ დოლარი.

მომხმარებლებიდან ამოღებულია მოხმარებული გამის საფასური შეღავათიან კატეგორიაზე რეალიზებული გამის ღირებულების ჩათვლით 5205,1 ათასი ლარის ოდენობით.

აღნიშნულ პერიოდში ამოღების პროცენტი სარეალიზაციო გამზე ღარიცხულ თანხებთან შეღავათების გაუთვალისწინებლად შეადგენს 31,0%-ს. ამოღების პროცენტის დაბალი მაჩვენებელი განაპირობა ცენტრალური და ადგილობრივი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან თანხების არშემოსვლამ, რომელთა დავალიანება დღეისათვის შეადგენს 1050,6 ათ.ლარს.

სერიოზული მუშაობა გარდება შეღავათით მოსარგებლე აბონენტების სიების დასაზუსტებლად. დღეისათვის მათმა რიცხვმა შეადგინა 43175 აბონენტი და ბოლო 3 თვეში გაიზარდა 2829 აბონენტით.

გახარჯული გამის საფასურის ამოღების გაუმჯობესების მიზნით, ურჩი გადახდებულების მიმართ ხორციელდება გამის მიწოდების შეწყვეტის (ჩაჭრების, გადაკეცვის) ღონისძიებები. გასული ორი თვის მანძილზე ჩაჭრილია 200-მდე აბონენტი.

პროკურატურას გადაეცა მასალები იმ აღმრიცხველებზე, რომლებმაც დაუშვეს მიწერები, მრიცხველების გაყალბებები და ე. წ. წინსწრებები.

მრიცხველებზე ზემოქმედების და მათი მაჩვენებლების გაყალბების მაქსიმალურად შემცირებისათვის ხელახლა დაედო ორმაგი დამლები და ჩაისვა სპეციალურ ყუთებში 597 კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტის მრიცხველი.

მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან მთლიანად უქმდება აღმრიცხველთა (ინკასატორთა) სამსახური, რომელიც ჩვენის ამრით, კორუფციის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. მათ ნაცვლად შეიქმნება წამკითხველთა ჯგუფი, რომელთა ფუნქციაშიც შევა მხოლოდ აბონენტთა მიერ მოხმარებული გამის რაოდენობის დაფიქსირება. აბონენტი გამის საფასურს გადაიხდის ბანკში.

კომუნალურ სექტორში მოქმედი გამის ხარჯის აღრიცხვის მრიცხველების დაახლოებით 70-80%-ი ან ნაწილობრივ დამიანებულია, ან საჭიროებს ხელახალ დამოწმებას ან საერთოდ გამოსულია მწყობრიდან. გამომდინარე იქიდან, რომ მათ შესაცვლელად საჭიროა დაახლოებით 17 მლნ აშშ დოლარი, რის გადახდაც დღეისათვის “თბილგამს” არ შეუძლია, “ახალი მენჯემენტი” აგარებს კონსულტაციებს სემეკ-თან გამის დროებით ნორმირებულ გადასახადზე გადასასვლელად აღრიცხვიანობის მოწესრიგებამდე. ამ ნორმების დადგენა ხორციელდება ქ. თბილისის გამის მომხმარებელი აბონენტების და გამის ხელსაწყოების მთლიანი ინვენტარიზაციის საფუძველზე.

მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები მოხდა სამოგადოების საფინანსო-ეკონომიკურ დარგში. ცენტრალური ბუღალტერიის ბაზაზე შეიქმნა საფინანსო სამმართველო, მასში ჩამოყალიბდა ორი განყოფილება: ოპერატიული აღრიცხვისა და კონსოლიდირებული ბალანსის განყოფილება. შეიქმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველო და ქონების მართვის განყოფილება. აღნიშნული განყოფილებები სს “თბილგამში” საერთოდ არ არსებობდა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს მიერ ჩასაგარებელი სამუშაოები სს “თბილგამის” საქმიანობის შემდგომი მკვეთრად გაუმჯობესების კუთხით.

მნიშვნელოვანი სამუშაოებია დაწყებული სს “თბილგამის” კრედიტორული დავალიანებების რესტრუქტურირაცია - ჩამოწერის მიმართულებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილია საგადასახადო ვალდებულებების მთლიანი პაკეტი, 32 მილიონი ლარის რესტრუქტურირაციის შესახებ. “თბილგამსა” და საბაჟო დეპარტამენტს შორის გაფორმებულია 2 წლიანი გრაფიკი ვალის დაფარვის თაობაზე. 2004 წლიდან გრაფიკის მიხედვით 2005 წლის ჩათვლით აღებული გვაქვს ვალდებულება ყოველთვიურად, როგორც მიმდინარე საბაჟო გადასახადზე, ასევე ძველი დავალიანების – 8 მილიონი ლარის დაფარვაზე.

უკანასკნელ პერიოდში სს “თბილგამი” გრადიციულად გადახდისუნაროდ წარმოჩინდებოდა. 2003 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით საწარმოს დავალიანება 155 მლნ ლარს შეადგენდა. ვერ ხერხდებოდა ყოველთვიურად თანამშრომელთა ხელფასების ანაზღაურება. სს “თბილგამში” “ახალი მენჯემენტის” შემოსვლის მომენტისათვის სახელფასო დავალიანება შეადგენდა 766 ათას ლარს, რომლის გასტუმრებაც დაწყებულია და დღეისათვის გადახდილია 110 ათასი ლარი.

მმართველი კომპანიის შემოსვლამდე სს “თბილგამი” თითქმის არ იხდიდა საბიუჯეტო გადასახადებს. დღეისათვის დაწყებულია მიმდინარე საგადასახადო



დავალიანების გასტუმრება, რაც შემდგომშიც გაგრძელდება და ადგილი არ ექნება დავალიანების წარმოშობას.

საანგარიშო პერიოდში საპროექტო ჯგუფის მიერ შესრულებული 133 პროექტი, რომლებიც ჩამოყალიბებულია წარმოებაში. 46 გამცხადებელს გექნიკური პირობების უქონლობიდან გამომდინარე, ეთქვა უარი, ხოლო 100 განცხადება განხილვისა და პროექტირების პროცესშია.

გექნიკური მუდამხედველობა გაეწია და მიღებული იქნა ექსპლუატაციაში 2135 გრძ. მეტრი სხვადასხვა ღია მეტრის გამსაღენი და 3949 საცხოვრებელი ბინა.

ღღისათვის მიღებულია ექსპლუატაციაში გამსაღენები საერთო სიგრძით 3490 გრძივი მეტრი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ 1 ოქტომბრიდან ღღემდე მმართველი კომპანიის მიერ უკვე განხორციელდა გარკვეული სამუშაოები სს “თბილგამში” არსებული მძიმე მღგომარეობის გამოსასწორებლად, თუმცა სასურველი შედეგის მისაღწევად გასაკეთებელი ჯერ კიღევ ბევრია.

### 5.3. 2003 წლის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

სააქციო საზოგადოება “თბილგამი” 2001, 2002, 2003 წლებში აბსოლუტურად გადახდისუენარო იყო და ბოლო 3-4 წლის განმავლობაში მისმა კრედიტორულმა დავალიანებამ 155,5 მლნ ლარი შეაღგინა.

აღნიშნული მღგომარეობის ძირითად მიზეზად კვლავ ბუნებრივი გამის ბენორმაგიული დანაკარგი გვევლინება, რამაც ბუნებრივი გამის თვითღირებულება მნიშვნელოვნად გაზარდა. აღნიშნულის მიზეზად შეიძლება დასახელღღეს როგორც ქსელების გაუმართავი მუშაობა, ისე ღღსგრბუციის ხაზით ობიექტურ მიზეზთა გამო არსებული ნაკლოვანებები.

სახსრების უქონლობის გამო ვერ სრულღღებოღღა:

1. ქსელის გამხოლოების სამუშაოები.
2. გამხოლოებული უბნების მიხეღღვით მრიცხველების მონგაჟი.
3. ინღღვიღღუალური მრიცხველების აღჭურვა ღღამცავი მექანიზმებით.

გემოაღნიშნულის გამო შექმნიღღი იყო ბუნებრივი აღღრის მოპარვის ნოციერი ნიაღღაგი.

მაშასადამე კრიტიკული სიგუაციის მრავალ მიზეზთაგან აღსანიშნავია მწირი დაფინანსება, აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, ცუდი მენეჯმენტი, თანამშრომელთა დაბალი ანაზღაურება, მნიშვნელოვნად გაბერილი შტაბები, თანამშრომელთა ნაწილის არაკეთილსინდისიერება, მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობა და სხვა.

ყოველივე ამან განაპირობა მოსამსახურეთა ხელფასების დავალიანების, მომწოდებლების, ბიუჯეტის, ბანკების წინაშე და სხვა კრედიტორების მიმართ დავალიანებათა ვალდებულებების წარმოშობა.

ბიუჯეტში გადასახადების და მოსაკრებლების დავალიანებამ საბაჟო ორგანოებთან ძველი დავალიანების ჩათვლით 41193,1 შეადგინა ათასი ლარი, გამის საერთაშორისო კორპორაციის დავალიანებამ - 4769,5 ათასი ლარი, შიდა ვალებმა ხელფასების დავალიანების სახით 1004,5 ათ.ლარი. ბანკების მიმართ დავალიანებაა 6457,7 ათ.ლარი, საბიუჯეტო კრედიტი 53670,3 ათ.ლარი და ა.შ.

მოსახლეობის მიერ ინდივიდუალური გამის გამათბობლების მასიურად დაყენებამ მკვეთრად გაზარდა ლაგვირთვა დაბალი წნევის გამსაღენებზე, რამელაც იგი არ იყო გათვლილი. ქალაქის მთელ რიგ უბნებში ვერ ხერხდება გამის მიწოდება საჭირო წნევით. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ქალაქის გამანაწილებელი ქსელის გადაანგარიშებას და თანდათანობით, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ცალკეული უბნების გადაყვანას საშუალო წნევის გამსაღენებიდან მომარაგებაზე.

გარდა ამისა, არის მთელი რიგი ხელისშემშლელი პირობები, რომლებიც აფერხებენ გამსაღენების გამართულ მუშაობას, ხოლო რიგ შემთხვევებში მათი ფუნქციონირების სრულ პარალიზებას ახდენენ. კერძოდ, სისგემა ცუდად არის აღჭურვილი ექსპლუატაციისათვის აუცილებელი მაგერიალური ბაზით, ხელსაწყოებით, მანქანა-დანადგარებით, საავარიო ტექნიკით, არ არსებობს მრიცხველების სარემონტო ბაზა, არაეფექტურია სახლშიგა გამსაღენების მომსახურების სისგემა, ბინების გამომარაგების არსებული სქემები არ იძლევა აბონენტების ინდივიდუალურად გათიშვის საშუალებას, არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები მოსახლეობასთან გამის მიწოდებაზე და სხვა.

ამრიგად, არსებული მართვისა და ტექნიკური მდგომარეობის პირობებში სს “თბილგამი” გადახდისუნარო საწარმო იყო.

ბუნებრივი გამის გენორმაგიული დანაკარგების გამო 1000მ3 ბუნებრივი გამის შესყიდვის ღირებულებამ ნაცვლად დამტკიცებული 194,00 ლარისა, ფაქტიურად შეადგინა 645 ლარი.

სააქციო საზოგადოება “თბილგამმა” 2003 წელს მომწოდებლიდან მიიღო 289,7 მლნ. მზ ბუნებრივი გაზი ღირებულებით 56206,1 ათ.ლარი. მომხმარებლებზე რეალიზებულია 87,2 მლნ. მზ ღირებულებით 23488,2 ათ.ლარი, აქედან მოსახლეობაზე 66,3 მლნ. მზ ღირებულებით 17864,3 ათ.ლარი.

აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობისა, გაზის დაგაცემის და გამომომარაგების სისტემის არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო გაზის დანაკარგები მამთრის ცალკეულ თვეებში 80%-ს აღწევდა. 2002 წლის განმავლობაში მთლიანმა დანაკარგებმა 142,6 მლნ კუბური მეტრი, ანუ 69% შეადგინა, ხოლო 2003 წელს ბუნებრივი გაზის დანაკარგებმა შეადგინა 202,5 მლნ. მზ, რაც მთლიან მიღებულ გაზთან შეადგენს 69,91%-ს. მათ შორის 38,2 მლნ. მზ არის ნორმატიული დანაკარგი.

2003 წლის ეკონომიკური მონაცემებით ბუნებრივი გაზის მოწოდების ნაწილში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 9367,7 ათ.ლარს. დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 11310,1 ათ.ლარს, ხოლო სს “თბილგამის” წილი დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 1942,4 ათ.ლარს. საწარმო-სამეურნეო ხარჯებმა შეადგინა 5558,0 ათ.ლარი, ბუნებრივი გაზის რეალიზაციიდან საფინანსო შედეგმა ეკონომიკური მაჩვენებლებით შეადგინა 40218,3 ათ.ლარის ბარალი.

2003 წლის ბოლოს სს “თბილგამში” მუშაკთა რიცხოვნობა შეადგენს 1558 კაცს, ხელფასის ფონდია 2532,6 ათ.ლარი, საშუალო ხელფასი 1 მუშაკზე თვეში შეადგენს 138 ლარს.

სს “თბილგამს” 2003 წლის 9 თვის განმავლობაში მიღებული აქვს ქ.თბილისის მერიის დახმარებით და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 32,7 მლნ ლარი, ხოლო მე-4 კვარტალში მმართველ კომპანიას ბიუჯეტიდან არანაირი დაფინანსება არ მიუღია.

მიუხედავად ამისა, მე-4 კვარტალში მომწოდებელთან გადახდილია ბუნებრივი გაზის საფასური 2100,0 ათ.ლარის ოდენობით, აგრეთვე საკუთარი სახსრებით ყოველთვიურად მიმდინარეობს ხელფასების გაცემა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი საწარმო-სამეურნეო ხარჯების უზრუნველყოფა.

მომხმარებლებიდან ამოღებული მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასური შედგავთიან კაგეგორიაზე რეალიზებული გაზის ღირებულებასთან ერთად შეადგენს 20620,6 ათ.ლარს, რაც ამოსაღები თანხის 30,4 პროცენტია. სამრეწველო საწარმოებიდან და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომხმარებლებიდან ამოღებულია 4251,4 ათ.ლარი, მოსახლეობიდან ამოღებულია 16369,2 ათ.ლარი, მაშინ როდესაც 2001 და 2002 წლებში

მოხმარებული გაზის საფასური ამოღებული იქნა შესაბამისად 12391,4 ათ.ლარი და 16722,9 ათ.ლარი (დანართი #9).

## 6. ტარიფების დადგენა და რეგულირება

2003 წლის განმავლობაში სემეკის საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას კვლავ სატარიფო სისტემის შემდგომი მოწესრიგება, რეგულირებას დაქვემდებარებულ სფეროში ეკონომიკური ანალიზისა და ფინანსური მონიტორინგის სრულყოფის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების დამუშავება და შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება წარმოადგენდა. ელექტროენერგეტიკული და

ბუნებრივი გაზის სექტორებში ტარიფების დადგენისა და რეგულირების სამუშაოები ხორციელდებოდა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 42-ე და 43-ე მუხლების „ელექტროენერჯის ტარიფების მეთოდოლოგიის, დადგენის წესებისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 1998 წლის 1 ივლისის №3 დადგენილების და „ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესისა და მეთოდოლოგიის შესახებ“ სემეკის 1999 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილების, ასევე სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

## 6.1. ელექტროენერჯია

2003 წელს ელექტროენერგეტიკულ სექტორში მოქმედი საბითუმო და საცალო ტარიფების ცვლილება ორჯერ განხორციელდა. ორივე შემთხვევაში იგი, გარკვეულწილად, დაკავშირებული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნების შესრულება – დაბალანსებასთან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2002 წლის 30 დეკემბრის №1/3/136 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად და სოციალურად გაუმართლებლად იქნა ცნობილი „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2002 წლის 15 ოქტომბრის №12 დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა მოსახლეობისათვის ელექტროენერჯის შესასყიდ ტარიფებს და ეთხოვა სემეკს 2003 წლის 1 მარტამდე მოსახლეობისთვის დაედგინა ელექტროენერჯის ახალი შესასყიდი ტარიფები. რამდენადაც სემეკის 2002 წლის 15 ოქტომბრის №12 დადგენილება ეფუძნებოდა ლიცენზიატთა მიერ წარმოდგენილ ეკონომიკურად დასაბუთებულ გაანგარიშებებს, კომისიამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფის ერთადერთ სამართლიან გადაწყვეტილებად მიიჩნია ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატებისთვის შეემცირებინა კუთვნილი ტარიფები საშუალოდ 10%-ით, რაც აისახა „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 11 თებერვლის №1 დადგენილებაში.

აღნიშნულ დადგენილებაში ჩამოყალიბებული ძირითადი მიმართულებების შემდგომი დახვეწის, სექტორის ლიცენზიატთა და მომხმარებელთა ინტერესების უკეთ დაბალანსების მიზნით, კომისიამ მუშაობა გააგრძელა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად. გაიმართა რიგი შეხვედრები და კონსულტაციები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლობის მონაწილეობით. გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 10 ივლისის №844 განკარგულება „საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სემეკმა 2003 წლის 15 აგვისტოს „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ მიიღო №14 დადგენილება, რომლითაც ელექტროენერჯის ტარიფები შესაბამისობაში მოვიდა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ძირითად მოთხოვნებთან. ამასთან, მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნისა და ელექტროენერჯის რაციონალურად გამოყენების

ხელშეწყობის მიზნით, პირველად ფასწარმოქმნის პრაქტიკაში ქვეყანაში შემოღებულ იქნა საფეხურებრივი ტარიფები:

1. ქ. თბილისის მოსახლეობისათვის 220-380 კვ ძაბვაზე, ელექტროენერჯის მოხმარების რაოდენობის მიხედვით, ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფები (დღგ-ის გარეშე):

№	ელექტროენერჯის მოხმარების მოცულობა, კილოვატსაათი თვეში (30 კალენდარული დღე)	თეთრი/კვტსთ
1	2	3
1	100-ის ჩათვლით	10.15
2	101-დან 200-ის ჩათვლით	11.45
3	201-დან 400-ის ჩათვლით	12.75
4	401-დან ზევით	14.05

2. საქართველოს რეგიონებში (სს „ეი-ი-ეს თელასის“ აბონენტების გარდა) 220-380 კვ ძაბვაზე, ელექტროენერჯის მოხმარების რაოდენობის მიხედვით, ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფები (დღგ-ის გარეშე):

№	ელექტროენერჯის მოხმარების მოცულობა, კილოვატსაათი თვეში (30 კალენდარული დღე)	თეთრი/კვტსთ
1	2	3
1	75-ის ჩათვლით	6.75
2	76-დან 150-ის ჩათვლით	7.083
3	151-დან ზევით	7.50

მოცემული ტარიფები, ელექტროენერჯის მოხმარების საფეხურების მიხედვით, განისაზღვრა გამჭოლად. კერძოდ, მოხმარების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მოხმარების დაბალი საფეხურებისათვის დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით და ყველა ზედა საფეხურზე ტარიფის შეფარდებითი ზრდით.

საფეხურებრივი ტარიფების სისტემის სიახლემ და მისი დანერგვის ვადების შეზღუდულობამ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატებს გარკვეული სირთულეები შეუქმნა. მათმა უმეტესობამ ვერ მოასწრო სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება, თავისდროულად ვერ გადაწყდა რიგი ტექნიკური ხასიათის, მათ შორის აღრიცხვის მოწესრიგების (კომპიუტერიზაციის) საკითხები,

აბონენტებზე მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხვის პროცედურები და სხვ. ყოველივე აღნიშნულს დროში დაემთხვა „თელასის“ აქციათა მეპატრონის შეცვლა, რამაც აღნიშნულ სიახლეს დამატებითი პრობლემები შეუქმნა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე და სს „ეი-ი-ეს თელასის“, სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიასა“ და სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციის“ განაცხადების საფუძველზე (03. 09. 2003 წ. №1-04/377, 24. 11. 2003 წ. №1-04/189, 25. 11. 2003 წ. და 11. 11. 2003 წ. №202/03), სემეკმა საფეხურებრივი ტარიფების სისტემის შემოღება ორჯერ გადაავადა, რაც აისახა „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 15 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების სახით, ჯერ სემეკის 2003 წლის 30 სექტემბრის №19, ხოლო შემდგომ 2003 წლის 12 დეკემბრის №27 დადგენილებებში. გამანაწილებელი ენერჯოკომპანიების მომხმარებლებს საფეხურებრივი ტარიფის მოქმედება გადაუვადდათ 2004 წლის 1 მაისამდე. მსხვილ გამანაწილებელ კომპანიებს შორის საფეხურებრივი ტარიფების სისტემაზე გადასასვლელად მხოლოდ აჭარის ენერჯოკომპანია აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული.

„ახმეტის რაიონში მდინარე სამყურისწყალზე ხაღორის 24 მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 6 დეკემბრის №1460 განკარგულების, ჩინეთ – საქართველოს ერთობლივი საწარმოს შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაციასა“ და საქართველოს მთავრობას შორის 2000 წლის მარტის თვეში გაფორმებული საიმპლემენტაციო ხელშეკრულებისა და ამავე კორპორაციის მიერ საქართველოს ელექტროენერჯეტიკის საბითუმო ბაზართან 2000 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, 2000 წელს დაიწყო და 2003 წლის დეკემბერში დასრულდა აღნიშნული ელექტროსადგურის პირველი რიგის მშენებლობა. ამდენად, დღის წესრიგში დადგა ელექტროენერჯის ტარიფის განსაზღვრის საკითხი, რომელზეც ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს 2003 წლის ნოემბრიდან. ბუნებრივია, ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე დაიხარჯა სოლიდური თანხები, რომელიც კრედიტის სახით აღებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიჩუანის სახელმწიფო ელექტროენერჯეტიკული კომპანიისაგან. შედეგად, ცხადია, ტარიფი ყალიბდება საკმაოდ მაღალ დონეზე და ჩინური მხარე მოითხოვს მის დამტკიცებას. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება სათანადო აუდიტორული დასკვნების მიღებისა და განხილვების პროცედურების გავლის შემდეგ.

საანგარიშო წელს მუშაობა გრძელდებოდა ელექტროენერჯის ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიის შემდგომი სრულყოფის მიმართულებითაც, რომელიც ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყო. ამ პროცესში ჩართული იყო ქვეყნის პრაქტიკულად ყველა სამინისტრო და უწყება, ქართველი და უცხოელი სპეციალისტები და ექსპერტები. კომისიის ბრძანებით შექმნილი სარედაქციო კომისიის მიერ მომზადებული მეთოდოლოგიის ახალი რადაქცია დაეგზავნა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს. მათგან მიღებულ იქნა სათანადო შენიშვნები და წინადადებები, რომელთა საფუძველზე ამჟამად მიმდინარეობს მეთოდოლოგიის

საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბება და იგი უახლოეს პერიოდში საჯარო მსჯელობის საგანი გახდება.

ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიის სრულყოფის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა სექტორის ლიცენზიატთა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესების სამუშაოები.

## 6.2. ბუნებრივი გაზი

ბუნებრივი გაზის სექტორში მიღებული სატარიფო დადგენილებები და გადაწყვეტილებები უმთავრესად დაკავშირებული იყო მიწოდების ტარიფების ცვლილებასთან და სტრუქტურულ-ორგანიზაციულ გარდაქმნებთან, ასევე ბაზარზე ახალი ლიცენზიატების შემოსვლასთან.

სემეკის მიერ 2003 წლის 9 ივნისს მიღებული №8 დადგენილებით ბუნებრივი გაზის საბითუმო მიწოდებაზე დამტკიცდა შემდეგი ტარიფები (დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე):

ლარი/1000 მ<sup>3</sup>

ა. სააქციო საზოგადოება „საქგაზი“ (თბოელექტროსადგურების გარდა)	158,33
ბ. შპს “გაზის ტრანსპორტირების კომპანია	147,83
გ. სს “თბილგაზი” (თბილთეცის გარდა)	147,83

აღნიშნული დადგენილებით ტარიფები მცირე ზომით, მაგრამ მაინც გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით:

2002 წლის დეკემბრიდან, სს „თბილგაზი“, რომელმაც ბუნებრივი გაზის მიღებაზე (იმპორტზე) პირდაპირი ხელშეკრულება გააფორმა კომპანია „იტერასთან“, აღარ წარმოადგენდა სს „საქგაზის“ მომხმარებელს. აქედან გამომდინარე, სს „საქგაზს“ მნიშვნელოვნად (55%-ით) შეუმცირდა 2003 წლისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების საპროგნოზო მოცულობა. აღნიშნულის საფუძველზე, სს „საქგაზმა“ (24.12.2002წ.№1041, 17.02.2003წ.№149 და 19.02.2003წ.№171 წერილები) სემეკში წარმოადგინა განაცხადი ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის გაზრდის თაობაზე.

სს „საქგაზის“ წარმოდგენილი განაცხადით ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის (ტრანსპორტირების გარეშე) საპროექტო სიდიდე განსაზღვრული იყო 201,9 ლარი/1000 კუბ.მეტრისათვის დღგ-ის ჩათვლით, ანუ 18,9 ლარით (10,33%-ით) გაზრდა, რასაც ასაბუთებდა, როგორც გაზის სარეალიზაციო მოცულობის შემცირებით, რაც იწვევს ერთეულზე (1000 მ<sup>3</sup>-ზე) მუდმივი ხარჯების გაზრდას, ასევე აშშ დოლართან ლარის კურსის ცვლილებით.

აღსანიშნავია, რომ სემეკის 2002 წლის 5 ივლისის №9 დადგენილებით სს „საქგაზისათვის“ დამტკიცებულ ტარიფში ლარის კურსი აშშ დოლართან გათვალისწინებულ იქნა “საქართველოს 2002წლის სახელმწიფო ბიუჯეტის



შესახებ” კანონში დადგენილი საშუალო კურსი – 2,15 რომელმაც, ფაქტობრივად, შეადგინა 2,197. „საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” კანონის თანახმად, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 2,25, რასაც სს „საქგაზი” ითვალისწინებდა წარმოდგენილი ტარიფის პროექტის გაანგარიშებაში.

სემეკმა, დაეყრდნო რა როგორც აღნიშნულ კანონს, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას (20.01.2003წ. №14/03 წერილი) 2003 წლისათვის აშშ დოლართან ლარის კურსის საპროგნოზო მაჩვენებლის შესახებ (2,2–2,25), აღნიშნული დადგენილების პროექტით წარმოდგენილ სს „საქგაზის” ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფში ლარის კურსი გაითვალისწინა 2,225. ამასთან, სემეკის მიერ კორექტირებულ ზოგიერთი დანახარჯი შემცირების მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვნად იქნა შემცირდა „საქგაზის” კაპიტალზე ამონაგების აბსოლუტური სიდიდე, რის შედეგადაც, მათ მიერ წარმოდგენილი პროექტით ტარიფის ზრდა 18,9 ლარიდან დაყვანილ იქნა 7,0 ლარამდე (3,82%-ით) ყოველი 1000 კუბ მეტრისთვის და მისი საპროექტო სიდიდე განისაზღვრა 158,33 ლარი/1000მ<sup>3</sup> დღგ-ის გარეშე (190,0 ლარი დღგ-ის ჩათვლით).

აღნიშნული ტარიფი, თბოელექტროსადგურების გარდა, დადგინდა დანარჩენ მომხმარებლებისათვის. ამ ეტაპზე სს „საქგაზს” თბოელექტროსადგურებისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე ტარიფი არ დაუდგინდა, რადგან ასეთ მიწოდებაზე მას შესაბამისი ხელშეკრულება არ გააჩნდა.

ასევე, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისათვის”, მათი განაცხადის საფუძველზე, ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი გაიზარდა 2,4 ლარი/1000მ<sup>3</sup>-ზე და დღგ-ის გარეშე შეადგინა 147,83 ლარი/1000მ<sup>3</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სს „თბილგაზმა” ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე პირდაპირი ხელშეკრულება გააფორმა კომპანია „იტერასთან”, აქედან გამომდინარე, სს „თბილგაზს” ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი განესაზღვრა 147,83 ლარი/1000მ<sup>3</sup> დღგ-ის გარეშე (დღგ-ის ჩათვლით 177,4 ლარი). მართალია, სს „თბილგაზის” საცალო მოხმარების ტარიფის სტრუქტურაში გაზის მიწოდების ტარიფი შემცირდა, მაგრამ სემეკმა გაითვალისწინა რა სს „თბილგაზის” მძიმე ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობა, გაზსადენების რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, მისთვის გაზის განაწილების ხარჯები და, შესაბამისად, ტარიფი გაზარდა მიწოდების ტარიფის შემცირების პროპორციულად და განისაზღვრა 63,34 ლარი/1000მ<sup>3</sup> დღგ-ის გარეშე (დღგ-ის ჩათვლით 76,0 ლარი), ხოლო საცალო მოხმარების ტარიფი შენარჩუნდა მოქმედის დონეზე – 22,5 თეთრი/მ<sup>3</sup> დღგ-ის გარეშე (დღგ-ის ჩათვლით 27,0 თეთრი). ამასთან, აღნიშნული ტარიფები არ გავრცელდა „თბილთეცზე”, რადგან იგი არ ფუნქციონირებს და არც სს „თბილგაზის” განაცხადი ითვალისწინებდა მისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდებას და განაწილებას.

ტარიფები ავტომატურად გასამართი შეკუმშული გაზის საცალო მიწოდებაზე და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებაზე არ შეცვლილა. ასევე, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების მიერ, დადგენილი წესით, სატარიფო განაცხადების წარმოდგენამდე, საცალო მოხმარების ტარიფები უცვლელი დარჩა. ამასთან,

მიწოდების ტარიფების ზრდის შესაბამისად, შემცირდა გაზის გამანაწილებელი ლიცენზიატებისათვის („თბილგაზის“ გარდა) განაწილების ტარიფები.

სემეკის 2003 წლის 25 ივლისის №32/1 გადაწყვეტილებით, სს “იტერა-საქართველოზე” გაიცა ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზია და, შესაბამისად, განესაზღვრა ტარიფი. ამასთან, სს “საქგაზის” წერილობითი განაცხადის თანახმად, 2003 წლის 1 სექტემბრიდან იგი წყვეტდა ბუნებრივი გაზის მიწოდებას. ფაქტობრივად, სს “საქგაზს” ჩაენაცვლა სს “იტერა-საქართველო”. ასევე სს “აზოტისათვის”, რომელიც ბუნებრივი გაზის შესყიდვას აწარმოებს კომპანია “იტერადან”, განისაზღვრა ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი. ბუნებრივი გაზის მიწოდების სფეროში ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, სემეკის მიერ მიღებულ იქნა “ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ” 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილება, რომლის თანახმად დამტკიცდა ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფები, დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე:

	ლარი/1000 მ <sup>3</sup>
ა. სს “იტერა-საქართველო”	152,5
	(თბოელექტროსადგურების გარდა)
ბ. შპს “გაზის ტრანსპორტირების კომპანია	147,83
გ. სს “თბილგაზის” (თბილთეცის გარდა)	147,83
დ. სს “აზოტი”	137,83

აღნიშნული დადგენილებით უცვლელი დარჩა ავტომანქანების გასამართი შეკუმშული გაზის საცალო მიწოდებისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფები. ასევე კვლავ უცვლელია გაზის გამანაწილებელი ლიცენზიატებისათვის დამტკიცებული ბუნებრივი გაზის საცალო მოხმარების ტარიფები. ამასთან, იმ განაწილების ლიცენზიატებს, რომლებიც ბუნებრივ გაზს სს “საქგაზის” ნაცვლად მიიღებდნენ სს “იტერა-საქართველოდან”, რომლისთვისაც გაზის მიწოდების ტარიფი სს “საქგაზის” ტარიფთან შედარებით განისაზღვრა 5,83 ლარით ნაკლები 1000 კუბ. მეტრისათვის, მიწოდების ტარიფის შემცირების პროპორციულად გაეზარდათ (აღდგენილ იქნა) გაზის განაწილების ტარიფები. აქედან გამომდინარე, სემეკმა დღის წესრიგიდან მოხსნა იმ გაზგამანაწილებელ ლიცენზიატთა განაცხადების განხილვა, რომლებიც სემეკის 2003 წლის 9 ივნისის №8 დადგენილებით სს “საქგაზისათვის” ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით, ითხოვდნენ მოხმარების ტარიფების შესაბამისად გაზრდას.

სემეკის 2003 წლის 13 ოქტომბრის №22 დადგენილებით, “ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ” სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილებაში შეტანილ იქნა დამატებები. კერძოდ, დაემატა ახალი ლიცენზიატები, რომლებსაც დაუმტკიცდათ შესაბამისი ტარიფები: ავტოგასამართ სადგურს შპს “სუპერგაზი-იტალიას” საცალო მიწოდებაზე – 33,34 თეთრი/მ<sup>3</sup>, მოხმარების ტარიფები გაზგამანაწილებელ საწარმოებს შპს “ორუჯევი და ჯანმრთელობა” – 25,0 თეთრი,

შპს “ქობულეთიგაზი” – 26,67 თეთრი და სს “საჩხერეგაზი” – 25,0 თეთრი თითოეული კუბ. მეტრისათვის.

სემეკის 2003 წლის 8 დეკემბრის №26 დადგენილებით, “ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ” სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილებაში შეტანილ იქნა დამატება, რომლის თანახმად გაზის გამანაწილებელ ლიცენზიატს შპს “ნინიკას” (ყვარელის რაიონი) დაუმტკიცდა ბუნებრივი გაზის მოხმარების ტარიფი – 27,5 თეთრი/მ<sup>3</sup>.

“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიატთა განაცხადების საფუძველზე, 2003 წელს მიღებულ იქნა ინდივიდუალური გადაწყვეტილებები ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის თაობაზე. კერძოდ, სემეკის 2003 წლის 22 ოქტომბრის №41/2 გადაწყვეტილებით, სს “გურჯაანგაზს” დაუმტკიცდა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფები (დღგ-ის გარეშე) სამრეწველო საწარმოებისათვის: სს “კახალკოს” და შპს “მარგეს”, რომლებიც გაზს იღებენ საშუალო წნევის ცალკე განშტოების გაზსადენით – 12,5 ლარი/1000მ<sup>3</sup>, ხოლო შპს “აისი”, ინდ. მეწარმე “აბელი მაგრაქველიძე”, რომლებიც გაზს იღებენ საშუალო წნევის საერთო გაზსადენით – 25,0 ლარი/1000მ<sup>3</sup>. ამასთან, გაუქმდა სემეკის 2000 წლის 16 მაისის №30 და 2000 წლის 17 ნოემბრის №70 გადაწყვეტილებები, რომლებითაც რეგულირდებოდა სს “გურჯაანგაზსა” და აღნიშნულ საწარმოებს შორის ურთიერთობები.

სემეკის 2003 წლის 22 ოქტომბრის №41/3 გადაწყვეტილებით, სს “რუსთავეგაზს” დაუდგინდა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი სამრეწველო საწარმოსათვის შპს “ფოლადი-2001” – 10,0 ლარი/1000მ<sup>3</sup> დღგ-ის გარეშე.

სემეკის 2003 წლის 22 ოქტომბრის №41/4 გადაწყვეტილებით, შპს “ეი-ი-ეს მტკვარს”, რომელიც ბუნებრივი გაზის იმპორტს (შესყიდვას) ახორციელებს შპს “გაზექსპორტიდან”, დაუდგინდა ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი 143,25 ლარი/1000მ<sup>3</sup> დღგ-ის გარეშე.

სემეკის 2003 წლის 19 ნოემბრის №44/3 გადაწყვეტილებით, სს “გორიგაზს” დაუმტკიცდა სამრეწველო საწარმო სს “გორკონისათვის” ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი – 29,5 ლარი/1000მ<sup>3</sup> დღგ-ის გარეშე. ამასთან, გაუქმდა სემეკის 2001 წლის 26 ოქტომბრის №98 გადაწყვეტილება, რომლითაც რეგულირდებოდა ურთიერთობა აღნიშნულ საწარმოებს შორის.

### 6.3. ტარიფების დადგენისათვის საჭირო ინფორმაციის სრულყოფა

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე და ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატთა საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ეკონომიკური ანალიზისა და ფასწარმოქმნის დეპარტამენტის მიერ

მომზადდა სემეკის ლიცენზიატთა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა, დამატებითი ანგარიშებისა და ქვეანგარიშების გათვალისწინებით; აგრეთვე, ყოველწლიური საფინანსო ანგარიშგების წარმოდგენის ფორმები და სქემები, რომლებიც მოწონებულ იქნა სემეკის 2003 წლის 1 ოქტომბრის №39/2 გადაწყვეტილებით. ლიცენზიატებთან ამ საკითხებზე მუშაობის პროცესში მიმდინარეობდა შესაბამისი მასალების გასწორება და რედაქტირება ბასს-ის მოთხოვნების საფუძველზე. ასევე საჭირო გახდა არსებულ ანგარიშთა გეგმაში ზოგიერთი ბუღალტრული ანგარიშის (ქვეანგარიშის) და განაყოფის დამატება, საფინანსო-ეკონომიკური ანგარიშების ფორმის სტრუქტურის შეცვლა-სრულყოფა, ზემოაღნიშნულიდან და ლიცენზირებული საქმიანობის სპეციფიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამასთან, საკითხების მნიშვნელობიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ამ დოკუმენტების საბოლოო სახით ჩამოყალიბება დასრულდა წლის ბოლოს. ამავე პერიოდში მომზადდა რამდენიმე ლიცენზიატის საცდელი საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშებები.

სისტემატურად იმართებოდა დეტალური კონსულტაციები და სემინარები წარმოდგენილი ფორმების დახვეწისა და აპრობაციის მიზნით. საანგარიშო წლის ნოემბრის თვეში წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკს საფუძველზე, ელექტროენერგეტიკის სექტორის ლიცენზიატების საფინანსო, ეკონომიკური და საბუღალტრო სამსახურების ხელმძღვანელებთან თითოეული ლიცენზირებული საქმიანობისათვის ცალ-ცალკე გაიმართა სამუშაო შეხვედრები. აღნიშნული კონსულტაციებისა და შეხვედრების შედეგად, თითქმის მთლიანად იქნა შეჯერებული წამოჭრილი საკითხები. ამასთან, მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ ლიცენზიატების უმრავლესობას არ გააჩნია ადეკვატური სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც, შესაბამისად, აისახება ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე.

ლიცენზიატებს სათანადო ფორმით განემარტათ, რომ ნებისმიერ საწარმოს, მათ შორის სემეკის ლიცენზიატების სააღრიცხვო პოლიტიკის მიღების ძირითადი მიზანი და მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ყველა კატეგორიის ინფორმაციის მომხმარებელს, მათ შორის სემეკს, როგორც მარეგულირებელ ორგანოს, საწარმოს ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობაზე, საწარმოს საქმიანობის შედეგებზე სრული და საიმედო ინფორმაცია მიაწოდოს, შეფასებისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაიწყო მუშაობა ლიცენზიატთა სტანდარტიზებული (სარეკომენდაციო) სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისათვის, თითოეული ლიცენზირებული საქმიანობისათვის ცალ-ცალკე.

ისიც გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევებში ლიცენზიატების ფინანსური ანგარიშგების გარე (დამოუკიდებელი) აუდიტორული შემოწმებები არ ტარდება ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე და აუდიტორული დასკვნები გაიცემა ფორმალურად, სამეურნეო სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების სრულმასშტაბიანი შესწავლა-ანალიზის გარეშე.

სემეკის 2003 წლის 1 ოქტომბრის №39/2 გადაწყვეტილების სრულად უზრუნველყოფის მიზნით, ლიცენზიატების მიერ მარეგულირებელ კომისიაში წარმოსადგენი სატარიფო განაცხადების საბაზისო მაჩვენებლების ბასს-ის საფუძველზე მოსამზადებლად, ფინანსური ინფორმაციის საიმედოობის დონის

ასამაღლებლად, ეკონომიკურად გამართლებული ტარიფების დასადგენად, მათი ფუნქციონირების რეალური მონიტორინგის, ანალიზისა და შეფასებისათვის, ასევე სემეკის 2003 წლის 1 ოქტომბრის №39/1 გადაწყვეტილების რეალური ხორცშესხმის მიზნით, მომზადდა სპეციალური მოთხოვნები და რეკომენდაციები სემეკის ლიცენზიატების ფინანსური ანგარიშგებისა და თანდართული ფორმებითა და სქემებით მოთხოვნილი ინფორმაციის დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმებისათვის.

აუდიტური ფორმების შესარჩევი ტენდერის შედეგების გამოცხადების შემდეგ, აღნიშნული მოთხოვნები და რეკომენდაციები დაეგზავნათ ლიცენზიატებს.

ლიცენზიატების აღრიცხვა-ანგარიშგების გაუმჯობესების კუთხით, სემეკის მიერ 2003 წელს გატარებულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს ბოლო წლებში საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში და მთლიანად ქვეყნის საკანონმდებლო და სააღრიცხვო ბაზაში მომხდარი არსებითი ცვლილებების ადეკვატური ასახვა ელექტროენერგეტიკის ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიასა და პრაქტიკაში, ტარიფების გამოყენების საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შეფასების საქმეში, რამაც საბოლოო ანგარიშით უნდა უზრუნველყოს სატარიფო განაცხადების საიმედოობის დონის ამაღლება, ეკონომიკურად გამართლებული ტარიფების დადგენა, მათი ფუნქციონირების რეალური მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება.

ტარიფების მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის სრულყოფის, ლიცენზიატების ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგისა და საანალიზო სამუშაოების გაძლიერების ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს ბუნებრივი გაზის სექტორში. ყოველივე ეს შეესაბამება სემეკის 2003 წლის 24 სექტემბრის №18 დადგენილების მოთხოვნებს, რომლის ძალითაც სემეკის აპარატის ფასწარმოქმნის დეპარტამენტის ეკონომიკური ანალიზისა და ფასწარმოქმნის დეპარტამენტი ეწოდა. 2003 წლის მეოთხე კვარტალში, შიდა განხილვების მიზნით, მომზადდა რამდენიმე ანალიზური და საინფორმაციო მასალა ფასების გამოყენების, ვალების, რეფორმებისა და სხვა ეკონომიკური შინაარსის საკითხებზე.

## 7. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა

### 7.1. საქმიანობა 2003 წლის 1 ოქტომბრამდე

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში 2001 წლის 1 ივნისიდან ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომლის შექმნის ინიციატივა თავად სემეკს ეკუთვნოდა. მისი შექმნის იდეა მნიშვნელოვნად სცდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციებს და გაცილებით გლობალურ მასშტაბებს იღებდა, რაც გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ჩართვასაც მოითხოვდა. სემეკმა არაერთი კონსულტაცია გაიარა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პარლამენტის გარკვეულ წრეებთან, ასევე თავის პარტნიორ, აშშ-ის მიჩიგანის შტატის მარეგულირებელ კომისიასთან და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფართო საზოგადოებასთან კავშირის დასამყარებლად და მომხმარებელთა უფლებების ეფექტურად დასაცავად საჭირო იყო შესაბამისი დეპარტამენტის ჩამოყალიბება, რადგან ენერგეტიკის რეგულირება მოქალაქეთა უფლებების დაცვასთანაც არის დაკავშირებული.

განვლილ პერიოდში სემეკს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აქვს მიღებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროშიც, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვისაც უნდა იყოს ცნობილი; სწორედ მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის მეშვეობით სემეკის ყველა ქმედება – გადაწყვეტილების თუ დადგენილების მიღება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა.

დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა მოსახლეობის ინტერესების გამომხატველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან („საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოება“, „თავისუფლების ინსტიტუტი“, „ვაკის გონივრული განვითარება“, საზოგადოება „ბეგთარი“, „სოციალურად დაზარალებულ მოქალაქეთა კავშირი“,

„თბილისისა და დაბა წყნეთის სამოქალაქო მრჩეველთა კომისია“, „საზოგადოება ვარკეთილი“, „დიდი დილომის საზოგადოებრივი საბჭო“, „საზოგადოება დიდი დილომი“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის კავშირი“ და სხვა.), თბილისის საკრებულოსთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ და ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის სამსახურებთან, რომელთა წარმომადგენლები, აუცილებლობის შემთხვევაში, ესწრებოდნენ როგორც დეპარტამენტის „ღია კარის დღეებს“, ასევე, სემეკის სხდომებს.

საზოგადოებასთან კავშირს დეპარტამენტი მასმედიასთან ურთიერთობითაც ამყარებდა. დეპარტამენტის ყოველი საჯარო განხილვა და სემეკის ის სხდომები, რომლებიც ფართო საზოგადოების ინტერესის საგანს წარმოადგენდა, პრესითა და ტელევიზიით შუქდებოდა. ასევე, დეპარტამენტი ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას აწვდიდა ჟურნალისტებს.

თავიდანვე მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის მიზნები და მოვალეობები ასე ჩამოყალიბდა:

– საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების ცნობიერების გაზრდისა და გაღრმავების ხელშეწყობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა სხვადასხვა საგანმანათლებლო საშუალებით;

– მომხმარებლის (მოსახლეობა და ორგანიზაციები) უფლებათა დაცვა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ კომპანიებსა და მომხმარებელს შორის სადავო საკითხის წარმოშობის შემთხვევაში. ყოველი ასეთი კონკრეტული თუ განზოგადებული შემთხვევის განხილვა, შესწავლა და კანონის შესაბამისად, კონსტრუქციულად გადაწყვეტა;

– კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტების, აგრეთვე, კომისიის სხდომების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობის მიღება;

– კომისიაში შემოსული იმ სადავო საკითხების განხილვაში მონაწილეობა, რომელიც მომხმარებელსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის წარმოიშობა. ამის თაობაზე წინადადებების მომზადება და კომისიისათვის წარდგენა;

– სემეკის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებისას, განსაკუთრებით, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფების ცვლილებისას მომხმარებელთა ინტერესების ლობირება არსებული მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით;

– სათემო და პროფესიულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი, ენერგეტიკისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;

– მომხმარებლისათვის და შესაბამისად, მთელი მოსახლეობისათვის ენერგეტიკის დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და არსებული პრობლემების კონსტრუქციულად გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მიღება;

– საზოგადოებასა და ენერგეტიკის დარგში მოქმედი სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს შორის დიალოგების მოწყობა და პრობლემების კონსტრუქციულად მოგვარებაში წვლილის შეტანა;

– პრესისა და სატელევიზიო გადაცემების ყოველდღიური მიმოხილვა, ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, მათზე რეაგირება; ენერგეტიკაში არსებული პრობლემების, კომისიისა და დეპარტამენტის საქმიანობის გაშუქება პრესაში და ტელევიზიით.

2003 წლის 1 ოქტომბრამდე (სემეკთან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ჩამოყალიბებამდე) აღნიშნული დეპარტამენტის მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა:

**„ცხელი ხაზი“.** ყოველდღიურად, სატელეფონო „ცხელი ხაზის“ (ტელ: 25 29 82) მეშვეობით მრავალ ადამიანს, ძირითადად თბილისის მოსახლეობას, საშუალება ჰქონდა, დაკავშირებოდა დეპარტამენტს და მისგან საკუთარი პრობლემის მოგვარება ან მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვება მოეთხოვა.

დაარსების დღიდან, დეპარტამენტში სატელეფონო „ცხელი ხაზით“ შემოვიდა 8068 განცხადება, აქედან, 2003 წლის 9 თვის მანძილზე – 3568 სატელეფონო განცხადება და ათასობით შეკითხვა.

დეპარტამენტის თანამშრომლები ცდილობდნენ სამართლიანობის ფარგლებში დაეცვათ მომხმარებლის ინტერესები. პრობლემის მოგვარების შემდეგ, პასუხის შეტყობინების მიზნით, დეპარტამენტი თავად უკავშირდებოდა მოქალაქეს. აღსანიშნავია, რომ 2003 წელს „ცხელი ხაზით“ შემოსულ განცხადებებში დასმულ პრობლემათა დიდი ნაწილი (63% – ანუ 2248 განცხადება) მომხმარებელთა სასარგებლოდ გადაწყდა, დანარჩენ განცხადებებში (21% – ანუ 749 განცხადება) დასმულ საკითხებთან დაკავშირებით მომხმარებლებს მიეცათ ახსნა-განმარტებები იმის შესახებ, თუ როგორ იყო შესაძლებელი განცხადებებში დასმული გაუგებრობის თავიდან აცილება და გამანაწილებელი კომპანიების თანამშრომლებთან წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაციების აღმოფხვრა. მხოლოდ მომხმარებლების თანხმობის შემდეგ ხდებოდა ასეთი სადავო საკითხების მოგვარება. არანაკლები სამუშაო ჩატარდა იმ მომხმარებლებთან, რომლებიც სრულებით დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ სიმართლეში, მაგრამ საკითხის შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ მათი ბრალდება გამანაწილებელი კომპანიის მისამართით უსაფუძვლო იყო (16% – ანუ 571 განცხადება).

**მოქალაქეთა მიღება.** ყოველ სამუშაო დღეს, გარდა ხუთშაბათისა, დეპარტამენტში წარმოებდა მოქალაქეთა მიღება. მათ დაუბრკოლებლად შეეძლოთ განცხადება შემოეტანათ ან სიტყვიერად გადაეცათ თავისი სატკივარი დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის. პრობლემის მოგვარება, ხშირ შემთხვევაში, მოქალაქის თანდასწრებით იწყებოდა, ხდებოდა მისი გარკვევა სიტუაციაში, შესაბამისი რჩევების მიცემა. თუ პრობლემა რთულად გადასაჭრელი იყო, დეპარტამენტი მოქალაქის გარეშე განაგრძობდა მის მოგვარებას. სადავო საკითხის გადაჭრის ან კომპრომისის გამონახვის შემთხვევაში, დეპარტამენტი მოქალაქეს დაუყოვნებლივ აცნობებდა პასუხს სიტყვიერად ან მისი სურვილის შემთხვევაში, წერილობით.


დღიდან დაარსებისა, დეპარტამენტში შემოსულია 866 წერილობითი განცხადება, აქედან, 2003 წლის 9 თვის მანძილზე – 256, მათ შორის კოლექტიური განცხადებებიც, ძირითადად, დელაქალაქიდან. დეპარტამენტის



თანამშრომლების მცდელობით, შესაძლებელი გახდა განცხადებებში აღნიშნული სადავო საკითხების დიდი ნაწილის მომხმარებლის სასარგებლოდ გადაწყვეტა (184 განცხადება), ხოლო დანარჩენ განცხადებებში (72 ერთეული) დასმული სადავო საკითხების სრულად მოგვარება.

2003 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით სატელეფონო „ცხელი ხაზითა“ და წერილობით მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტში 3824 განცხადება შემოვიდა.

**2003 წლის იანვრიდან 1 ოქტომბრამდე მომხმარებელთაგან შემდგომ შემოსული განცხადებების ანალიზის სქემატური ვარიანტი**



**სემეკში 2003 წელს მოქალაქეთაგან შემოსული განცხადებების ანალიზი.**

მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა თვლიდა, რომ მათ მიმართ რიცხული ძველი დავალიანებები „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ არასწორად იყო დაანგარიშებული. ასევე, თავიანთ განცხადებებში მოქალაქეები ითხოვდნენ ფიქსირებული წესით

(ოთახების რაოდენობის მიხედვით დარიცხვა) დარიცხული ძველი დავალიანებების ახალ მრიცხველზე დაფიქსირებული საშუალო თვიური ხარჯის მიხედვით გადაანგარიშებას, რადგან მიაჩნდათ, რომ სწორედ ახალი მრიცხველი ასახავდა მათ რეალურ მოხმარებას. მოქალაქეების შემოფოტების მიზეზს ელექტროენერჯის ჯგუფური გამორთვები წარმოადგენდა – ამ ხასიათის განცხადებები, ძირითადად, კოლექტიური იყო. მომხმარებელთა ნაწილი თვლიდა, რომ მათ მიმართ „ეი-ი-ეს თელასის“ ბრალდება ელექტროენერჯის დატაცებისა და მრიცხველების გაყალბების თაობაზე უსაფუძვლო იყო და შანტაჟის ხასიათს ატარებდა. მოქალაქეთა ნაწილი ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების უსამართლოდ შეწყვეტას უჩიოდა.

№	შემოსული განცხადებების თემა	სულ	მათ შორის	
			„ცხელი ხაზი“	წერილობითი
1	2	3	4	5
1	ძველი დავალიანებების არასწორად დაანგარიშება	1546	1461	85
2	მრიცხველის ჩვენების სისწორე	406	383	23
3	უსამართლო გამორთვები (ელექტროენერჯია, ბუნებრივი გაზი)	649	622	27
4	მრიცხველის გაყალბების ბრალდება	331	294	37
5	ჯგუფური გამორთვები	454	435	19
6	ძველი ვალების გადაანგარიშება	182	147	35
7	ელექტროენერჯის დატაცების ბრალდება არალეგალური ხაზებით	126	102	24
8	სხვა	130	124	6
სულ		3824	3568	256

„ღია კარის დღე“. თითქმის ყოველ ხუთშაბათს, მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი ატარებდა „ღია კარის დღეს“, რომელზეც არსებული პრობლემების კონსტრუქციულად მოგვარების მიზნით საზოგადოებისა (არასამთავრობო ორგანიზაციები, მოსახლეობა) და ენერგეტიკის სხვადასხვა დარგისა თუ უწყების წარმომადგენლებს შორის ეწყობოდა დიალოგი. დეპარტამენტს ჰქონდა უფლება, დამოუკიდებლად ჩაეტარებინა განხილვები ან პრესკონფერენციები.

ნებისმიერ საჯარო განხილვაზე დეპარტამენტის ინტერესს მომხმარებელთა უფლებების დაცვის წინა პლანზე წამოწევა წარმოადგენდა. დეპარტამენტის მუშაობის მეთოდოლოგია მდგომარეობდა შემდეგში: შეძლებისდაგვარად, მიეწოდებინა ინფორმაცია ყველასთვის მანამდე, ვიდრე ამას თვითონ მოითხოვდნენ და არ შემოფარგლულიყო მხოლოდ ამა თუ იმ ფაქტზე რეაგირებით.

დღიდან დაარსებისა, მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტმა ჩაატარა 115 „ღია კარის დღე“ და 26 პრესკონფერენცია. კერძოდ, 2003 წლის 9 თვის მანძილზე ჩატარდა 31 „ღია კარის დღე“ და 8 პრესკონფერენცია.

2002 წელი ენერგეტიკისთვის დასრულდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30 დეკემბრის №1/3/136 გადაწყვეტილებით. საკონსტიტუციო სასამართლომ სემეკის 2002 წლის 15 ოქტომბრის №12 და 2001 წლის 31 დეკემბრის №15 დადგენილებები მოსახლეობისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი

ტარიფებისა და ელექტროენერჯის საფასურის ფიქსირებული გადახდის წესის ნაწილში არაკონსტიტუციურად სცნო და სემეკს ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფების შემცირება დაავალა. აღნიშნული გადაწყვეტილება ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერებისთვის მკვეთრი პოპულისტური განცხადებებისა და დამდეგ არჩევნებში მოსახლეობის გულისმოგების მიზნით, მცდარი ინფორმაციის გავრცელების საბაზად იქცა. ასეთ ფონზე ტარიფების უცილობელი შემცირების შესაძლებლობათა ძიების მთელი სიმძიმე მარეგულირებელ კომისიას და შესაბამისად, მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტსაც დააწვა.

ელექტროენერჯის ტარიფის შემცირება, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, 2003 წლის მარტამდე უნდა განხორციელებულიყო. ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სემეკის მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომელმაც ტარიფების შემცირების თაობაზე ოპტიმალური ვარიანტის ძიებისას საკუთარი წინადადებები წარმოადგინა. ამ თემაზე დეპარტამენტმა აქტიური მუშაობა გასწია საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლებთან, გამართა რამდენიმე „ღია კარის დღე“ და პრესკონფერენცია.

2003 წლის 11 თებერვალს შედგა სემეკის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ენერგეტიკული სექტორის ყველა უწყების ხელმძღვანელი პირები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სხდომა მიმდინარეობდა საკმაოდ რთულ ვითარებაში, მძაფრი პოლიტიკური განცხადებებისა და ლეიბორისტული (შრომის) პარტიის აქტივისტთა მიერ მოწყობილი ფართომასშტაბიანი აქციის ფონზე. სემეკმა მიიღო გადაწყვეტილება (სემეკის 2003 წლის 11 თებერვლის №1 დადგენილება) და ტარიფში შემავალი კომპონენტები ადმინისტრაციული წესით შეამცირა. სემეკის ამ გადაწყვეტილებამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც ლიცენზიატებში, ასევე ლეიბორისტებში. ეს უკანასკნელი ტარიფების გაცილებით მნიშვნელოვან შემცირებას მოითხოვდნენ. რაც შეეხება ლიცენზიატებს, მათ უზენაეს სასამართლოში სემეკის წინააღმდეგ, ტარიფში საკუთარი შემცირებული წილის აღდგენის მოთხოვნით, სარჩელი შეიტანეს. სასამართლომ მათი სარჩელი გარკვეული დროის შემდეგ დააკმაყოფილა.

ამ მოვლენების ფონზე სემეკი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა – ერთი მხრივ მას უნდა შეესრულებინა საკონსტიტუციო და, მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებები. ასევე, გასათვალისწინებელი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია ეკონომიკურად დასაბუთებული ტარიფების მოქმედების შესახებ.

სემეკმა ხუთი თვის განმავლობაში კოლოსალური სამუშაო გასწია და წარმოადგინა ელექტროენერჯის დიფერენცირებული, 4-საფეხურიანი ტარიფი ქ. თბილისის, ხოლო 3-საფეხურიანი – რეგიონის მოსახლეობისათვის (სემეკის 2003 წლის 15 აგვისტოს №14 დადგენილება). დადგენილება აკმაყოფილებს როგორც საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებებს, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციას.

დეპარტამენტი უშუალოდ იყო ჩართული დიფერენცირებული ტარიფის შემუშავების პროცესში. მრავალთვიანი მუშაობის შედეგად გაკეთდა ქ. თბილისის

მოსახლეობის ელექტროენერჯის ყოველთვიური მოხმარების ანალიზი, რომელმაც ცხადყო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, დაახლოებით 200 000 აბონენტი (ოჯახი), მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიაც, მოიხმარს 100 კვტ.სთ-მდე ელექტროენერჯიას, რაც დიფერენცირებული ტარიფის პირველ საფეხურს შეესაბამება. ამ საფეხურის ტარიფი მინიმალურია. სემეკის ამ დადგენილებას საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი მიიჩნევდა, რომ დადგენილება ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერესებს და გამართლებული იყო ელექტროენერჯის რაციონალურად მოხმარების მხრივაც. ეს საკითხი დეპარტამენტმა რამდენიმე „ღია კარის დღისა“ და პრესკონფერენციის თემად აქცია.

იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სემეკის 2001 წლის №15 დადგენილება მოსახლეობისათვის ელექტროენერჯის საფასურის ფიქსირებული გადახდის წესის ნაწილში არაკონსტიტუციურად სცნო, 2003 წლის იანვრიდან აიკრძალა მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ფიქსირებული წესით დარიცხვა ქ. თბილისის გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობისათვის. ამ ერთი შეხედვით უწყინარმა გადაწყვეტილებამ „ეი-ი-ეს თელასს“ დაუტოვა უფლება, შეეწყვიტა ელექტროენერჯის მიწოდება ამ კატეგორიის მომხმარებლისთვის, ვინაიდან აღარ არსებობდა მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების მექანიზმი. ამ საჭირობოროტო საკითხის მოსაგვარებლად დეპარტამენტმა, „ეი-ი-ეს თელასის“ შესაბამის სამსახურებთან კონსულტაციების შედეგად, შეიმუშავა თანხის ამოღების მექანიზმი, რომელიც რამდენიმე ვარიანტს მოიცავდა. მექანიზმის ძირითადი პრინციპი იყო, გაუმრიცხველიანებელ მოსახლეობას შესაძლებლობა მისცემოდა გადაეხადა მისთვის მისაღები თანხა „ეი-ი-ეს თელასთან“ შეთანხმებით. ეს მექანიზმი, რომელშიც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ამ კატეგორიის მოსახლეობის უფლებები და ინტერესები, იმუშავებს მათ საბოლოო გამრიცხველიანებამდე. ამ საკითხს მიეძღვნა ორი „ღია კარის დღე“ და პრესკონფერენცია. ჩატარებულ „ღია კარის დღეებსა“ და პრესკონფერენციებს შორის ასევე მნიშვნელოვანი იყო „ეი-ი-ეს თელასის“ და მისი ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის „ელექტროენერჯის მიწოდების, მომსახურებისა და მოხმარების პირობების“ შესრულებასთან, ქ. თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფასთან, ზამთრის სეზონში ელექტროენერჯითა და გაზით დედაქალაქის მომარაგების გარანტიებთან, ელექტროენერჯის ძველი დავალიანებების დაფარვასთან, „ეი-ი-ეს თელასის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრებში დავალიანების ამოღების ერთიანი სისტემის (პროცედურების) დაცვასთან, ქ. თბილისის მიწისძვრით დაზარალებული და გაუმრიცხველიანებელი უბნებისათვის ელექტროენერჯის უწყვეტად მიწოდებასთან, „ეი-ი-ეს თელასსა“ და მომხმარებელს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებებთან, ბუნებრივი გაზის მოხმარებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან, „თბილგაზისათვის“ განაწილების ლიცენზიის გაგრძელებასთან და მოსახლეობისათვის სხვა აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებული მოსმენები და განხილვები.

ღია განხილვები ინდივიდუალურ სადავო საკითხებზე. განსაკუთრებულად რთული სადავო საკითხების გადაჭრის მიზნით, დეპარტამენტი აწყობდა ღია

განხილვებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ორგანიზაციებსა და გამანაწილებელ კომპანიას შორის წარმოქმნილ პრობლემებს. განხილვებში მონაწილეობდნენ როგორც მოდავე მხარეები, ასევე, სემეკის იურიდიული, ელექტროენერგეტიკული, ეკონომიკური თუ ბუნებრივი განის დეპარტამენტები. რამდენიმე ასეთი საკითხი სემეკის სხდომებზეც იქნა განხილული, რაზედაც კომისიამ გადაწყვეტილებები გამოიტანა.

არსებობის მანძილზე დეპარტამენტმა ჩაატარა მომხმარებელსა (მოსახლეობა და ორგანიზაციები) და გამანაწილებელ კომპანიას შორის წარმოქმნილი 169, ხოლო 2003 წლის 1 ოქტომბრამდე – 57 ინდივიდუალური სადავო საკითხის ღია განხილვა, რითაც არსებითად შეუწყო ხელი მათ საბოლოო მოგვარებას.

წინა წლების ანალოგიურად, 2003 წელსაც დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან. დეპარტამენტის ძალისხმევით გადაწყდა არაერთი ურთულესი სადავო საკითხი „ეი-ი-ეს თელასსა“ და ქ. თბილისში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა შორის: 1. დეპარტამენტის თანამშრომელთა უშუალო ძალისხმევით მოგვარდა ელექტროენერჯის მიწოდების პრობლემა იმ ობიექტებში განთავსებულ დევნილთათვის, რომლებიც თვეობით იყვნენ დარჩენილი ელექტროენერჯის გარეშე, შეკეთდა დაზიანებული ელექტროსადენები და მოწესრიგდა აღრიცხვიანობის კვანძები; 2. დეპარტამენტის ჩარევით, „ეი-ი-ეს თელასთან“ და კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა შორის შეთანხმების მიღწევით, მოხდა წარმოქმნილი დავალიანებების შეღავათიანი რესტრუქტურისა და ვალის გასტუმრების გრაფიკის შემუშავება; ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც დევნილებს საკუთარი დავალიანების გარდა ობიექტის ელექტროენერჯის ძველი დავალიანება ერიცხებოდათ, რადგან ობიექტისა და დევნილთა დავალიანებები ერთმანეთისგან არ იყო გამიჯნული. დეპარტამენტის თანამშრომლებმა, „ეი-ი-ეს თელასთან“ ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების შედეგად, მოახდინეს დარიცხული თანხის კალკულაცია და დევნილთა რეალური დავალიანების განსაზღვრა.

**სატელეფონო გამოკითხვა.** 2003 წლის ზაფხულში (მაისი-ივნისი-ივლისი) დეპარტამენტის ინიციატივით ჩატარდა ვრცელი სატელეფონო გამოკითხვა ქ. თბილისის მასშტაბით. გამოკითხვა მიზნად ისახავდა სს „ეი-ი-ეს თელასსა“ და მის მომხმარებელს (მოსახლეობა) შორის არსებული ურთიერთობების შეფასებას. დეპარტამენტმა ამგვარი გამოკითხვის ჩატარება მიზანშეწონილად ჩათვალა „ცხელი ხაზითა“ და წერილობით შემოსულ განცხადებებზე დაყრდნობით, რომელთა ანალიზმა ცხადყო, რომ „ეი-ი-ეს“ კორპორაციის „თელასში“ შემოსვლიდან მეხუთე წელს, გამანაწილებელ კომპანიასა და ქ. თბილისის მოსახლეობას შორის სადავო საკითხებმა არათუ იკლო, არამედ იმატა კიდევ. სატელეფონო გამოკითხვა შეეხო დედაქალაქის ხუთივე რაიონის (გლდანი-ნაძალადევი, დიდუბე-ჩუღურეთი, მთაწმინდა-კრწანისი, ვაკე-საბურთალო, ისან-სამგორი) მოსახლეობას, სულ 2000 აბონენტს (ოჯახს). დეპარტამენტის მიერ სატელეფონო გამოკითხვის ჩატარება მიზნად ისახავდა იმის გამორკვევას, თუ რამდენად შეესაბამებოდა „ეი-ი-ეს თელასის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრების მუშაობა მსოფლიოში მიღებულ საუკეთესო კომუნალური მომსახურების პრაქტიკას.

სემეკის დადგენილებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა. მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი, ისევე როგორც სემეკის სხვა დეპარტამენტები, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სემეკის საქმიანობაში, მისი დადგენილებისა თუ გადაწყვეტილებების შემუშავებაში. დეპარტამენტი საზოგადოების იტერესებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ საკითხს კომისიის წინაშე აყენებდა, რათა ეს უკანასკნელი აუცილებლად ყოფილიყო შემოეტანათ გათვალისწინებული სემეკის მომავალ გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებში.

**ენერგოკომპანიებთან ურთიერთობა.** 2003 წელს დეპარტამენტი აგრძელებდა ურთიერთობას ენერგოკომპანიებთან. თუმცა, შემოსული განცხადებებიდან გამომდინარე, მას ყველაზე ხშირი კონტაქტები „ეი-ი-ეს თელასთან“ ჰქონდა. დეპარტამენტი იტოვებდა უფლებას, მომხმარებლებთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად, დაეგემა შეხვედრები გამანაწილებელი კომპანიების მთავარ მენეჯერებთან. დეპარტამენტის თანამშრომლები „ეი-ი-ეს თელასის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრებსაც რეგულარულად აკითხავდნენ და მომხმარებელთა პრობლემებს ადგილზე აგვარებდნენ.

„ცხელი ხაზითა“ და წერილობით შემოსულ განცხადებებში მომხმარებლები ხშირად აფიქსირებდნენ იმ მოსაზრებას, რომ „ეი-ი-ეს თელასის“ მხრიდან მრიცხველის გაყალბებით ან გვერდის ავლით ელექტროენერგიის მოხმარების ბრალდება უსაფუძვლო იყო და შანტაჟის ხასიათს ატარებდა. სწორედ ასეთი ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები რეგულარულად ესწრებოდნენ აბონენტთა სააღრიცხვო კვანძების შემოწმებებს. შემოწმებებმა ცხადყო, რომ ელექტროენერგიის დატაცების შემთხვევები მასობრივ ხასიათს ატარებდა. მსგავსი ფაქტების მოწესრიგება და აღმოფხვრა უშუალოდ გამანაწილებელი კომპანიის პრეროგატივაა.

ხშირი იყო სადარბაზოებში მრიცხველის კარადების დაზიანების, ხოლო ქუჩებში ბოძებზე განთავსებული მრიცხველებისა და ამომრთველების დატაცების ფაქტები. რიგ შემთხვევებში, „ეი-ი-ეს თელასი“ ზარალის ანაზღაურებას მომხმარებელს აკისრებდა და ელექტროენერგიის მიწოდებას უწყვეტდა, რაც კანონით დაუშვებელია. დეპარტამენტი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, დაუყოვნებლივ ახდენდა რეაგირებას მსგავს განცხადებებზე. ამგვარი კონკრეტული პრობლემები „ღია კარის დღეზე“ არაერთხელ განხილულა და კანონიერების ფარგლებში გადაწყვეტილა.

**USAID-ის „საქართველოს ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამასთან“ თანამშრომლობა.** სემეკის მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი დღიდან შექმნისა თანამშრომლობს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „საქართველოს ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამასთან“. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, 2001-2003 წლებში პროგრამაში ჩართვის მიზნით, დეპარტამენტმა შეადგინა შეჭირვებულ მოქალაქეთა 1500-კაციანი დამატებითი სია (სატელეფონო „ცხელი ხაზიდან“ თუ წერილობით შემოსულ განცხადებებზე დაყრდნობით), რომელიც USAID-ს გადასცა. სიაში შეტანილი უკლებლივ ყველა მოქალაქე „პროგრამის“ წევრია და სარგებლობს USAID-ის მიერ დაწესებული შეღავათებით.

გარდა ამისა, დეპარტამენტმა 2003 წლის გაზაფხულზე შეადგინა უკიდურესად შეჭირვებულ მოქალაქეთა 118-კაციანი სია, რომელიც USAID-ს ერთჯერადი დახმარების გაცემის მიზნით გადასცა. აღნიშნული დახმარებით USAID სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ელექტროენერჯის დავალიანების დაფარვას ითვალისწინებდა.

2003 წლის 1 ოქტომბრიდან მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტმა შეწყვიტა ფუნქციონირება. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები, რომელიც ძალაში შევიდა 2003 წლის 8 აგვისტოდან. ამ კანონით მარეგულირებელ ორგანოსთან, მარეგულირებელი კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად, უნდა ჩამოყალიბებულიყო მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური. 2003 წლის 26 სექტემბერს ღია კონკურსის წესით შეირჩა საზოგადოებრივი დამცველი, რომლის სამსახური მუშაობას 2003 წლის 1 ოქტომბრიდან შეუდგა.

იმდენად, რამდენადაც სემკეში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სპეციალური ერთეულის (დეპარტამენტის) არსებობა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის დაბლირებას წარმოადგენდა, მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

## 7.1. 2003 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შესრულებული სამუშაო

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის დაარსებიდან, 2003 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე სამსახურს დახმარებისათვის განცხადებით მიმართა სამოცამდე მოქალაქემ და ორგანიზაციამ (ამ რაოდენობაში არ იგულისხმებიან ის მოქალაქეები, რომლებიც არა მათი უფლებების დარღვევის, არამედ „დახმარებისა და შეღავათების“ საკითხებზე მიმართავდნენ. სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, დახმარებების გაცემის რესურსი და ბერკეტები სამსახურს არ გააჩნია და იგი მხოლოდ მათი ინფორმირებით შემოიფარგლებოდა). განცხადებათა ნაწილი იყო წერილობითი სახის, ნაწილი – ზეპირი, იყო კოლექტიური წერილებიც. მომხმარებელთა საჩივრები სხვადასხვა საკითხს ეხებოდა. აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით, „თელასში“ არსებულ საპრეტენზიო სამსახურთან თითქმის ყოველდღიური მუშაობა მიმდინარეობდა. დაყენებულ საკითხთა დაახლოებით ნახევარი გადაიჭრა, ნაწილი კი გადაუჭრელი დარჩა. ხშირად პრეტენზია საფუძველსმოკლებული იყო, იყო შემთხვევები, როდესაც საკითხის გადაჭრა სერიოზულ ხარჯებთან და დროსთან იყო დაკავშირებული (გამრიცხველიანება, აბონირება). ყველაზე მეტ წარმატებას სამსახურმა ისეთი პრეტენზიების მოგვარებაში მიაღწია, როგორიცაა: დავალიანების გამო გათიშული დენის ჩართვა და ამ ვალების მაქსიმალურად შეღავათიანად რესტრუქტურირება, ოთახების მიხედვით ღარიცხული თანხების მრიცხველის ჩვენების მიხედვით

გადაანგარიშება, აქტების შედგენის საკითხი. სამსახურმა შემოსული განცხადებებიდან გამოყო რამდენიმე ისეთი განსხვავებული საკითხი, რომელიც მეტ-ნაკლებად გადაფარავდა სხვადასხვა პროტენზიას და „თელასის“ წინააღმდეგ სემეკში განსახილველად შეიტანა საჩივარი. საბოლოო ჯამში, ყველა ეს პროტენზია „თელასმა“ აღიარა. ამას სამაგალითო მნიშვნელობა ჰქონდა ანალოგიური დავების მომხმარებელთა სასარგებლოდ გადაწყვეტისათვის.

აღნიშნულ საკითხებზე „თელასის“ შესაბამის სამსახურთან ურთიერთობაში ჩამოყალიბდა მომხმარებელთა ინდივიდუალური პროტენზიების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების არაფორმალური და დროული მექანიზმების მონახაზი.

სამსახურმა „თელასის“ წინაშე დააყენა „თელასის“ იმ თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც კონკრეტულ მომხმარებელთან ურთიერთობაში არასამართლებრივი და დაუდევარი დამოკიდებულება გამოავლინეს. „თელასის“ ხელმძღვანელობიდან რეაგირება არ ყოფილა.

მომხმარებელთა ინდივიდუალურ საჩივრებზე მუშაობისას, სამსახურმა მოამზადა ნორმატიულ ბაზაში მომხმარებელთა სასიკეთო ცვლილებათა პაკეტი, რომელთა ნაწილი სემეკმა უკვე განიხილა და დადებითად გადაწყვიტა.

## 8. საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან



## ურთიერთობა

„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შემდგომ, 2003 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით, შეიქმნა სემეკის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი.

**დეპარტამენტის შექმნის წინაპირობა.** საქართველოში მიმდინარეობს ახალი საზოგადოებრივი სისტემის ფორმირების პროცესი. ამ პროცესში საჭიროა ენერგეტიკული სექტორის სისტემური გარდაქმნა, მისი ფუნქციონირების, წარმოების, რეგულაციისა და მართვის სრულიად ახალი წესების დამკვიდრება. მთლიანად ენერგეტიკული დარგის წარმატება, მეტწილად, დამოკიდებულია საზოგადოების ინფორმაციულობასა და, ადეკვატურად, მის აქტივობაზე.

ენერგეტიკის სექტორის მიმდინარე რეფორმების პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საზოგადოებას, მისი ფუნქციონირების ფორმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დარგში გადაწყვეტილების მიღებისას.

საზოგადოებისა და სემეკის ურთიერთთანამშრომლობის შესაბამისი მექანიზმის ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციული გაცვლა, ანალიზი, სემეკში გადასაწყვეტი საკითხების გავრცელება და საზოგადოების საქმის კურსში ჩაყენება მასმედიის საშუალებით.

შეიქმნა ჯგუფი, რომელიც მუშაობს „დუპლექსური“ რეჟიმით: სემეკი-საზოგადოება და საზოგადოება-სემეკი. ზემოაღნიშნულის მეშვეობით, შესაძლებელი გახდება განხორციელებული სამუშაოს შედეგების პროგნოზი. საზოგადოებრივი აზრი იმოქმედებს სემეკის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს „პარტნიორობის მენტალიტეტის“ ფორმირებას ენერგეტიკის დარგის რეგულატორსა და საზოგადოებას შორის.

აუცილებელია მოხდეს საზოგადოების ფართო სპექტრის, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება ენერგეტიკის ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით. ამის საუკეთესო და აპრობირებულ მეთოდს სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარება წარმოადგენს, რასაც, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს დეპარტამენტი.

ორგანიზაციებისა და საზოგადოების იმ ნაწილის უკეთ ინფორმირებისათვის, ვისაც ხელი მიუწვდება ინტერნეტზე, მარეგულირებელი კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნდება/განახლდება ინფორმაციები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

სემეკს განსაკუთრებული ურთიერთობა და დიდი ხნის ნაყოფიერი თანამშრომლობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დღიდან შექმნისა, სემეკი, როგორც ახალი სტრუქტურა, რომელიც ენერგეტიკული დარგის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა და რეგულაციის სფეროში არ გააჩნდა საკმარისი გამოცდილება, (ეს იყო სრულიად ახალი ტიპის ორგანიზაცია საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში) მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ანალოგიური ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი გამოცდილების შესწავლა. ამ

მიმართულებით სემეკმა ექვსი წლის განმავლობაში ძალიან დიდი სამუშაო გასწია. 2003 წლიდან დღის წესრიგში დადგა სემეკის აპარატში დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, რომლის ძირითადი ფუნქცია და მოვალეობა იქნება საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება.

საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია: - პრესდაიჯესტის ფორმით სემეკის გადაწყვეტილებების, სემეკის სხდომების დღის წესრიგის, ენერგეტიკაში არსებული პრობლემების, სემეკისა და აპარატის საქმიანობის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მაქსიმალური გამჭვირვალობის დანერგვა;

– ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მოკლე ანოტაციის მომზადება და გავრცელება;

– პრესკონფერენციების მოწყობა;

– პრესისა და სატელევიზიო გადაცემების ყოველდღიური მიმოხილვა და ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში, სემეკის კომპეტენციის ფარგლებში, მათზე რეაგირება. ენერგეტიკაში არსებული პრობლემების, სემეკისა და მისი აპარატის საქმიანობის გაშუქება პრესაში და ტელევიზიით, სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარება;

– სემეკის საჯარო სხდომებზე მასმედიის მოწვევა;

– საზღვარგარეთის ქვეყნების ენერგეტიკულ საწარმოებთან და სხვადასხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაციებთან სემეკისა და მისი აპარატის კავშირის უზრუნველყოფა;

– საზოგადოებას, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებლებს, ლიცენზიატებსა თუ უწყების წარმომადგენლებს შორის დიალოგების მოწყობა და ამით, არსებული პრობლემების კონსტრუქციულად მოგვარებაში წვლილის შეტანა;


– ენერგეტიკის სფეროში საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერების გაზრდისა და გაღრმავების ხელშეწყობა;

– არასამთავრობო და პროფესიულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება და მათი ინტერესების გათვალისწინებით, ენერგეტიკის სექტორში არსებული პრობლემების მოგვარება სემეკის კომპეტენციის გათვალისწინებით;

– მომხმარებლისათვის და, შესაბამისად, მთელი მოსახლეობისთვის ენერგეტიკის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება და ამ სფეროში წამოჭრილი პრობლემების კონსტრუქციულად გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა.

• დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკა

დეპარტამენტის საქმიანობის სქემატური ვარიანტი



## 8.1. საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობის მხრივ დეპარტამენტი საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით წარმართავს:

### მასმედიასთან თანამშრომლობა

დეპარტამენტს ურთიერთობა აქვს ყველა საინფორმაციო საშუალებასთან (პრესა, ტელევიზია, რადიო, სააგენტო).

დეპარტამენტი მასმედიასთან მუშაობის კუთხით ახორციელებს სემეკსა და, მთლიანად, ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების ყოველდღიურ მონიტორინგს, რადგან სემეკი, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, არის დარგის რეგულატორი. ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზი და შემდგომ, მედიის საშუალებით, შეჯერებული ინფორმაციის გავრცელება, საბოლოო ჯამში, საუკეთესო საშუალებაა ფართო საზოგადოების სრულად ინფორმირებისათვის.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობა, ძირითადად, რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს:

**ანალიზი** – რაში მდგომარეობს პრობლემა ანუ რა არის პრობლემის არსი?

**დაგეგმვა** – რა უნდა გაკეთდეს?

**კომუნიკაცია** – როგორ უნდა გავაგებინოთ ეს საზოგადოებას?

**შედეგების შეფასება** – მივიდა თუ არა ინფორმაცია აუდიტორიამდე და მოახდინა თუ არა საჭირო ეფექტი?

ყოველდღიურად მზადდება **პრესრელიზი** და ვრცელდება ინფორმაცია უშუალოდ სემეკში მიმდინარე პროცესების შესახებ. ყოველკვირეულად მზადდება **საინფორმაციო ბიულეტენი** მასმედიისათვის.

კვირაში ერთხელ სემეკში ტარდება საჯარო სხდომა, რომლის საინფორმაციო უზრუნველყოფას, ჟურნალისტების მოწვევას და სემეკის ვებ-გვერდზე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებისა და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსებას **დეპარტამენტი** ახორციელებს. სხდომის დამთავრებისთანავე **დეპარტამენტი** ამზადებს სპეციალურ პრესრელიზს, ათავსებს ვებგვერდზე და ავრცელებს საინფორმაციო საშუალებებში.

აღსანიშნავია, რომ **დეპარტამენტმა** არსებითად განაახლა სემეკის ვებ-გვერდი.

**დეპარტამენტი**, აუცილებლობიდან გამომდინარე, ატარებს პრესკონფერენციებს. დღიდან დაარსებისა, 2003 წლის სამი თვის მანძილზე, ჩატარდა 5 პრესკონფერენცია და არაერთი ინდივიდუალური და კოლექტიური შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან. პრესკონფერენციები და შეხვედრები შეეხო ელექტროენერჯის დიფერენცირებული ტარიფის პოპულარიზაციას ზამთრის სეზონში ელექტროენერჯითა და გაზით დედაქალაქის მომარაგების გარანტიებს, „თელასსა“ და მომხმარებელს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებებს, დიფერენცირებული ტარიფის ამოქმედების გადავადებასა და გამანაწილებელ კომპანიებში ამასთან დაკავშირებულ სირთულეებს, „თბილგაზისათვის“ განაწილების ლიცენზიის გაგრძელებას, „თბილგაზის“ აბონენტთათვის დროებით გადახდის ფიქსირებული წესის შემოღებას და მოსახლეობისათვის სხვა აქტუალურ პრობლემებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, არის ჟურნალისტებთან მუშაობა, რომელთა ინტერესის სფეროს, ძირითადად, წარმოადგენს ენერგეტიკა. **დეპარტამენტი** პერიოდულად აწყობს სემინარ-ტრენინგებს ჟურნალისტებისათვის, იწვევს ექსპერტებსა და დარგში მომუშავე სპეციალისტებს და ჟურნალისტებს აცნობს სისტემაში მიმდინარე პროცესებს, ალტერნატიული აზრის გათვალისწინებით.

**დეპარტამენტი** ახორციელებს ქართული პრესისა და სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემების ყოველდღიურ მონიტორინგს, ხდება განთავსებული მასალის დამუშავება და მათზე რეაგირება იმ შემთხვევაში, თუ **დეპარტამენტი** თვლის, რომ მიმდინარე მოვლენა ამა თუ იმ საინფორმაციო საშუალებაში არ იყო ობიექტურად გაშუქებული.

**დეპარტამენტი** დაიჯესტის სახით ყოველდღიურად ამზადებს საერთაშორისო და რუსული პრესის მიმოხილვას (აქცენტი, რა თქმა უნდა, გამახვილებულია ენერგეტიკაზე).

**დეპარტამენტში** მზადდება ყოველკვირეული საინფორმაციო ანალიტიკური მასალა, რომელსაც დაიჯესტის ფორმა აქვს და ეგზავნება ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასა და ჟურნალისტს.

ასევე, საზოგადოებასთან წარმატებული ურთიერთობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კოორდინაციაზე როგორც უწყების შიგნით, დეპარტამენტებსა და თანამშრომლებს შორის, ასევე კოორდინაციაზე სხვა ენერგეტიკულ სტრუქტურებთან.

სემეკის ლიცენზიატთა შორის ხშირია სადავო საკითხები, რომელთა განხილვაც სემეკის საჯარო სხდომებზე მიმდინარეობს. ამგვარ შემთხვევებში დაზუსტებული ინფორმაციის გავრცელებას სემეკის დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს მჭიდროდ სამუშაო კონტაქტები გააჩნია საქართველოს ენერგეტიკის დარგში მომუშავე საერთაშორისო კომპანიების ანალოგიურ სამსახურებთან, როგორებიცაა: ირლანდიური კონსორციუმი **ESBI**, რომელიც სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველი კომპანიაა, ესპანური კონსორციუმი **IBERDROLA** – საბითუმო ბაზრის ოპერატორი, **PA-Consulting**-ი – გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მენეჯმენტ-კონტრაქტორი და „თელასის“ აქციათა მფლობელი რუსული კომპანია **PAO EЭС РОССИИ**.

დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან – მესამე სექტორთან მუშაობას. ამ მიმართულებით შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც კვირაში ერთხელ სისტემატურად იკრიბება სემეკში და აქტიურად თანამშრომლობს შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- სამომხმარებლო ინტერესების გათვალისწინება;
- კომპეტენტური და ობიექტური საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე პროცესების თაობაზე;
- ენერგეტიკული სისტემის ინსტიტუციონალური პროცესის სრულყოფაში მონაწილეობა;
- სემეკის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში არასამთავრობო სექტორის გათვალისწინება და ენერგეტიკის სფეროს მაქსიმალური გამჭვირვალობა;
- დარგში გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, პერმანენტულად, ურთიერთკოორდინაციის საფუძველზე, სამოქალაქო მონიტორინგის წარმართვა;
- საზოგადოებრივი კონტროლი, რათა არსებული ენერგორესურსების ხარჯვა მოხდეს გადახდის მიხედვით;
- პრინციპის – ელექტროენერგია მხოლოდ გადამხდელს – ხელშეწყობა;
- სატარიფო პოლიტიკის მონიტორინგი;
- ენერგოეფექტურობისა და ენერგოდაზოგვის აუცილებლობის პოპულარიზაცია და ენერგოდაზოგი ტექნოლოგიების მონიტორინგი;
- ენერგოსისტემის ყველა სუბიექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგი.

მოსახლეობასთან ურთიერთობა „ცხელი ხაზი“ მოსახლეობასთან (ძირითადად თბილისის) ყოველდღიური ურთიერთობა სატელეფონო „ცხელი ხაზის“ (ტელ.: 25 29 82) მეშვეობით მყარდება, რომელიც დეპარტამენტს მემკვიდრეობით სემეკის მოქალაქეთა უფლებების დაცვის დეპარტამენტისაგან ერგო.

ენერგეტიკის დარგში არსებულ პრობლემებთან თუ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, „ცხელი ხაზით“ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ამომწურავი ინფორმაციის მიღება. მომხმარებელი კოლექტიური ხასიათის თხოვნითაც მიმართავს დეპარტამენტს, რაც, ძირითადად, ქ. თბილისის რიგ უბნებში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტას უკავშირდება. დეპარტამენტის თანამშრომლები ოპერატიულად ახდენენ ინფორმაციის დაზუსტებას ან გადამოწმებას გამანაწილებელი კომპანიების შესაბამის სამსახურებთან და შემდგომ, ინფორმაციის მიწოდების მიზნით, თავად უკავშირდებიან მომხმარებელს.

ზშირად მომხმარებელი ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო პრობლემის თაობაზეც უკავშირდება დეპარტამენტს და მის მოგვარებას ითხოვს. ასეთ შემთხვევაში დეპარტამენტის თანამშრომლები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ახდენენ რეაგირებას მომხმარებელთა სატკივარზე, დახმარებას უწევენ პრობლემის გადაჭრაში, უწევენ კონსულტაციებს, ასწავლიან მათი დაძლევის გზებს.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „საქართველოს ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამის“ კოორდინატორებთან შეთანხმებით, დეპარტამენტი „ცხელი ხაზის“ მეშვეობით სისტემატურად ახდენს მოსახლეობის ინფორმირებას „პროგრამის“ მსვლელობასთან დაკავშირებით. ამ მხრივ დეპარტამენტმა, დღიდან შექმნისა, დიდი სამუშაო გასწია, რადგან მოსახლეობაში „პროგრამის“ ირგვლივ პერიოდულად მრავალი კითხვა ჩნდება, რომლებზეც დეპარტამენტს ამომწურავი პასუხები გააჩნია.

ზემოაღნიშნული საკითხების თაობაზე დეპარტამენტს ყოველდღიურად რამდენიმე ათეული მომხმარებელი მიმართავს. სწორედ რიგითი მოქალაქეების პრობლემების გაანალიზებით იკვეთება, თუ რა ძირითადი მოთხოვნები აქვს დღეს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებელს:

1. ელექტროენერჯის უწყვეტად მიწოდება;
2. ბუნებრივი გაზის შეუფერხებლად მიწოდება;
3. უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
4. „თელასის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრების თანამშრომელთა მხრიდან მომხმარებელთან მოპყრობის გაუმჯობესება და სადავო საკითხების დროულად გადაწყვეტა;
5. „თბილგაზის“ აბონენტთათვის დროებით ფიქსირებული გადასახადის სავარაუდო შემოღებასთან დაკავშირებით მოსახლეობის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და ამ მხრივ ინფორმაციის დეფიციტი;
6. ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მოხმარებისათვის დაწესებული შეღავათების მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები.

**სოციოლოგიური გამოკითხვები.** დეპარტამენტი სისტემატურად ატარებს სოციოლოგიურ გამოკითხვებს სემეკისათვის აქტუალურ საკითხებზე. საანგარიშო წლის სამი თვის განმავლობაში, დეპარტამენტმა ჩაატარა ორი სოციოლოგიური გამოკითხვა.

- პირველი სოციოლოგიური კვლევის მიზანი იყო ელექტროენერგიაზე დიფერენცირებული ტარიფის შემოღების შემდეგ მოსახლეობის შეხედულებების განსაზღვრა დიფერენცირებული ტარიფის შესახებ.

კვლევა ჩატარეს დეპარტამენტის თანამშრომლებმა. ჩატარების მეთოდი იყო – პირისპირ, ანუ რესპონდენტის უშუალო გამოკითვა. გამოიკითხა ქალაქ თბილისის 300 მოსახლე.

გამოკითხვის შედეგები შემდეგნაირია: რესპონდენტების ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი ელექტროენერგიის ტარიფი და ტარიფთან დაკავშირებული პერიპეტეებია. გამოკითხულთა 61% დიფერენცირებული ტარიფის შემოღებას დადებითად აფასებს, ხოლო 39% კი – უარყოფითად.

- მეორე სოციოლოგიური კვლევის მიზანი იყო, თუ როგორ აფასებენ „თბილგაზის“ აბონენტები ბუნებრივ გაზზე, დროებით, ფიქსირებული ტარიფის შემოღებას.

კვლევა ჩატარეს დეპარტამენტის თანამშრომლებმა. ჩატარების მეთოდი იყო სატელეფონო გამოკითხვა. ორი კვირის განმავლობაში ტელეფონის საშუალებით გამოიკითხა 500 რესპონდენტი.

გამოკითხვის შედეგები შემდეგნაირია: კითხვაზე, ეთანხმებიან თუ არა ბუნებრივ გაზზე დროებით ფიქსირებული ტარიფის შემოღებას, პასუხი არაერთგვაროვანი იყო, მომხმარებელი დაბნეულია, თუ რატომ უნდა დაწესდეს დროებითი ფიქსირებული ტარიფი ბუნებრივ გაზზე, როდესაც უკვე დაყენებულია გაზის მრიცხველები და გამართულად მუშაობს. გამოკითხულთა 33% მიიჩნევს, რომ მათი მრიცხველები გამართულად მუშაობენ და გადახდა უნდა მოხდეს ჩვენების მიხედვით, 47%-თვის უმჯობესია დაზიანებული მრიცხველების შეკეთება და თანხის გადახდა ჩვენების შესაბამისად, ხოლო დანარჩენი 20% დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, თუ როგორ გადაიხდის ბუნებრივი გაზის საფასურს.

## 8.2. სემეკის საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით სემეკს კავშირი აქვს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან. კერძოდ, ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალურ ასოციაციასთან (ERRA), კომუნალური საწარმოების რეგულირების კომისიის წევრთა ნაციონალურ ასოციაციასთან (NARUC), ენერგეტიკის მსოფლიო საბჭოსთან (WEC), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID).

- ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაცია ( ლლ ) არის ცენტრალური/აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დამოუკიდებელი ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების მიერ ნებაყოფლობით ჩამოყალიბებული არაკომერციული, დამოუკიდებელი ორგანიზაცია. მისი მიზანია წევრ ქვეყნებში ენერგეტიკის რეგულირების პროცესების გაუმჯობესება, ენერგეტიკის მარეგულირებელ ორგანოებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარება და ამ გზით



სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების უზრუნველყოფა. სემეკი სხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან ერთად წარმოადგენს წევრ - დამფუძნებელს.

- კომუნალური საწარმოების რეგულირების კომისიის წევრთა ნაციონალური ასოციაციის (NARUC) მიზანია კომუნალური რეგულირების კომისიების მუშაობის ეფექტურობისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით საზოგადოების ინტერესების დაცვა. NARUC-სა და აშშ-ის განვითარების სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოებისათვის მზადდება მრავალი საინტერესო შეხვედრა, სწავლება და სასწავლო ტურები. სხვადასხვა ქვეყნებს შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო თანამშრომლობა, ხდება გამოცდილების გაცვლა, რაც უფრო წარმატებულს ხდის მარეგულირებელი ორგანოების შემდგომ მოღვაწეობას.
- მსოფლიოს ენერგეტიკული საბჭო (WEC) ამჟამად ყველაზე მრავალმხრივი ენერგეტიკული ორგანიზაციაა მსოფლიოში. მისი წევრი კომიტეტები შექმნილია 90-ზე მეტ ქვეყანაში, ენერჯის ყველაზე დიდი მწარმოებელი და მომხმარებელი ქვეყნების ჩათვლით. 75 წლის ორგანიზაცია მოიცავს ყველა სახის ენერგეტიკას - ნახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ატომური, ჰიდრო, განახლებადი ენერჯების ჩათვლით. მსოფლიოს ენერგეტიკული საბჭო არის გაეროს აკრედიტებული, არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაცია, რეგისტრირებულია გაერთიანებულ სამეფოში და მისი შტაბბინა მდებარეობს ქ. ლონდონში. ორგანიზაციის სამუშაო მოიცავს ენერგეტიკის მთელ სპექტრს და ფოკუსირებას ახდენს ისეთ ცენტრალურ საკითხებზე, როგორცაა ბაზრის რესტრუქტურისა, ენერგოეფექტურობა, ენერგეტიკა და გარემო, ენერჯის ფასწარმოქმნა და სუბსიდიები, ენერგოდეფიციტი, სტატისტიკური მონაცემების ბაზები, სტანდარტები, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და ენერგეტიკული საკითხები განვითარებულ, გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში.

სემეკის წევრები დემურ ჩომახიძე და პაატა ცინცაძე გაერთიანებულნი არიან ERRA-ს სატარიფო/ფასწარმოქმნისა და ლიცენზირება/კონკურენციის კომიტეტებში და ნაყოფიერ მონაწილეობას იღებენ მათ მუშაობაში. 2003 წელს მოეწყო აღნიშნული კომიტეტების 6 შეხვედრა, რომელზეც მონაწილეობდნენ ღღ -ს წევრი ქვეყნების დელეგაციები – უკრაინა, თურქეთი, ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, ხორვატია, საქართველო, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, ყაზახეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, რუსეთი, რუმინეთი, მონღოლეთი. შეხვედრებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: (1) პრივატიზაციისა და რეგულირების ურთიერთკავშირი; (2) ლიცენზირების პრაქტიკა; (3) ელექტროენერჯის ბაზრის მოდელები ERRA-ს წევრ ქვეყნებში; (4) კონკურენცია ელექტროენერჯისა და გაზის ბაზრებზე; (5) ელექტროენერჯით რეგიონალური ვაჭრობა; (6) მარეგულირებელი ორგანოების როლი ენერგეტიკულ ბაზარზე კერძო სექტორის მონაწილეობასა და კონკურენციის

მონიტორინგზე; (7) ERRA-ს წვერი ქვეყნების გაზის ბაზრების რეგულირების სტრუქტურა და საკვანძო საკითხები; (8) მარეგულირებელსა და რეგულირებად კომპანიებს; საწარმოებსა და კომისიონერებს შორის თანამშრომლობა; (9) ინფორმაციის გაცვლის საშუალებების განხილვა.

უნგრეთის ენერგეტიკის ოფისის მიწვევით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ევროპის ენერგეტიკის მარეგულირებელთა საბჭოს (CEER) ერთობლივი ორგანიზაციითა და დაფინანსებით, 2003 წლის 2-7 თებერვალს ბუდაპეშტში გაიმართა ენერგეტიკის მარეგულირებელთა ERRA-CEER I საერთაშორისო ტრენინგი.

ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მარეგულირებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სემეკიდან მიწვეული იყვნენ ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი გოჩა შონია და იურიდიული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი ვანო მეჭურჭლიძე.

აღნიშნული პროგრამა შეეხებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული სისტემების ფუნქციონირების პრინციპებს, განხილული იყო ენერგეტიკული სისტემების მოდელები, მარეგულირებელი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული საკითხები, ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის მოდელები და ენერგეტიკული უსაფრთხოების პრინციპები, სატარიფო მეთოდოლოგიები და სტრუქტურა და სხვა საკითხები. მნიშვნელოვანი როლი დაეთმო არატრადიციული ენერგეტიკის საკითხების განხილვას.

აღნიშნულ საკითხებზე ლექციებს კითხულობდნენ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები, სხვადასხვა ქვეყნის მარეგულირებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები და წამყვანი თანამშრომლები. პროგრამა წარმატებული და სასარგებლო იყო თითოეული მონაწილისათვის.

2003 წლის ივლისში ERRA-ს, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტისა (CEU) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ერთობლივი ორგანიზაციით უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში გაიმართა I საერთაშორისო საზაფხულო სკოლის პროგრამის პრეზენტაცია, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ ERRA-ს წვერი ქვეყნების წარმომადგენლები – სომხეთი, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სლოვაკეთის რესპუბლიკა, უკრაინა. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობდნენ სემეკის თანამშრომლები: თამაზ ინაშვილი – იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი; გულნარა ბედოშვილი – ეკონომიკური დეპარტამენტის ბუნებრივი გაზის სამმართველოს უფროსი; ნინო ტუსკია – იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი. კურსი მიემდგვნა ენერგეტიკის რეგულირების პრაქტიკას და განხილულ იქნა შემდეგი საინტერესო საკითხები: მარეგულირებლის როლი, ენერგოსექტორის ლიბერალიზაცია და საბაზრო რეფორმები – გლობალური ტენდენციები და მიღწევები ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში, ალტერნატიული საბაზრო სტრუქტურები, რესტრუქტურირებული ბაზრების კომპონენტები, სტიმულირებადი ფასწარმოქმნა, ხარისხის რეგულირება, საბაზრო

უფლებამოსილება, საბაზრო სტრუქტურები და მოდელები, კონკურენციის პირობების შესრულების შეფასება, მონიტორინგი და უზრუნველყოფა, ღია ბაზრების ეკონომიკა/ფასებისა და ხარჯების საფუძვლები.

ზემოაღნიშნულ სემინარებზე სემეკის სპეციალისტების მონაწილეობამ აამაღლა მათი კვალიფიკაცია. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი სახის სემინარებსა და ლექციების კურსებზე დასწრება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სემეკის მუშაობის დახვეწას და მიზანშეწონილია მომავალში მათი გაგრძელება.

საქართველო ასევე ნაყოფიერად თანამშრომლობს ენერგეტიკულ ქართიასთანაც. ენერგეტიკული ქარტიის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო 10 წელზე მეტი ხნის წინ, როდესაც ბერლინის კედლის დანგრევამ და შემდგომ საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა მსოფლიო პოლიტიკის ფუნდამენტური ცვლილებები. აღნიშნულმა პროცესებმა წარმოაჩინეს ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი და უპრეცედენტო საშუალებები, რასაც საფუძვლად ენერგეტიკული სექტორი დაედო.

ენერგეტიკულ ქარტიაში გაწევრიანებულია 54 ქვეყანა, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები.

ენერგეტიკული ქარტიის პრინციპების თანახმად, მონაწილე მხარეებმა უნდა გამოიმუშაონ პოლიტიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგია, შექმნან შესაბამისი ნორმატიული საზღვრები, ასევე შეიმუშაონ ენერჯის ეფექტური გამოყენებისა და ენერგეტიკის სექტორში ეკოლოგიური ზიანის შემცირების კონკრეტული პროგრამები.

ენერგეტიკულმა ქარტიამ წარმოაჩინა შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლის შექმნის აუცილებლობა. ენერგეტიკული ქარტიის შეთანხმება წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკურ ფორუმს, სადაც განიხილება ენერგეტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. შეხვედრა წელიწადში საშუალოდ ორჯერ იმართება და განიხილება ის პოლიტიკური საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების თანამშრომლობაზე ენერგეტიკის სფეროში, მათ შორის:

- გახსნილი და ეფექტური ენერგობაზრების განვითარება;
- კერძო ინვესტიციების მოზიდვისა და კერძო საწარმოების მონაწილეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- მონაწილე ქვეყნების თანასწორუფლებიანობა;
- ეკოლოგიურად დასაბუთებული და ენერგეტიკულად ეფექტური პოლიტიკის მნიშვნელობის აღიარება;
- ენერგოეფექტურობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- ენერგეტიკაში კაპიტალდაბანდებების დაცვა;
- ინვესტიციებთან დაკავშირებული დავების გადაჭრა.

2003 წლის ივნისში ქ. ბრიუსელში გაიმართა ენერგეტიკული ქარტიის მორიგი შეხვედრა, რომელშიც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოდან მონაწილეობდნენ

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე თემურ ცაბაძე. შეხვედრაზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განიხილებოდა გაზის ტრანსპორტირების საკითხებიც.

ენერგეტიკული ქარტია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორში ეფექტური, მყარი და საიმედო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ასევე ეხმარება წევრ ქვეყნებს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებაში.

დეპარტამენტი ინტენსიურად მუშაობს საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომი განვითარების საკითხებზე.

2003 წლის 5-9 ოქტომბერს, ქ. რომში, ენერგეტიკის მსოფლიო საბჭოს (WEC), ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაციის (ERRA), აშშ-ის კომუნალური რეგულირების კომისიების ნაციონალური ასოციაციის (NARUC), ევროპის ენერგეტიკის მარეგულირებელთა საბჭოსა (CEER) და ენერგოსექტორის მართვის დამხმარე პროგრამის (ESMAP) ეგიდით გაიმართა ენერგეტიკის რეგულირების II მსოფლიო ფორუმი. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იყვნენ წარმომადგენლები ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოებიდან, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებიდან, კონსულტანტები, ფინანსური ინვესტორები, სპეციალიზებული ჟურნალისტები სხვადასხვა ქვეყნიდან. კერძოდ, იტალიიდან, ავსტრიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, საბერძნეთიდან, მექსიკიდან, თურქეთიდან, ინგლისიდან, შვედეთიდან, ნორვეგიიდან, არგენტინიდან, ბრაზილიიდან, დანიიდან, ირლანდიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ფინეთიდან, ინდოეთიდან, ბელგიაიდან, იაპონიიდან და სხვ. საქართველოდან მსოფლიო ფორუმს ესწრებოდნენ სემეკის თავმჯდომარე, მსოფლიო ენერგეტიკული საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე დ. მირცხულავა და სემეკის წევრი პ. ცინცაძე. კონფერენციაზე განიხილეს ენერგობაზრის ეფექტური რეგულირების საკითხები, ენერგოეფექტურობის ზრდისა და განვითარების საშუალებები და სხვა მნიშვნელოვანი თემები.

საანგარიშო წელს დეპარტამენტმა ჩაატარა სამუშაოები კომისიის თავმჯდომარის დ. მირცხულავას და წევრის პ. ცინცაძის 28-31 ოქტომბერს ქ. მოსკოვში ჩატარებული ERRA-ს ლიცენზირებისა და კონკურენციის კომიტეტის შეხვედრაზე მონაწილეობისა და დასწრების ორგანიზაციულ საკითხებზე. შეხვედრის ძირითადი თემები იყო: საბაზრო მოდელის განხილვა, კომიტეტების წევრების მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ERRA-ს წევრ ქვეყნებში ენერგობაზრის მოდელში მესამე მხარის არსებობის პრინციპების სტატუსის განხილვა, ჩატარდა ტეხასის შტატის საბაზრო მოდელის პრეზენტაცია.

დეპარტამენტმა მოამზადა სემეკის ელექტროენერგეტიკული დეპარტამენტის დირექტორის ლ. გოგიშვილისა და ამავე დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ზ. გურიელიძის სამუშაო ვიზიტი 10 - 21 ნოემბერს უკრაინის ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში. მივლინების პერიოდში

ელექტროენერგეტიკული დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ უკრაინის მარეგულირებელი კომისიის ყველა სამმართველოს ხელმძღვანელს. გაიმართა სემინარები შემდეგ ძირითად საკითხებზე: 1. ლიცენზიატების მონიტორინგი; 2. ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირება; 3. აბონენტთა ქსელში ჩართვის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები; 4. მომსახურების ხარისხის მონიტორინგი. სემეკის დელეგაციის წევრებს გადაეცათ მნიშვნელოვანი მასალები უკრაინაში ენერგეტიკის საკანონმდებლო და რეგულაციის სფეროში მიმდინარე პროცესებზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია, გამოცდილების თვალსაზრისით, ანალოგიური ტიპის სამსახურისათვის. საინტერესო იყო უკრაინის ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სტრუქტურის გაცნობა და მათი გამოცდილების გაზიარება ელექტროენერგეტიკული სფეროს რეგულაციის კუთხით, რომელიც შემდგომში შესაძლებელია ნიმუშად გამოადგეს სემეკს, მით უმეტეს, რომ უკრაინის ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მოღვაწეობის უფრო ხანგრძლივი სტაჟი გააჩნია (ეს სტრუქტურა 1994 წელს შეიქმნა). მივლინების პერიოდში კომისიებს შორის მოხდა ზეპირი შეთანხმება მომავალ ურთიერთთანამშრომლობაზე, რომლის მთავარი მიზანია ორ კომისიას შორის გამოცდილების გაზიარება და ინფორმაციის გაცვლა. კომისიებში არსებული გამოცდილების გაზიარებისათვის დაიგეგმა აპარატის თანამშრომელთათვის სასწავლო სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება როგორც ადგილზე, ასევე მივლინებების სახით.

